


ნაცა ზალიშვილი
თინათინ ზარდიაზვილი



ბასენავლებულის ნიბნი
ოუმომის 10

მრიკლი

ზოგადი განათლების ცროვნული მიზნები

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში
მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა
უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ლირებულებების მიმართ
საკუთარი პასუხისმგებლობის გაზიარება;
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად
გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;
- დ) დამოუკიდებელი ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ლირებულებები და არ იცხოვროს
მხოლოდ არსებულის ხარჯზე;
- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება
მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება,
როგორ ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;
- ზ) კომუნიკაცია ინდივიდუებთან და ჯგუფებთან;
- თ) იყოს კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე.

ქიოლოგია

10

მასწავლებლის წიგნი

ნანა ზაალიშვილი
თინათინ ზარდიაშვილი

„გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ
2022 წელს“.

ქართველი

2022

ბიოლოგია

10

მასწავლებლის ნიგნი

ავტორი: ნანა ზაალიშვილი
თინათინ ზარდიაშვილი

მსატვარი: ნინო ლვაბერიძე

ტექ. რედაქტორი, დიზაინი და კომპ. უზრუნველყოფა: ნინო ლვაბერიძე

გამომცემლობა „ტრიასი“
თბილისი, რობაქიძის გამზირი 7.
ტელ: +995 577 42 52 22
www.triasi.ge
Email: infotriasi@gmail.com

| გამოცემა

2022 წელი

© გამომცემლობა „ტრიასი“

სარჩევი

სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია	5
მოსწავლის წიგნის შესახებ.....	6
წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები.....	12
წლიური პროგრამის/სასწავლო კურიკულუმის აგების პრინციპები.....	31
რა არის კომპლექსური დავალება	40
სოლო ტაქსონომია	42
მოსწავლის წიგნის შინაარსის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემების შინაარსთან და სამიზნე ცნებებთან	45
თემატური მატრიცები	
თემა – უჯრედის ბიოლოგია. 1 – სიცოცხლის მოლეკულები	48
• მატრიცა 1-ის დანართები	78
• 1. სიცოცხლის მოლეკულები – კომპლექსური დავალებების ბარათები	93
• 1. სიცოცხლის მოლეკულები – კომპლექსური დავალებების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით	100
თემა – უჯრედის ბიოლოგია. 2 – უჯრედის კომპონენტები	113
• მატრიცა 2-ის დანართები	138
• 2. უჯრედის კომპონენტები – კომპლექსური დავალებების ბარათები	146
• 2. უჯრედის კომპონენტები – კომპლექსური დავალებების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით	153
თემა – უჯრედის ბიოლოგია. 3 – უჯრედული მეტაბოლიზმი	163
• მატრიცა 3-ის დანართები	186
• 3. უჯრედული მეტაბოლიზმი – კომპლექსური დავალებების ბარათები	200
• 3. უჯრედული მეტაბოლიზმი – კომპლექსური დავალებების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით	205

სწავლების სტრატეგიები.....	211
მეტაკოგნიცია – სწავლის სწავლა	229
ბლუმის ტაქსონომია	231
შეკითხვის დასმა და მისი მნიშვნელობა	234
კლასის ორგანიზების ფორმები.....	236
დიფერენცირებული სწავლება.....	238
მოსწავლის შეფასება.....	243
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის რეკომენდაციები.....	247
პასუხები.....	258
დამატებითი რესურსები მასწავლებლებისთვის.....	292
გამოყენებული ლიტერატურა.....	293

სახელმძღვანელოების სარიცხვის კოცეფია

სახელმძღვანელოების შედგენისას, მთლიანად გავითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი და მისაღწევი შედეგები.

მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელო მოსწავლეს უნდა უვითარებდეს კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციულ სივრცეში ორიენტირებისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზის უნარს.

სასწავლო პროცესი უნდა აყალიბებდეს მოსწავლეს არა მხოლოდ განსწავლულ, არამედ ასევე წარმატებულ, კონკურენტუნარიან პიროვნებად, რომელიც შეძლებს თავისი მიზნების განხორციელებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირველესად ვეცადეთ, მოსწავლეებს გასჩენოდათ ინტერესი ბუნების კვლევის, სიახლეთა აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ. ვეცადეთ, გასჩენოდათ იმის განცდა, რომ, ორგანიზმების მრავალფეროვნების მიუხედავად, სიცოცხლე ერთიანია, სასიცოცხლო პროცესები ამ ორგანიზმებში მსგავსად მიმდინარეობს და ისინი ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებზე არის დაფუძნებული.

მეათე კლასის ბიოლოგის წიგნი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ერთი თემა, რომელიც განაწილებულია 18 საკითხად. მეორე ნაწილში მოცემულია ერთი თემა – 6 საკითხად. მოსწავლის წიგნი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თემებსა და საკითხებს.

მოსწავლის წიგნის შინაარსი ფარავს ბიოლოგის საგნის სწავლებაში სამ მიმართულებას:

ცოცხალი სამყარო – მოსწავლის წიგნში ბიოლოგის ძირითადი კონცეფციები და კანონიზმიერებები წარმოდგენილია საკითხების ტექსტის ნაწილში. სხვადასხვა ტიპის დავალებები კი ემსახურება ამ კანონზომიერებების გააზრებას; ყოველი საკითხის დასაწყისში წარმოდგენილი რუპრიკის „შენ შეძლებ“ დანიშნულებაა მოსწავლეს გააცნოს გაკვეთილის მიზანი; რუპრიკა „იმეტყველე როგორც მეცნიერმა“ – საკითხში დასამუშავებელ ცნებებსა და ქვეცნებებს შეესაბამება;

მეცნიერული კვლევა-ძიება – მოსწავლის წიგნში მოცემული მრავალი დავალება მიზნად ისახავს მოსწავლის ჩართვას მარტივ ექსპერიმენტებში, ცდების დაგეგმვასა და განხორციელებაში; ამით ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში კვლევითი უნარების (მონაცემების შეგროვება, მონაცემების ანალიზი/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნის გამოტანა) განვითარებას. დავალებების ტიპი – მოდელის დამზადება, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დაეხმარება. მოსწავლე თავად ირჩევს მოდელის მასალას და ასაბუთებს მისი შერჩევის მიზეზებს. გრაფიკებისა და დიაგრამების ანალიზი მათემატიკური წიგნიერების განვითარებას შეუწყობს ხელს.

მეცნიერება და ტექნოლოგიები – მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია თანამედროვე მეცნიერებების მიღწევები და დაავადებათა დიაგნოსტიკურების საშუალებები;

მოსწავლის წიგნში დიდი ადგილი ეთმობა საგანთაშორის ინტეგრირებას. ამით მოსწავლეს ვებ-მარებით საკითხი დაინახოს არა ცალკეული საგნის კუთხით, არამედ შეძლოს ცოდნის გადატანა (ტრანსფერი) ერთი დისციპლინიდან მეორეში;

მრავალფეროვანი დავალებები უზრუნველყოფს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის დაუფლებას.

ქვეთების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ქვეცნება. ყოველი ქვეთების ბოლოს წარმოდგენილი სასწავლო პროექტები ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პროექტები განკუთვნილია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის.

ყოველი ქვეთემის ბოლოს წარმოდგენილი დავალებების ერთობლიობა, სახელწოდებით „შეა-მოწმე შენი ცოდნა და გამოცადე შენი უნარები“, მოსწავლეს დაეხმარება ქვეთემის შეჯამებაში. დავალებების მრავალფეროვნება იძლევა მოსწავლეთა დიფერენცირების შესაძლებლობას სწავლის სტილის, ინტერესებისა დავალებების სირთულის მიხედვით.

მოსწავლის ციგნის შესახებ

სასწავლო პროგრამის შინაარსი სახელმძღვანელოში ორ თემადაა გადანაწილებული. პირველი თემა (1) სამ ქვეთემად იყოფა. ქვეთემები (2) წიგნში გარკვეული ფერითა აღნიშნული, რომელიც ფონად გასდევს მას, რაც მოსწავლეს წიგნში ორიენტაციას გაუადვილებს.

ყოველი ქვეთემის განხილვა იწყება განშლაზე (3) განლაგებული ილუსტრაციებითა და ტექსტით, რომელიც მოკლედ ასახავს ქვეთემაში განსახილველ საკითხებს.

1

სიცოცხლის მოლეკულები

2

1. უჯრედის ძიგითან გვთავისონობა.
ასაზოვადი გვთავისავალი
2. ზომისაზე გვთავისავალი.
მიმდევ
3. ციცავის და განვითარებისა
უჯრედის და რაბინისავალი
4. ნახოვანი უჯრედი
5. ლინილი
6. დოზირებული ასაზოვადისავალი
7. დოზი-ზე გვთავისაზე გვთავისავალი

3

თემა - უჯრედის კიონლოგია





ნოტ ჩატულდება ნარჩისტულებისა, მაგრამ რეალურად, სიცოცხლის ფორმების გასასური მიკოლებულებების მოწყვეტაზე ნიმუშით კუაბლი, აფასნის სასულითო, ერთგული ქამარი სისტემა - წილითობის უნიკალური ნეტირი, რაზედაც გარემონტის მოწყვეტა ანარემონტის წილითობისა მოწყვეტა.

სიცოცხლის საფუძვლები ტრიორინ ნილონობებია, მატერიალური მატერიალების ქმანი, რომელიც მოლეკულური რაზე განვითარება და დანერგებს სიცოცხლის მილეველებსა და მათ გარემონტებს სისტემას, კველა მოლეკულური მუცელების საუჯრედო მიწინვანება.

ნიტროს პატარი მილეველებია, მათთვის უნიკალური ფეიტ-გუბისა მატებინისა უკრების თოვების კველა სასიცოცხლო პილოების მინიმულურების და მათ სასიცოცხლო ფოსტების განსაზღვრულებელი.

უკლის პატარი მილეველებია, მათთვის უნიკალური ფეიტ-გუბისა მატებინისა უკრების თოვების კველა სასიცოცხლო პილოების მინიმულურების და მათ სასიცოცხლო ფოსტების განსაზღვრულებელი.

უკლის და რიზინის მინიმულური ფუნქციების გამო კოლეცს პრინციპითა, აუზ პირველები უწოდება.

დღ საუზისრისის უჯრედების მდგარა მპრენებული მოლეველა. ის შეგვასტ ინფორმაციას არის მიმდევად კველა სასიცოცხლო ფეიტების შესახებ.

ნამპრენების უმარტინი უკრებისა რაზანის მიმდევად კველა მომარტინი.

ლიპიდები სტრუქტურულად და ფუნქციურად განსაზღვრული ინფორმიციების აღმოჩენის აღმოჩენის.

სტრუქტურული ამონიტის ლიპიდების მისუნიკური უკრების რიზინის მინიმულური გამოცვალის მიუცემის რეცენდენტის არის ნირჩევა.

ყოველ ქვეთემას წინ უძლვის ელექტრონული ან ფლუორესცენტული მიკროსკოპის შთამბეჭდავი დიდი ფოტო ტექსტით (4). ის ერთგვარი სტარტერის, გამომზევების როლს ასრულებს, რომელმაც მოსწავლეს განშლაზე მოცემულ ინფორმაციასთან ერთად ინტერესი უნდა გაუღივოს ქვეთემაში განხილული საკითხების მიმართ.

ქვეთემები საკითხებადაა (5) დაყოფილი. ყოველი საკითხი იწყება რუბრიკით – „შენ შეძლებ“ (6). ამ რუბრიკაში იმ საკითხების ჩამონაზოლია, რომელიც უნდა მოხდეს მოსწავლის ყურადღების კონცენტრირება, რაც რეალურად გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს. ამას მოსდევს საკითხის ძირითადი ტექსტი, რომელიც ზოგჯერ შესაძლოა ქვესაკითხებად იყოს დაყოფილი (7).

The diagram shows a complex biological micrograph (2) with various colored regions (green, orange, blue) representing different cellular components. Above the micrograph is a numbered sequence: 4, 5, 6, 7, 1.4, 5, and 4 again. To the right of the micrograph is a detailed analysis section:

- 1.4 ნახვის დანართი**
- შენ შეძლებ:**
 - დააკავშირო ნახვის მიზანისთვის სტრუქტურა მთ სახლენიდანასთან;
 - დაასახო მარტივი ნახვის მიზანისთვის კვებაზე წარმოდგენლები და მისჯალი მთა როლზე უკრიერი სასაცეცლი თვისტების ურინებელოფავობამ;
 - აღნიშნავ დასახურებულების სტრუქტურა და დასახულო მთა მიზანშერები;
 - აღნიშნავ მონასახსრების სტრუქტურა, განვიხილავ მთა მიზანშერების და მისჯალი როლზე როგორ ასახდა;
 - იძინვალუ როლზე ნახვის მიზანშერების სტრუქტურას და ფუნქციებს შემაბმისობაზე;
 - გამოიწვია მონასახსრების სტრუქტურა და ფუნქციების უკავშირება საღადნოსტერი და გლუკოზის გამომცემა.
- ნახვის დანართი**
- მონასახსრების აგენტები:** როგორც ნივთიერებებს დადა ჰქონდა, რომ მდგრადი მონასახსრების როგორც მონასახსრების და მოლისავარიტების აკრიონაინის.
- მონასახსრების აგენტები:** წარმოდგენლები კვებაზე წარმოდგენლები ჰქონდა, ფრუქტოზა და გალა-ტროზა. მთაში კ კუნძულია, სისი იზომერების ნარჩინადგენერინ.
- დანართი გლუკოზისა და ფრუქტოზის ექიმიკული ფორმებით.** იმაზე, ორ როგორ დადგინდება გლუკოზის მოლიკული C-ს, H-ისა და O-ს ატომები, ნარმდებების მისა სტრუქტურული ფორმები გვაძლევა. თუმცა, ნილობი განსინისა, გლუკოზის მოლიკულა ეცავ კუკურ მოლიკულას ნარჩინების. ეს პროცესი შექვევდა. ასე რომ, ნადან მინიჭინება ერთდროულ არსებობას გლუკოზის როგორც სწორშაბური, ასევე ციკლური მოლიკულები.

$$\begin{array}{c} \text{H}_3\text{C}-\text{O} \\ | \\ \text{H}_2\text{C}-\text{OH} \\ | \\ \text{OH}-\text{C}-\text{H} \\ | \\ \text{H}-\text{C}-\text{OH} \\ | \\ \text{H}-\text{C}-\text{OH} \\ | \\ \text{H}-\text{C}-\text{OH} \end{array} \rightleftharpoons \begin{array}{c} \text{CH}_2\text{OH} \\ | \\ \text{H}-\text{C} \\ | \\ \text{H} \\ | \\ \text{OH} \\ | \\ \text{H}-\text{C} \\ | \\ \text{H} \\ | \\ \text{OH} \end{array}$$

ვეცადეთ, რომ ტექსტის ენა ყოფილიყო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად გასაგები, ხოლო მასალა ისეთი ფორმით წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს არ გასძნელებოდა ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით აღნერა და ახსნა.

ტექსტში მრავლადაა მაგალითები ცნებების, მოვლენებისა და პროცესების ასახსნელად.

ტექსტში ჩართულ ილუსტრაციებს – ფოტოებს, სქემებს, ცხრილებს, ნახატებს, დიაგრამებს, ტაბულებს – დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ისინი თვალწათლივ აღნერენ და აჯამებენ ტექსტში მოცემულ მასალას და ეხმარებიან მოსწავლეს მის გაზრდას ეტაპზე.

ტექსტში ჩართული კითხვების (8) მიზანია როგორც წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე ცნობისმოყვარეობის პროცესირება ახალი ცოდნის შესაძენად. ამ მიმართულებითი კითხვებით ვცდილობთ, მოსწავლე ეტაპობრივად მივიყვანოთ ცნებების გაგებამდე. კითხვების შრიფტის ფერით თემის ფერს შეესაბამება.

ტექსტში ჩართული პრაქტიკული სამუშაო მწვანე რეალითა მონიშნული (9). ვფიქრობთ, ტექსტის ეს ნაწილი ხელს შეუწყობს კეთებითა და აღმოჩენით სწავლებას.

საკითხის ძირითად ტექსტს მოჰყვება მისი დასკვნითი ნაწილი (10), რომელიც მოკლედ ასახავს მის ძირითად შინაარსს. დასკვნითი ნაწილის შრიფტის ფერიც თემის ფერს იმეორებს.

გლიცერინი

ცხიმის მოლეკულა

ცხიმოვანი მჟავა

ზოგიერთი ცხიმოვანი მჟავა ერთ ან რამდენიმე ორმაგი ბმას შეიცავს. მათ უჯერ ცხიმოვან მჟავებს უწოდებენ.

8 1 როგორ ფიქრობ, რატომ უწიდეს მათ უჯერ მჟავები?

რა აკლიათ მათ? რით არ არიან ისინი გაჯერებული?

9 2 დააკვირდი, როგორ ცვლის ორმაგი ბმა ცხიმოვანი მჟავას მოლეკულის ფორმას. შეადარე ის ნაჯერ მჟავას.

ცხოველური ცხიმები ძირითადად ნაჯერ ცხიმოვან მჟავებს შეიცავს.

ცხოველური ცხიმები ოთახის ტემპერატურაზე მყარია.

1

2

3

ცვილი ფოთოოლს დასველებისგან იცავს

ჭუტკარი ფიქსა ცვილისგან ამზადებს

6 ცვილს შეიცავს ასევე სასმენი მილის ჯირკვლების სეკურეტი. რა დანიშნულება აქვს ამ სეკურეტს?

10 ! ლიპიდები განსხვავებული სტრუქტურის ჰიდროფიბებია, რომლებიც ორგანულ გამხსნელებში იხსნება. მათ სხვადასხვა უჯრედსა და ორგანიზმი ენერგეტიკული, სტრუქტურული, დამცველობითი და სასიგნალო დანიშნულება აქვთ. ლიპიდების თვისებებსა და ფუნქციებს მათი სტრუქტურა განსაზღვრავს. სტეროიდების ნაკლებობა ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებას იწვევს.

41

ყოველ საკითხს თან ახლავს რუბრიკა „იმეტყველე, როგორც მეცნიერმა“ (11), რომელშიც ტექსტში გამოყენებული ტერმინების ჩამონათვალია. მიგვაჩინია, რომ ასეთი ფორმით ორგანიზებული ტერმინები მოსწავლეებს გაუადვილებს მათ დამახსოვრებას. ამ შერიც მათ უდავოდ დაეხმარება რუბრიკაც „რას ამბობს ტერმინი“ (12), რომელშიც ყველა უცხოური ტერმინის წარმოშობაა განმარტებული. ვთვლით, რომ ეს ორი რუბრიკა გაამდიდრებს მოსწავლეების ლექსიკას და შესძენს მათ დარგობრივი ენით ოპერირების უნარს, რაც ბიოლოგის სწავლა-სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნადაა გამოცხადებული.

საკითხის ბოლო ნაწილი (13) ეთმობა მასალის ათვისების, ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვეულების გამომუშავებისთვის აუცილებელ სავარჯიშოებს. მათი მიზანია როგორც სააზროვნო ოპერაციების დაუფლება, ისე შემოქმედებითობის განვითარება.

ქვეთმაში წარმოდგენილი მთლიანი მასალით – ტექსტით, თვალსაჩინოებებით, ჩართული კითხვებით, აქტივობებით, დავალებებით – ვცდილობთ მივიყვანოთ მოსწავლე მკვიდრო წარმოდგენების ჩამოყალიბებამდე.

1.1 უარესი ქიმიური შედეგების არაორგანული ნივთიერებები

შენ შეიძლება:

- ღიაფენი, რა განსხვავებებს ცოცხალ და არაციკაციალ მუცელს ქმიტირებულს შემოიყენოს თვალსაჩინოებას;
- გამომტკიცეთ მიკროელექტრობების მნიშვნელობა სასიცოცხლით პროცესებში და სასაკვთის, რა დაუფლებების სახით კულტივის მთა ნაკლებობა აღმოჩნდება;
- აღმოჩნდეთ ნივთიერება და დაფარულების მის აღნაბეჭდის;
- შეაფიქტონ სწლის ასასაურისულო რიცხვებისა და ორგანიზმების სასიცოცხლი მფლობელების უწინვეტესობას;
- ჩამოიყენოთ მინიჭებული მნიშვნელების უზრუნველყოფა და ორგანიზმის მთავარტენიზაციან წარმონების შენიშვნებისას და გათვალისწინოთ ეს ყოფლდებულ ეფექტებისას.

11

1.1 უარესი ქიმიური შედეგების არაორგანული ნივთიერებები

1 დაყრდნობა ილუსტრაციის როგორ ქმიტებული ჰქონდება მუცელის და რა დაუფლება?

ცოცხალი რა განსხვავებები არ არის აღმოიჩინებოდა რამე ისეთი განმასაზღვრული ქმიტირი კულტივით, რომელიც მოცილობის მანძილზე განვითარდება და არაციკაციალი მუცელია მას არ შეიძლოს. თუმცა, ქმიტირი კულტივების როგორივი პროცესების თვალსაჩინოება, გამოიხატება ამ როგორის შემთხვევაში დალიან დადასტურდეთ.

12 ციცონების მოდელები

რას ავტომატურიზაცია

პროტოტოიპი – (სერია, პერიოდი – წყალი, ფილტრი – მიკვარს); პილოტორიობისა (სერია, პერიოდი – წყალი, ფილტრი – შესპილები).

ცოცხალი და არაციკაციალ სამყარო, ქმიტირი ელემენტების რაოგორიმოვა შემცველობის თვალსაჩინოებით, ერთმანეთისგან მკლებად განსაზღვრავთ.

წყალი უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების წარმოა. მას გადამცველი რიცხვი აქვთ უზრუნველყოფისა და მოლექანიზმის სასიცოცხლით თვალსაჩინოების ჩამოიყენებისა და წორინალური ფუნქციებისათვის.

წყლის უზრუნველყოფის მისი მიღებელის ანურია განსაზღვრულია. მინერალურ მარილებს უზრუნველყოფის მცირება რაოგორიმოვა შეიცვალა, თუმცა, ისინი მინერალ სასაკრიტიკული მოდელები მონიშვნელობაზე. მინერალური წარმონების ნეკლიმბის სხვადასხვა

13 სიცოცხლის მოდელები

5 როგორი მრრდა შეიძლება გამოიხატავდეს ტერმინური რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება ტემპერატურაზე?

6 რა პროცესს აღნიშნავს ილუსტრაცია?

7

a. საჭმალი მინიჭებულებები როგორ უზრუნველყონ ნამშენები შემოქმედების ასახვის დასახულების მიზნით? ბ. რამდენ უნდა ცვლილობოდეს რეაქციის სიჩქარე რეაქციის ცვლილებით?

8 დაასახურო ფაქტორები, რომელიც ასახული ანურის უზრუნველყონ აქტივობის აქტივობის გაუმჯობესებაზე.

?

1 თამაბაზის კატალიზი აღმოჩენილია 4000-მდე წიგნერება, მაგ შერის: კუნძულის-წყალი, ტყეული, ქრისტო, დირნიშვნი, კალიზო, ნიკეცი. ასეწით დამასანის ჯამშირულამზე ამ მინერალების დამასანებლივ გაუდენის შედების.

31

სავარჯიშოების თითოეული ტიპი შესაბამისი ლოგოთია აღნიშნული:

 მოსწავლის ინდიკიდუალური ან ჯგუფური კვლევითი სამუშაო. ექსპერიმენტის დაგეგმვა, ჩატარება, ანალიზი;

 ცხრილების, დიაგრამების, ტაბულების, სქემების, ნახატების შედგენა და მათი ანალიზი;

 სხვადასხვა სახის კითხვები, რომელებიც უვითარებს მოსწავლეებს მოვლენების მიზეზების ახსნის, მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირის დაფენის, არჩევანის გაკეთების, ჰიპოთეზის გამოთქმის, საკუთარი პოზიციის დასაბუთების, არგუმენტების მოყვანისა და დასკვნების გაკეთების უზარ-ჩვევებს.

 დასკვნითი ნაწილი.

 დამატებითი ინფორმაცია და რჩევები საკითხთან დაკავშირებით;



– QR კოდებიდან პირდაპირ ბმულზე გადასვლა შესაძლებელია სმარტ-ფონითა და პლანშეტით (ჩამოტვირთეთ პროგრამა – QR Code reader), ან მითითებული ინტერნეტმისამართით.

მოსწავლის წიგნში ყოველი ქვეთემის ბოლოს რუბრიკა – „შეაჯამე შენი ცოდნა და გამოცადე შენი უნარები“ (14) – სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა სახისა და სირთულის დავალებებს, რომელიც აჯამებს და ამონმებს ქვეთემის ფარგლებში მათ მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

14

საკავშირო მომსახურება და გამოცადე შენი უნარები

სიმულაცია მომსახურება

1. ინტერაქტურული მომსახურება, რომელიც სტრუქტურული მეცნიერებას შეიცვლის მომსახურების სტრუქტურული განვითარებული ას-სტრუქტურული მომსახურება. ა. რამდენი მომსახურებით გადატვირთვა მიმდევადა არ-სტრუქტურული მომსახურების? ბ. რამდენი მომსახურები მასპინძელი არ არის გადატვირთვის გაუსვებელი? გ. რა სასის მიზნით უსაკარგოდა პროცესური გაუსვებელი? დ. რომელი მომსახურების რაოდინონირ მემკვიდრეობაზე შეიძლო მიზნული სტრუქტურული მიმდევადი?

2. ინტერაქტურული მომსახურების სისტემური მომსახურებები, რომელიც ერთს და მაგრა რეაქციებს ანაზოგობით, თავის მომსახურებების არა საკარგობებებისა და განმარტებების შემთხვევაში პროცესურის მიზნით უსაკარგოდა მასპინძელი მომსახურებისა და ა.შ. ინტერაქტურული მომსახურების გამოყენების მიზნით შემოგება გამომატებული ფარგლება და საწყისურ კრიკეტის მიზნითა სტრუქტურა?

3. დაალეთ ინტერაქტურული ზოგიერთი ზრდის მიმდევად:

ა. შემოქმედობა, გადატვირთვა, რეაქცია, სამუშაო, ფიტ

4. დამატებით მომსახურების სისტემის გენერაცია და ფ. კონკრეტული მომსახურების გადატვირთვის მომსახურების იმ განვითარების მიზნით, რომ დამატებით მომსახურება შეიქმნის მომდამო უზრუნველყოფა?

ა. რამდენი კონტინი რისტრ არაუგვიანეთ არის გამოიყენება?

ბ. რ. დოკუმენტის რამტებ მომცემებს ერთმანეთისგან გა კავშირდება?

გ. არა- სტრუქტურულ გამოიყენება დღის არა მომდევნობის ფორმა?

5. ამონი სიმინ დოკუმენტი და ჩამო უზრუნველყობა შესაბამისი მიმდინ:

ა. ცამიქს სასამართლო ფუნქცია აქვთ;

ბ. კვალი ცამიქს მიმდინ:

გ. ფუნქციის მიმდინობა ქმრის გარეულებების მომდევნობა;

დ. მონიარენი ცამიქს უზრუნველყობა;

ე. სტრუქტურულ სასამართლო დოკუმენტი;

ფ. სტრუქტურულ სასამართლო დოკუმენტი აქვთ;

გ. ფუნქციის რეალიზაცია.

1	3	8	4	5	3
---	---	---	---	---	---

სიმულაცია მომსახურება

6. შეაგენტ ცარიელი უზრუნველყონის მიმდევად:

```
graph TD; A[შეაგენტ] --> B[ცარიელი]; B --> C[უზრუნველყონი]; C --> D[უზრუნველყონი]; D --> E[უზრუნველყონი]; E --> F[უზრუნველყონი]; F --> G[უზრუნველყონი]; G --> H[უზრუნველყონი]; H --> I[უზრუნველყონი]; I --> J[უზრუნველყონი]; J --> K[უზრუნველყონი]; K --> L[უზრუნველყონი]; L --> M[უზრუნველყონი]; M --> N[უზრუნველყონი]; N --> O[უზრუნველყონი]; O --> P[უზრუნველყონი]; P --> Q[უზრუნველყონი]; Q --> R[უზრუნველყონი]; R --> S[უზრუნველყონი]; S --> T[უზრუნველყონი]; T --> U[უზრუნველყონი]; U --> V[უზრუნველყონი]; V --> W[უზრუნველყონი]; W --> X[უზრუნველყონი]; X --> Y[უზრუნველყონი]; Y --> Z[უზრუნველყონი]; Z --> A
```

7. უპასუხ კოაზების, სიმურ ტრანსისტორის, ამონის დამძღვრული სიტყვა და გამომატე მისი მიმართ:

10	21	2	14	13	17	28	11	33	36
----	----	---	----	----	----	----	----	----	----

- მურილული ტრანსისტორი, რომელიც სტრონგილინის სტრუქტურული უზრუნველყონის შემთხვევაში გამოიყენება?
- არა-უზრუნველყონი ცარიელი, რომელიც უზრუნველყონის და ქარისულის მიმდევად უზრუნველყონის შემთხვევაში გამოიყენება?
- სტრუქტურული უზრუნველყონი, რომელიც უზრუნველყონის მიმდევად უზრუნველყონის შემთხვევაში გამოიყენება?
- უზრუნველყონის სასამართლო ფორმა, რომელიც რეაქცია, გადატვირთვა, რეაქცია, სამუშაო, ფიტ მიმდევად უზრუნველყონის შემთხვევაში გამოიყენება?
- დამატებით ცარიელი უზრუნველყონის არა-უზრუნველყონის სასამართლო დოკუმენტის მიმდევად უზრუნველყონის შემთხვევაში გამოიყენება?

20	21	22	23	24	25	26
----	----	----	----	----	----	----

27	28	29	30	31	32	33	34	35	36
----	----	----	----	----	----	----	----	----	----

ვფიქრობთ, მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი აქტივობები გაუადვილებს მასწავლებელს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეარჩიოს დავალებები მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და სასკოლო რესურსების გათვალისწინებით.

მოსწავლის წიგნს ბოლოში ერთვის საკვანძო სიტყვები ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძიებლად.

საკვანძო სიტყვები

ლიპიდები	Lipids
(ცხიმოვანი მჟავა	Fatty acid
ფოსფოლიპიდი	Phospholipid
სტეროიდი	Steroid
ვეოლი	Wax
რიბოსომა	Ribosome
ენდოპლაზმური ბადე	Endoplasmic reticulum
გოლგის კომპლექსი	Golgi apparatus
ლიზოსომა	Lysosome
მიტოქონდრია	Mitochondria
ქლოროპლასტი	Chloroplast
ციტოჩრონჩი	Cytoskeleton
ელექტროფორეზი	Electrophoresis
რეპლიკაცია	Replication
ტრანსკრიპცია	Transcription
ტრანსლაცია	Translation

ცლის პოლოს მისაღები შედეგები და მათი ინდიკატორები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო საფეხურის ბიოლოგიის საგნის სწავლებაში გამოიყოფა სამი მიმართულება:

- **ცოცხალი სამყარო** – გულისხმობს ბიოლოგიის ძირითადი კონცეფციებისა და კანონზო-მიერებების გააზრებას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე წარ-მოდგენების ჩამოყალიბებას; გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; ჯანსაღი ცხოვრების წესისა, მისი დაცვისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას;
- **მეცნიერული კვლევა – ძიება** – გულისხმობს მოსწავლის ჩართვას მარტივი ექსპერიმენტების, ცდების დაგეგმვასა და განხორციელებაში; კვლევითი უნარების (დაკვირვება, მონაცემების გაანალიზება/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა) განვითარე-ბას;
- **მეცნიერება და ტექნოლოგიები** – გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამო-ყენებითი ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებას საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას; გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მო-საზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ბიოლოგიის სწავლა – სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- გაუჩნდეს ინტერესი ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ;
- შეძლოს ბიოლოგიური კანონზომიერებების გაანალიზება;
- შეძლოს ორგანიზმისა და გარემოში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ურთიერთ-დაკავშირება;
- გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ – ჩვევები;
- ჩამოყალიბდეს გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება: გააანალიზოს ჯანმრთე-ლობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;
- შესძინოს დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საშუალო საფეხურზე

ა) ბიოლოგია

შესავალი

კურსი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის ფარგლებში ფართოვდება და ღრმავდება საბაზო საფეხურზე ბიოლოგიაში შეძენილი ცოდნა.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი ალინერპა თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში განკრილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ბიოლ.საშ.1.:

„**ბიოლ.**“ — მიუთითებს საგანს „ბიოლოგია“;

„**საშ.**“ — მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„**1**“ — მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ბიოლოგიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსები	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	სამიზნე ცნებები
ბიოლ.საშ.1.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის აღწერა შედარებითი დახასიათებისათვის.	სტრუქტურა, ფუნქცია (ბიოლ.საშ.1.2,3,4,5)
ბიოლ.საშ.2.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სიცოცხლის ორგანიზაციის სხვადასხვა დონის ცოცხალი სისტემის თვისებების აღწერა შედარებითი დახასიათებისათვის.	სასიცოცხლო თვისება (ბიოლ.საშ.1.2,3,4,5)
ბიოლ.საშ.3.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ცოცხალ სისტემებში ენერგიის გარდაქმნისა და ნივთიერებების მიმოცვლის აღწერა მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დასადგენად.	ბიომრავალფეროვნება (ბიოლ.საშ.1.2,3,4,5)
ბიოლ.საშ.4.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ბიომრავალფეროვნების წარმოქმნის კანონზომიერებების ასანა, გარემოს დაცვის კუთხით მისი შენარჩუნების მნიშვნელობის გასაანალიზებლად.	ჯანმრთელობა და დაავადება (ბიოლ.საშ.1.2,3,5)
ბიოლ.საშ.5.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა ჯანსაღი ცხოვრების ნესის მნიშვნელობის გასააზრებლად.	

სასწავლო თემები

X კლასი
უჯრედის ბიოლოგია
უჯრედის გამრავლება
XI კლასი
გენეტიკა
ეპოლუცია
XII კლასი
ეპოლოგია
ვირუსიდან ადამიანამდე

რეკომენდებულია, სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავა-ზებული თანმიმდევრობა (რეკომენდებულია ერთ სემესტრში ერთი თემის სწავლება).

X კლასი

თემა: უჯრედის გამრავლება თემის ფარგლებში განიხილება: უჯრედის ძირითადი ორგანოდები (პლაზმური მემბრანა, ბირთვი, რიბოსომა, ენდოპლაზმური ბადე, გოლჯის კომპლექსი, ლიზოსომა, მიტოქონდრია, ქლოროპლასტი); უჯრედის ქიმიური ნივთიერებები (წყალი და მინერალური მარილები, ბიოპოლიმერები); უჯრედული მეტაბოლიზმი (უჯრედული სუნთქვა, ფოტოსინთეზი, მატრიცული სინთეზის რეაქციები).
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
სტრუქტურა და ფუნქცია
<ul style="list-style-type: none">უჯრედის ძირითადი კომპონენტების სტრუქტურისა და ფუნქციის შესაბამისობაზე მსჯელობა;უჯრედის შემადგენლობაში შემავალი ქიმიური ნივთიერებების მნიშვნელობის დასაბუთება და მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობა;უჯრედის ბიოლოგიასთან დაკავშირებული ცნობილი ექსპერიმენტების მაგალითების განხილვა/გაანალიზება.
ბიომრავალფეროვნება
<ul style="list-style-type: none">უჯრედების/ქსოვილების (მცენარეული, ცხოველური) მრავალფეროვნებაზე მსჯელობა.
სასიცოცხლო თვისებები
<ul style="list-style-type: none">უჯრედის სასიცოცხლო თვისებების (მაგ., ენდოციტოზი, ეგზოციტოზი, უჯრედული სუნთქვა, ფოტოსინთეზი, გამრავლება) აღნერა და პლაზმური მემბრანის თვისებებთან დაკავშირებულ კვლევებზე მსჯელობა.
ჯანმრთელობა და დაავადება
<ul style="list-style-type: none">უჯრედის მეტაბოლიზმზე მავნე ნივთიერებების (ნიკოტინი, ალკოჰოლი და სხვ.) მოქმედებაზე მსჯელობა.

თემა: უჯრედის გამრავლება

თემის ფარგლებში განიხილება:

უჯრედული ციკლი (ინტერფაზა, მიტოზი) მეიოზი; უჯრედების დიფერენცირება, ღეროვანი უჯრედები და მათი პრაქტიკული გამოყენება; მემკვიდრული ინფორმაციის ორგანიზება პროკარიოტებსა და ეუკარიოტებში; მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის გზები პროკარიოტებში (ტრანსდუქცია, ტრანსფორმაცია, კონიუგაცია); მემკვიდრული ინფორმაციის რეალიზება უჯრედებში.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- უჯრედულ გამრავლებასთან დაკავშირებული სტრუქტურების დაკავშირება მათ ფუნქციებთან;
- მემკვიდრული ინფორმაციის ორგანიზების დაზასიათება პროკარიოტებსა და ეუკარიოტებში;
- პროკარიოტებსა და ეუკარიოტებში მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის გზების (ტრანსდუქცია, ტრანსფორმაცია, კონიუგაცია) აღწერა.

ბიომრავალფეროვნება

- უჯრედებში მემკვიდრული ინფორმაციის რეალიზების (ტრანსკრიპცია, ტრანსლიაცია) აღწერა და დაკავშირება ბიომრავალფეროვნებასთან.

სასიცოცხლო თვისებები

- უჯრედის გამრავლების მნიშვნელობის დასაბუთება და სხვა სასიცოცხლო თვისებებთან დაკავშირება;
- უჯრედის გამრავლებისას (მიტოზი, მეიოზი) შეილეულ უჯრედებში ქრომოსომების განაწილების კანონზომიერებების ახსნა.

ჯანმრთელობა და დაავადება

- ღეროვანი უჯრედებით სხვადასხვა დაავადების განურნების მნიშვნელობაზე მსჯელობა.

თემა: გენეტიკა

თემის ფარგლებში განიხილება:

მემკვიდრული ინფორმაცია (მემკვიდრული ინფორმაციის ორგანიზება პროკარიოტებსა და ეუკარიოტებში); მემკვიდრული ინფორმაციის რეალიზება უჯრედებში (ტრანსკრიპცია, ტრანსლი-აცია; მენდელისეული დამემკვიდრება (მონო-, დიპიბრიდული შეჯვარება, ალელურ გენთა ურთიერთქმედება); შეჭიდული დამემკვიდრება; სქესის გენეტიკა; ადამიანის გენეტიკა (კარიოტიპი, საგვარტომო ნუსხა, გენეტიკური დაავადებები); ცვალებადობა და ცვალებადობის ფორმები; თანამედროვე ტექნოლოგიები გენეტიკაში, მათი გამოყენების ეთიკური მხარე.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- მემკვიდრული ინფორმაციის ორგანიზების დახასიათება პროკარიოტებსა და ეუკარიოტებში;
- გენეტიკასთან დაკავშირებული ცნობილი ექსპერიმენტების მაგალითების განხილვა/გაანალიზება.

სასიცოცხლო თვისებები

- პროკარიოტებსა და ეუკარიოტებში მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის გზებზე (ტრანსდუქცია, ტრანსფორმაცია, კონიუგაცია) მსჯელობა;
- უჯრედებში მემკვიდრული ინფორმაციის რეალიზების (ტრანსკრიპცია, ტრანსლიაცია) აღწერა.

ბიომრავალფეროვნება

- მენდელისეული მემკვიდრეობის (მონო და დიპიბრიდული შეჯვარების), ალელურ გენთა ურთიერთქმედების კანონზომიერებებზე მსჯელობა, მისი დაკავშირება ბიომრავალფეროვნების წარმოქმნასთან;
- შეჭიდული მემკვიდრეობისა და სქესის გენეტიკის მექანიზმების კვლევების გაანალიზება, დაკავშირება ორგანიზმთა მრავალფეროვნებასთან;
- ცვალებადობის ფორმების დახასიათება და ცვალებადობის მნიშვნელობის დასაბუთება ბიომრავალფეროვნებისთვის.

ჯანმრთელობა და დაავადება

- ადამიანის გენეტიკის (ადამიანის კარიოტიპი, საგვარტომო ნუსხა, გენეტიკური დაავადებები) დაკავშირება ჯანმრთელობის შენარჩუნებასთან და პრევენციულ ღონისძიებებზე მსჯელობა;
- გენეტიკაში თანამედროვე ტექნოლოგიების როლსა და მათი გამოყენების ეთიკურ მხარეზე მსჯელობა.

თემა: ევოლუცია

თემის ფარგლებში განიხილება:

ორგანული სამყაროს კლასიფიკაცია; ევოლუციის მამოძრავებელი ფაქტორები; პოპულაცია, როგორც ევოლუციის ერთეული; მიკროევოლუციის შედეგები (შეგუებულობა, შეგუებულობის ფორმები, სახეობადწარმოქმნა); ბუნებრივი გადარჩევის ფორმები (მასტაბილიზებელი, მამოძრავებელი, დიზრუბტული, სქესობრივი); ევოლუციის დამამტკიცებელი საბუთები (პალეონტოლოგია, შედარებითი ანატომია), შედარებითი ანატომია).

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- სახეობის დახასიათება და მის კრიტერიუმებზე მსჯელობა;
- პოპულაციაზე, როგორც ევოლუციის ერთეულზე მსჯელობა;
- ევოლუციის დამამტკიცებელ საბუთებზე (პალეონტოლოგია, შედარებითი ანატომია) მსჯელობა;

სასიცოცხლო თვისებები

- ბუნებრივი გადარჩევის წინაპირობების (გამრავლების ინტენსივობა, გენეტიკური ნაირგვარობა, არსებობისათვის ბრძოლა) დასაბუთება;

ბიომრავალფეროვნება

- მიკროევოლუციის შედეგების (მგ., სახეობათწარმოქმნა) დასაბუთება;
- ევოლუციის მამოძრავებელი ფაქტორების (ბუნებრივი გადარჩევა, მუტაციური პროცესი) შესახებ მსჯელობა;
- ბუნებრივი გადარჩევის ფორმების (მასტაბილიზებელი, მამოძრავებელი) დახასიათება;
- ევოლუციის ძირითად კანონზომიერებებზე (მაგ., დივერგენცია, კონვერგენცია) მსჯელობა;

ჯანმრთელობა და დაავადება

- ინფექციური დაავადებების გამომწვევების ევოლუციაზე მსჯელობა;
- ევოლუციის მიმდინარეობაზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მედიცინის განვითარების გავლენაზე მსჯელობა.

თემა: ეკოლოგია

თემის ფარგლებში განიხილება:

ეკოსისტემების მდგრადობა; ენერგიისა და ნივთიერებების გადაცემა ეკოსისტემაში (ეკოლოგიური პირამიდები); ბიოგეოქიმიური ციკლი (ნახშირბადის, უანგბადის, აზოტის ციკლის მაგალითები); ეკოლოგიური პრობლემები და გარემოს დაცვის მნიშვნელობა;

ბიომრავალფეროვნების წარმოქმნისა და შენარჩუნების ეკოლოგიური საფუძველი; ორგანიზმთა მრავალფეროვნების მნიშვნელობა (საქართველოს ბიომრავალფეროვნება, ბიომრავალფეროვნების დაცვა);

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- ეკოსისტემის კომპონენტების დახასიათება და თანასაზოგადოების წევრების როლის (პროდუცენტი, კონსუმენტი, რედუცენტი) მიხედვით;
- ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნების მნიშვნელობის დასაბუთება;
- ეკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული ცნობილი ექსპერიმენტების მაგალითების განხილვა/გაანალიზება.

სასიცოცხლო თვისებები

- კვებით ჯაჭვებში ენერგიისა და ნივთიერებების გადაცემის (ეკოლოგიური პირამიდები) აღწერა;
- ბიოგეოქიმიური ციკლის (მაგ., ნახშირბადის, აზოტის ციკლი) მნიშვნელობაზე მსჯელობა;
- სხვადასხვა სახეობის პოპულაციებს შორის ურთიერთქმედების (კონკურენცია, სიმბიოზი და სხვ.) შესახებ მსჯელობა;
- ეკოსისტემის თვისებების (მაგ., თვითრეგულაცია, მდგრადობა) მნიშვნელობის დასაბუთება.

ბიომრავალფეროვნება

- ბიომრავალფეროვნების შექმნისა და შენარჩუნების ეკოლოგიური კანონზომიერებების მნიშვნელობის დასაბუთება;
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობაზე მსჯელობა.

ჯანმრთელობა და დაავადება

- ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებსა და გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე მსჯელობა;
- ადამიანის ჯანმრთელობაზე დაბინძურებული გარემოს გავლენა და წარმოქმნილი დაავადებების გაანალიზება.

თემა: ვირუსიდან ადამიანამდე

თემის ფარგლებში განიხილება:

ორგანიზმთა სხვადასხვა ჯგუფის შედარებითი დახასიათება სასიცოცხლო თვისებების მიხედვით, მაგალითად, ჰომეოსტაზი (კონტროლი სხეულის ტემპერატურაზე, ექსკრეცია: მეტაბოლიზმის მავნე პროდუქტების გამოყოფა, ოსმორეგულაცია); კოორდინაცია და პასუხი გაღიზიანებაზე (შეგრძნების ორგანო, ენდოკრინული სისტემა; მცენარეების პასუხი გაღიზიანებაზე); აერობული და ანაერობული სუნთქვა; ნივთიერებათა ტრანსპორტი (ნივთიერებათა ტრანსპორტი მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანის ორგანიზმში); მოძრაობა (ჩონჩხის სახეები, კუნთების შეკუმშვა, მოძრაობა ჰერში, წყალში; მცენარეების მოძრაობა); გამრავლება (გამრავლების სახები მცენარეებსა და ცხოველებში); ინფექციური დაავადებები; ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევებთან დაკავშირებული დაავადებები.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (სამეფო და კლასის) ტიპური წარმომადგენლის აგებულების და ფუნქციების აღწერა და მათ შორის არსებული განსხვავებების ახსნა;
- სხვადასხვა ორგანიზმის (მათ შორის, ადამიანის) მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური შეგუებულობების შესახებ მსჯელობა.

სასიცოცხლო თვისება

- სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (სამეფო და კლასის) ტიპური წარმომადგენელის სასიცოცხლო თვისებების შედარებითი დახასიათება და მათში მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა;
- გარემოს ცვლად პირობებში ადამიანის ორგანოთა სხვადასხვა სისტემის შინაგანი გარემოს (წყლის, ტემპერატურული) მუდმივობის მნიშვნელობაზე მსჯელობა.

ბიომრავალფეროვნება

- სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის მრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობის დასაბუთება.

ჯანმრთელობა და დაავადება

- მიკროორგანიზმების, სოკოების, მცენარეების, ცხოველების (მაგ., პარაზიტი ჭიების) მიერგამოწვეულ დაავადებებზე მსჯელობა;
- ადამიანისთვის ზოგიერთ ორგანიზმთან (ალერგენები, შხამიანი ორგანიზმები) ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა;
- იმუნური სისტემის დახასიათება და მის დარღვევებზე (ალერგიული დაავადებები, აუტოიმუნური დაავადებები, ჯანსაღი ცხოვრების დარღვევები) მსჯელობა.

მეთოდიკური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის — თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინ-არე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

შემოქმედებითი აზ-როვნება	<ul style="list-style-type: none">ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა;დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ;გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობებში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none">სამუშაოს თანაბრად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს;მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად;განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none">სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა;ახალი იდეების, მიღების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით;მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none">თანამედროვე რეალობის სივრცესა და დროში გააზრება და ინტერპრეტირება;მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.

<p>სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა</p>	<ul style="list-style-type: none"> აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტიკულების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობებისა და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; სოციო-ემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლისათვის გამოყენება; ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.
<p>პასუხისმგებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
<p>ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტე- ქნოლოგიების გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> ელექტრონული ცხრილების გამოყენება მონაცემთა ორგანიზება-წარმოდგენის, მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით; საბუნებისმეტყველო შინაარსის დინამიკური, ვირტუალური სიმულაციების მიზნობრივად გამოყენება; კვლევითი სამუშაოების ოქმებისა და ანგარიშების შექმნა ტექსტურ რედაქტორებში; ციფრული ფორმატის პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა მულტიმედიური ელემენტის (ტექსტი, გამოსახულება, აუდიო, ვიდეო, ანიმაცია) გამოყენებით; ქსელური ძიება.
<p>წიგნიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

დანართი 2.

მაკროცნებები

მიზნების იერარქიაზე მსჯელობისას უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე დოკუმენტი:

ა) **საერთაშორისო დოკუმენტები** (მათ შორის - „ევროკომისის ზოგადი კომპეტენციების ჩარჩო“, „დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩო“ და სხვა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა კომპეტენციებით უნდა იყოს აღჭურვილი ადამიანი თანამედროვე სამყაროში საცხოვრებლად);

ბ) **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები** (განსაზღვრავს, თუ როგორი მოქალაქის აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს განათლების სისტემამ);

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მიზნობრივი ორიენტირების პედაგოგიკურ ინსტრუმენტად ქცევაში გვეხმარება **სამიზნე ცნებები** და **მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**. მესამე თაობის, 2018 — 2024 წლების, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი ეფუძნება ცნებების პედაგოგიკას. კერძოდ, აქ გრძელვადიანი სასწავლო მიზნები სამიზნე ცნებებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების სახითაა განსაზღვრული.

იმავე მიზანს (მიზნობრივი ორიენტირების პედაგოგიკურ ინსტრუმენტად ქცევა) ემსახურება პროექტ „ახალის სკოლის მოდელში“ **მიკრო და მაკრო ცნებების** გამოყოფა. რას ნიშნავს მიკრო და მაკრო ცნებები და რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის?

მიკროცნებები იგივეა, რაც სამიზნე ცნებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში თითოეული საგნისთვის არის განსაზღვრული.

მაკროცნებების სახით კი განსაზღვრულია ცნებები, რომელთა დაუფლებაც აუცილებელი წინაპირობაა ზოგადი კომპეტენციების/ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგადი უნარებისა და ღირებულებების განსავითარებლად.

ცხრილი 1.

მიკროცნება	მაკროცნება
წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს საგნობრივი მიმართულების მასშტაბით	წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს მთლიანად ეროვნული სასწავლო გეგმის მასშტაბით
დაკავშირებულია რომელიმე საგნობრივ მიმართულებასთნ	ზესაგნობრივია
აქცენტირებულად მუშავდება რომელიმე ერთი საგნის / საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში	შეიძლება დამუშავდეს ნებისმიერი საგნის / საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში
შეიძლება დამუშავდეს დამოუკიდებლად	მუშავდება აუცილებლად რომელიმე საგნობრივ ცნებასთან ერთად
ფუნქციურად უთანაბრდება საგნობრივ სასწავლო შედეგს	ფუნქციურად უთანაბრდება ეროვნული სასწავლო გეგმის მისიასა და მიზნებს.

როგორც ცხრილი 1 - დან ჩანს, მიკრო და მაკრო ცნებებს შორის იერარქიული კავშირი არ-სებობს, თუმცა სწავლა-სწავლების პროცესში ისინი არ განიხილება ორ ერთმანეთისგან დამოუ-კიდებელ მიზნობრივ ორიენტირად. რეალურ სასწავლო ვითარებაში პირველი (მიკრო ცნებები) მეორის (მაკროცნებების) მიღწევის საშუალებასა და წინაპირობას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ საგნობრივი (მიკრო) სამიზნე ცნებების ფლობის დონის შესამოწმებლად სოლო ტაქსონომიაზე და-ფუძნებული შეფასების რუპრიკა გამოიყენება.

<p>საგნობრივი მიმართულება:</p> <p>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოადგენები:</p> <p>საგნობრივი საკითხი:</p> <p>კომპლექსური დავალების პირობა:</p>	
სოლო ტაქსონომიის დონე	შეფასების კრიტერიუმი მოსწავლემ:
აპსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების საშუალებას აძლევს. უკავ-შირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავ-შირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასო-ციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	

თუკი ტაქსონომიის მეორე, მესამე და მეოთხე საგნობრივი მიმართულების ფარგლებში მოიაზ-რებს ტრანსფერს, მეხუთე (აპსტრაქტულ დონეზე) მოსწავლე ახდენს შესწავლილი მასალის დეკონ-ტექსტუალიზებასა და საკუთარ პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას. გოგონებსა და ვაჟებს განსხვავებული გამოცდილებები აქვთ უმეტეს შემთხვევაში. ამიტომ დავალების პირობის შედგენის დროს ამ საკითხის გათალისწინება უმნიშვნელოვანესია. რეალურ პედაგოგიკაში სწორედ ამ (ანუ მეხუთე დონის) ტრანსფერის განხორციელებაა იმის ინდიკატორი, რომ მოსწავლე მაკრო ცნებებს / ზოგად კომპეტენციებს დაეუფლა. მულტისტრუქტურული და მიმართებითი (მესამე და მეოთხე) დონე კი იმავე მიმართულებით პროგრესის დასანახად შეიძლება გამოდგეს.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ მისაღწევად 2018 — 2023 წლების ეროვნულ სას-ნავლო გეგმაში ჩამოყალიბებულია სწავლა-სწავლების მისია და მიზნები. ეროვნული სასწალო გე-გმის დანერგვის ინსტრუმენტებში კი ეს მიზნები გარდაქმნილია მაკროცნებებად /ანუ პედაგოგი-კური ბუნების მქონე გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებად. აქ მაკროცნებები დაჯგუფებულია ევროსაბჭოს მიერ 2018 წელს შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით (**key competences for lifelong learning**), სადაც 8 კომპეტენცია გამოიყოფა:

1. **Literacy competence** – წიგნიერება;
2. **Multilingual competence** – მულტილინგვური კომპეტენცია;
3. **Mathematical competence and competence in science, technology and engineering** – მათემ-ატიკური წიგნიერება;
4. **Digital competence** – ციფრული წიგნიერება;
5. **Personal, social and learning to learn competence** – პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია;
6. **Citizenship competence** – მოქალაქეობრივი კომპეტენცია;
7. **Entrepreneurship competence** – სამეწარმეო კომპეტენცია;
8. **Cultural awareness and expression competence** – კულტურული მრავალფეროვნება და გა-მოხატვის თავისუფლება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილია ამ მიმართულებებთან დაკავშირებული მაკროცნებები და ამ ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აქვეა მოცემული შე-ფასების კრიტერიუმები თითოეულ ცნებასთან მიმართებით მოსწავლის წინსვლის შესამოწმებლად.

როგორ უნდა გამოიყენოს პრაქტიკაში მასწავლებელმა მაკროცნებებთან დაკავშირებული შე-ფასების კრიტერიუმები? - ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში შუალედური სას-წავლო მიზნის როლს კომპლექსური დავალება ასრულებს. კომპლექსური დავალების პირობაში, როგორც წესი, ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც რომელიმე სამიზნე ცნების (ანუ მიკროცნების) მკვიდრ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული. მასწავლებელმა, ქვემოთ მოცე-მული სიიდან უნდა შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი და ის უნდა გამოიყენოს კომპლექ-სური დავალების საშუალებით მაკროცნების / რომელიმე ზოგადი კომპეტენციების მიმართულებით მოსწავლის პროგრესის აღსაწერად / შესამოწმებლად / განმავითარებელი შეფასების კომენტარის ჩამოსაყალიბებლად.

თეორიულად შესაძლოა ნებისმიერი მაკროცნება ნებისმიერი საგნის სამიზნე ცნების საშუალებით გააქტიურდეს, თუმცა ეს არაპრაქტიკულია. რეალურ ვითარებაში სკოლა იღებს გადაწყვეტილებას რომელი საგანი რომელ საფეხურზე რომელ მაკროცნებაზე/ზოგად კომპეტენციაზე მუშაობისთვის გამოიყენოს.

1. წიგნიერება – Literacy competence

<p>მაკროცნება და მასთან დკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტიკულები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>გაგება</p> <ul style="list-style-type: none"> ტექსტის მოსმენა-წაკითხვა მეხმარება საკუთარი თავის, სხვა ადამიანების, სამყაროს უკეთ გაგებაში, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში; კითხვა/მოსმენა არის პროცესი, რომელსაც აქვს რამდენიმე ეტაპი; ცალკეული ეტაპისთვის შემიძლია შევარჩიო და გამოვიყენო კონკრეტული ხერხები, რომლებიც დამეხმარება ტექსტის გაგებაში, აზრის გამოტანაში, მიღწევების გაუმჯობესებაში. 	<ul style="list-style-type: none"> რით და როგორ გამდიდრდა თავისი გამოცდილება კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო ტექსტის წაკითხვის წყალობით; რა ხერხები გამოვიყენა კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო ტექსტის გასაგებად.
<p>ინტერპრეტირება</p> <ul style="list-style-type: none"> ინტერპრეტირება გულისხმობს: ტექსტში მოცემული ინფორმაციისა და პირადი ცოდნა-გამოცდილების დაკავშირებას; ტექსტის მნიშვნელობის ახსნას; ახალი იდეების შემუშავებას; ტექსტის ახალი კუთხით, განსხვავებული ფორმით წარდგენას. 	<ul style="list-style-type: none"> ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელსაც ტექსტი დაუკავშირა (გოგონებსა და ვაჟებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ).
<p>თხრობა</p> <ul style="list-style-type: none"> თხრობისას მოვლენები უნდა გადმოვცე თანამიმდევრულად; ამბავს აქვს დასაწყისი, შეუა ნაწილი და დასასრული; ამბავი უნდა გავამდიდრო სხვადასხვა დეტალით; მსმენელზე/მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მათ დასაინტერესებლად შემიძლია გამოვიყენო ხატოვანი ენა. 	<ul style="list-style-type: none"> რა ნიუანსები გაითვალისწინა კომპლექსური დავალების შედეგების პრეზენტაციისას.
<p>აღწერა</p> <ul style="list-style-type: none"> შესწავლის ობიექტს უნდა დავაკვირდე და დავადგინო, რა ნიშან-თვისებების/ კრიტერიუმების მიხედვით დავახასიათებ მას; აღწერისას ყურადღება უნდა გავამახვილო საგანთა ნიშან-თვისებებზე. 	<ul style="list-style-type: none"> არსობრივი ნიუანსები, რომლებზე დაყრდნობითაც შესწავლის ობიექტს აღწერდა.
<p>შედარება</p> <ul style="list-style-type: none"> შესწავლის ობიექტებს უნდა დავაკვირდე და დავადგინო, რა ნიშან-თვისებების/ კრიტერიუმების მიხედვით შევადარებ მათ ერთმანეთს; შედარებისას უნდა გამოვკვეთო მსგავსებები და განსხვავებები და დავაზუსტო, კონკრეტულად, რაში გამოიხატება შედარების ობიექტების მსგავსება ან განსხვავება. 	<ul style="list-style-type: none"> რა ნიშნით შეიძლება შესწავლის ობიექტის შედარება სხვა იბიექტებთან.
<p>აზრის გამოხატვა დასაბუთება</p> <ul style="list-style-type: none"> დასაბუთებული აზრის გამოსახატავად უნდა: გამოვთქვა ჩემი მოსაზრება; ავხსნა, რატომ ვფიქრობ ასე; მოვიყვანო მოსაზრების დამადასტურებელი კონკრეტული მაგალით(ები). 	<ul style="list-style-type: none"> არგუმენტები, რომლებითაც საკუთარ მოსაზრებებს დაასაბუთებს.

2. მულტილინგვური კომპეტენცია – Multilingual competence

<p>მაკროცნება და მასთან დავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>სტრატეგიები (ენობრივი კომუნიკაციისთვის)</p> <ul style="list-style-type: none"> ენობრივი კომუნიკაციის (საუბარში საკუთარი ჩართულობის უზრუნველყოფა, მოლაპარაკებებისას სხვების დარწმუნება) მართებულად წარმართვისთვის გარკვეული სტრატეგია უნდა მქონდეს შემუშავებული; კომუნიკაციისას მთავარია აუდიტორიის ფლობა - საკუთარი აზრის დამაჯერებლად გამოთქმა და სხვისი ნათქვამის მართებულად გაგება, საუბრის ტონის მართებულად შერჩევა, თვალით კონტაქტი, სხეულის ენაზე და ჟესტიკულაციაზე დაკვირვება, ერთი და იმავე მოსახრების განსხვავებულად ჩამოყალიბება, შეკითხვების დასმა, თავაზიანობის გამომხატველი ფრაზები და სხვა ხერხები მეხმარება; სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ენა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტილით საჭირო. 	<ul style="list-style-type: none"> რა დაბრკოლებები შეექმნა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას და მისი პრეზენტაციის პროცესში სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისას; როგორ შეძლო ამ სირთულეების გადაღაბვა.
<p>ინტერკულტურული გარემო</p> <ul style="list-style-type: none"> განსხვავებულ კულტურულ გარემოში კომუნიკაციის განსხვავებული სერხების გამოყენებაა საჭირო; კომუნიკაციის განსხვავებული ნორმები და წესები ერთი და იმავე ინფორმაციის განსხვავებულ აღქმას განაპირობებს; ენობრივ ფორმებში სოციალური ურთიერთობების ფორმებია კოდირებული (მაგალითად, მისალმება, მიმართვის ფორმები). 	<ul style="list-style-type: none"> განსხვავებული კულტურული გარემო, რომელთანაც შეხება მოუხდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში; რით განსხვავდება ეს გარემო მისთვის მშობლიური კულტურული გარემოსგან.

3. მათემატიკური წიგნიერება – Literacy competence, Mathematical competence and competence in science, technology and engineering

<p>მაკროცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>ფორმა</p> <ul style="list-style-type: none"> გარესამყაროში ყველაფერს საკუთარი სტრუქტურა აქვს, რაც განსაზღვრავს მის გარეგნულ ან ძირეულ ბუნებას. 	<ul style="list-style-type: none"> თავის მიერ შესწავლილი ობიექტის ფორმა და სტრუქტურა. მისი მსგავსება სხვა ანალოგიურ ფორმებთან.
<p>კავშირები</p> <ul style="list-style-type: none"> გარესამყაროში არსებული ობიექტები და იდეები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. 	<ul style="list-style-type: none"> როგორ უკავშირდება თავის მიერ შესრულებული დავალების იდეა სხვა იდეებს.
<p>ლოგიკა</p> <ul style="list-style-type: none"> მსჯელობისას გადამზევეტი მნიშვნელობა აქვს დასკვნათა სისწორესა და თანმიმდევრულობას. 	<ul style="list-style-type: none"> არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას საბოლოო დასკვნებამდე მივიდა..

<p>მოდელი/მოდელირება</p> <ul style="list-style-type: none"> რეალური მოვლენების გამოხატვა გამოსახულებების, განტოლების ან გრაფიკის საშუალებით შეიძლება. 	<ul style="list-style-type: none"> მოდელები (გრაფიკი, განტოლება, ფორმულა), რომელთა საშუალებითაც თავის მიერ შესწავლილი მოვლენის წარმოჩენა შეიძლება.
<p>რაოდენობა (რაოდენობრივი მსჯელობა)</p> <ul style="list-style-type: none"> რეალური ცხოვრებისეული მოვლენების აღწერა რიცხვითი მახასიათებლებით შეიძლება. 	<ul style="list-style-type: none"> რაოდენობრივი მახასიათებლები, რომელებითაც ოპერირება მოუხდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
<p>განზოგადება</p> <ul style="list-style-type: none"> გარესამყაროში არსებულ ბევრ ობიექტს/იდეას საერთო მახასიათებლები აქვთ, რაც მათი ურთიერთაკავშირებულად აღწერისა და შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. 	<ul style="list-style-type: none"> თავის მიერ შესწავლილი ობიექტის მსგავსება არსობრივი მახასიათებლების მიხედვით სხვა ობიექტებთან.
<p>კვლევა</p> <ul style="list-style-type: none"> ჭეშმარიტების დასადგენად რაიმე მოცემულობის დაწვრილებით, ბოლომდე შესწავლაა საჭირო; კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისას მნიშვნელოვანია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, უსაფრთხოების დაცვა, მონაცემის შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი, დასკვნის ჩამოყალიბება, მოდელის შექმნა. 	<ul style="list-style-type: none"> რა აქტივობები განახორციელა საკითხის შესწავლისას კვლევის თითოეულ ეტაპზე (მარტივი შეკითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა/მიზნის ფორმულირება, საკვლევი ობიექტის შესწავლა (ობიექტის პროცესების აღწერა და დახარისხება, კვლევის შედეგების პრეზენტაციისთვის მომზადება).
<p>კანონზომიერება</p> <ul style="list-style-type: none"> რიცხვების ან ობიექტების წყობა, განსაზღვრული მოწყობის წესს ექვემდებარება. 	<ul style="list-style-type: none"> კანონზომიერებები, რომლებთანაც შეხება მოუხდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
<p>გაზომვა</p> <ul style="list-style-type: none"> რაოდენობა, მოცულობა ან რაიმე განზოგადება შეფასდება შესაბამის ერთეულებში. 	<ul style="list-style-type: none"> საზომი ერთეულები, რომელთა გამოყენებაც მოუხდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

4. ციფრული წიგნიერება – Digital competence

<p>მაკროცნება და მასთან დკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტიკუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>ალგორითმი</p> <ul style="list-style-type: none"> ჩვენ გარშემო არსებული რეალობა პირობითი ნიშნებითა და მათი თანმიმდევრობით აწყობილ რეალობას წარმოადგენს; ამ ალგორითმის დანახვა მოვლენებისა და პროცესების უკეთ გააზრებაში ეხმარება. 	<ul style="list-style-type: none"> პირობითი ნიშნები, რომ-ლებსაც შეხვდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;
<p>ციფრული რესურსები და ტექნოლოგიები</p> <ul style="list-style-type: none"> ციფრული ტექნოლოგიები ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში ეხმარება; მათი გამოყენებით თავის წინაშე დასმულ ამოცანებს უფრო იოლად ასრულებს. 	<ul style="list-style-type: none"> რა ციფრული ტექნოლოგიები გამოიყენა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას; როგორ დაეხმარა ეს დასახული მიზნის მიღწევაში.
<p>ციფრული მოქალაქეობა</p> <ul style="list-style-type: none"> ციფრულ სამყაროში ისევე მართებს ეთიკის ნორმების დაცვა და ისევე ეკისრება სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება. 	<ul style="list-style-type: none"> რა ციფრული ტექნოლოგიები გამოიყენა; რამდენათ ზრუნავდა ეთიკის ნორმების დაცვაზე;

5. პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია – Personal, social and learning to learn competence

<p>მაკროცნება და მასთან დკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტიკუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>თვითონეფლექსია (საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება)</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანის მოტივაციაზე, აზროვნებასა და შეხედულებებზე სხვა-დასხვა ფაქტორი (მოთხოვნილებები, საჭიროებები, მიზნები და სხვა) ახდენს გავლენას; 	<ul style="list-style-type: none"> რა ფაქტორებმა შეუწყო/შეუშალა ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
<p>მსოფლიშედველობა</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანებს ერთმანეთისგან განსხვავებული ღირებულებები, შეხე-დულებები და კულტურული იდენტობა აქვთ; ამის გამო ისინი სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და განიცდიან (გრძნობა, ემოციები) სხვადასხვა სიტუაციას; ცრურნებული და სტერეოტიპები ზემოჩა-მოთვილი ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გამო იქმნება; სხვა ადამიანების მსგავსად მასაც აქვს თავისი მსოფლმშედველობა / ღირებულებათა სისტემა, რომელიც თანდათანობით იცვლება მის პიროვნულ განვითარებასთან ერთად; პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა კუთხით გაანალიზოს საკუთარი ქმედება; შეისწავლოს როგორ აღიქვა-მენ მის საქციელს სხვა ადამიანები. 	<ul style="list-style-type: none"> რით და რატომ შეიცვალა მისი მსოფლიშედველობა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

<p>პატივისცემა</p> <ul style="list-style-type: none"> თითოეული ადამიანი ჩვენ გარშემო პატივისცემას იმსახურებს განურჩევლად მსოფლმხედველობისა, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და ცხოვრების წესისა. 	<ul style="list-style-type: none"> რით და როგორ გამოხატა პატივისცემა განსხვავებული შეხედულებებისა და ცხოვრების წის წესის მქონე ადამიანების მიმართ.
<p>პასუხისმგებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> თითოეული ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარი შრომითი ვალ-დებულებების დროულად შესრულებაზე და გარშემო მყოფი ადამიანების განაწყენებასა თუ მათ წინაშე მობოლიშებაზე. 	<ul style="list-style-type: none"> პასუხისმგებლობები, რომლებიც დაეკისრა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
<p>სწავლის სწავლა / სწავლის სტრატეგიები (დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები)</p> <ul style="list-style-type: none"> ეფექტური სწავლისთვის მნიშვნელოვანია გამოიმუშაოს ხერხები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ისწავლოს; ეფექტური სწავლისთვის საჭიროა ყურადღება მიაქციოს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცა სამიზნე ცოდნის იდენტიფიცირება, სასწავლო რესურსების შერჩევა, ცოდნის გაღრმავება უკვე ნასწავლ საკითხებთან მიმართებით; სასწავლო ამოცანის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და მისი წყაროს და დაზუსტება; თვითშეფასება, საკუთარი ნაშრომის დამოუკიდებელი მონიტორინგი შემდეგი დავალებების უკეთ შესრულებაში დაეხმარება; 	<ul style="list-style-type: none"> რა ნაბიჯები გადადგა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში განსახილველი საკითხის შესასწავლად.

6. სამოქალაქო კომპეტენცია – Citizenship competence

<p>მაკროცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტიკუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>ადამიანის ღირსებები, უფლებები და თავისუფლებები</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანებს აქვთ პირადი და ადამიანური ღირსებები, უფლებები და თავისუფლებები, რომელთა შელახვაც არც ერთი მიზეზით არ შეიძლება. 	<ul style="list-style-type: none"> ითვალისწინებდა თუ არა ადამიანის ღირსებებს / უფლებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;
<p>დემოკრატიის პრინციპები</p> <ul style="list-style-type: none"> დემოკრატიის პრინციპებით (სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება) მოქმედება ადამიანის ღირსებებისა და უფლებების დაცვაში ეხმარება; მოქალაქეობრივი აზროვნება გულისხმობს სამართლიანობას, ყველა მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობას, კანონის უზენაესობას, გამჭვირვალეობას 	

7. მენარმეობა – Entrepreneurship competence

<p>მაკროცნება და მასთან დკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>იდეა; ინიციატივა</p> <ul style="list-style-type: none"> დემოკრატიულ საზოგადოებაში ინიციატივის გამოვლენა ყველგან და ყველა სფეროში შეიძლება; მენარმე მიზანსწრაფული, შემოქმედი ადამიანია, რომლის საქმიანობასაც მისთვის და საზოგადოებისთვის საჭირო სფეროების განვითარება მოსდევს; დასახული მიზნის მისაღწევად შეუპოვრობა, საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა, საკუთარი თავის რწმენა და ოფიციექტურობის განცდა ჭირდება; 	<ul style="list-style-type: none"> იდეა, რომლის მხარდაჭერა-განხორციელებაზეც იყო ორიენტირებული კომპლექსური დავალება; რა სამსახური გაუწია ამ იდეის ხორციელებამ საზოგადოებას; რა თვალსაზრისით დაჭირდა პიროვნული რესურსების მოპილიზება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;
<p>რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანებს აქვთ საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე მათ არ შეუძლიათ არსებობა. ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას რესურსები სჭირდება; საჭირო ნივთების დასამზადებლად გამოიყენება ბუნებრივი, ადამიანური და კაპიტალური რესურსი; ადამიანებმა საკუთარი მოთხოვნილებები უნდა დაიკმაყოფილონ იმგვარად, რომ რესურსები მომავალ თაობებსაც შეუნარჩუნონ. 	<ul style="list-style-type: none"> რა რესურსები დაჭირდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში; რას ითვალისწინებდა მათი გამოყენების პროცესში
<p>შედეგი</p> <ul style="list-style-type: none"> შედეგის მისაღებად პროცესის მართვაა (დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინირება) საჭირო; 	<ul style="list-style-type: none"> რა გააკეთა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას იმისთვის, რომ სასურველი შედეგი მიეღო.

8. კულტურული მრავალფეროვნება და გამოხატვის თავისუფლება – Cultural awareness and expression competence

<p>მაკროცნება და მასთან დკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:</p>	<p>კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის</p> <p>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p>
<p>კულტურული მრავალფეროვნება</p> <ul style="list-style-type: none"> კულტურული მრავალფეროვნება მსოფლიო ისტორიის მონაპოვარია; ადამიანის ქცევაზე, შეხედულებაზე, მსოფლმხედველობაზე, იდენტობაზე, რწმენაზე, ღირებულებებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კულტურული გარემო / კულტურული კუთვნილება. 	<ul style="list-style-type: none"> განსხვავებული ტრადიციები და მსოფლმხედველობა, რომლებსაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში წააწყდა; მისი დამოკიდებულება მათ მიმართ.
<p>ინტერკულტურული დიალოგი</p> <ul style="list-style-type: none"> განსხვავებული კულტურის ადამიანებს საკუთარი საზომით არ უნდა შევხედოთ. ყურადღება უნდა მივაქციოთ მათი კულტურის თავისებურებებს. 	

ცლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულურის აგენტის პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალ-დებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება ნლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

ნლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულური უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა და-მუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები - განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩობს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას. ეს მიზნები უცვლელია საბაზო საფეხურის ნებისმიერ თემასთან მიმართებით.

- სტანდარტის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგნის ფარგლებში?
- სამიზნე ცნებები - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;
- სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები - თითოეული ცნებისთვის უნდა განისაზღვროს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენები ზუსტდება ნლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულურის ფარგლებში;

დ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატურ შეკითხვებად გარდაი-ქმნება.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/ დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები. თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოიყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც სასწავლო რესურსის ავტორი/მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

ქვეცნებები - წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფა საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განისაზღვრება შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძლება;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებდეს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

ცარიელი მატრიცის ცხრილი

გრძელვადიანი მიზანი: სამიზნე ცნება და მასთან დაკავში- რებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი: სამიზნე ცნება: ქვეცნება:	საკვანძო შეკითხვა	შუალედური სასწავლო მიზანი კომპლექსური დავალების პირობა				
	<p>კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რე-სურსები, აქტივობები):</p> <p>I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა</p> <p>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>აქტივობა 1 რესურსი:</p> <p>აქტივობა 2 რესურსი:</p> <table border="1"> <tr> <td>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირო- ბისეული) კონსტრუირე- ბაზე ორიენტირებული შეკითხვები.</td> <td></td> </tr> </table> <p>II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი</p> <p>ნაბიჯი 1.</p> <p>აქტივობა 3 რესურსი:</p> <p>აქტივობა 4 რესურსი:</p> <table border="1"> <tr> <td>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პრო- ცედურული, პირობისეუ- ლი) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხ- ვები.</td> <td></td> </tr> </table>	სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირო- ბისეული) კონსტრუირე- ბაზე ორიენტირებული შეკითხვები.		სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პრო- ცედურული, პირობისეუ- ლი) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხ- ვები.			
სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირო- ბისეული) კონსტრუირე- ბაზე ორიენტირებული შეკითხვები.							
სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პრო- ცედურული, პირობისეუ- ლი) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხ- ვები.							

	<p>ნაბიჯი 2.</p> <p>აქტივობა 5 რესურსი: აქტივობა 6 რესურსი:</p> <div style="border: 1px solid black; padding: 10px;"> <p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცე- დურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენ- ტირებული შეკითხვები.</p> </div> <p>ნაბიჯი 3. აქტივობა 7 რესურსი: აქტივობა 8 რესურსი:</p> <div style="border: 1px solid black; padding: 10px;"> <p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცე- დურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენ- ტირებული შეკითხვები,</p> </div> <p>მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმუ- ლი შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა იყო შენთვის, ყველაზე საინტერესო, რო- მელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში/ ცხოვრებაში? • რა დაბრკოლებებს წააწყდი, დავალებაზე მუშაო- ბის პროცესში? • რას გააკეთებდი, სხვაგვარად, ახლა რომ იწყებ- დე დავალებაზე მუშაობას? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომები- სგან? 	
--	---	--

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შედეგები და სამიზნე ცნებები სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული, ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები კი წლიური პროგრამის აგებისას თითოეულ სკოლას შეუძლია თავად განსაზღვროს.

სკოლამ ასევე თავად უნდა დაადგინოს სამიზნე ცნებების ფლობის დონეები სოლო-ტაქსონომი-ის დონეების მიხედვით.

შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები საკითხი, ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები და შეფასების კრიტერიუმები ასრულებენ.

თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა თემატური მკვიდრი წარმოდგენები.

სასწავლო თემის აგების ეტაპები (ნაბიჯები)

ნაბიჯი 1. თემატური მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

ნაბიჯი 2. თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების განსაზღვრა.

ნაბიჯი 3. თემის ფარგლებში/თემაში წარმოდგენილ თითოეულ საკითხთან მიმართებით თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებების განსაზღვრა.

ნაბიჯი 4. საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალებების პირობის განსაზღვრა.

ნაბიჯი 5. კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა.

ნაბიჯი 6. აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომლებიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მნიშვნელოვანი მიდგომები

გაკვეთილებზე მოსწავლეები ხშირად სვამენ „რატომ“ კითხვებს. სწავლების პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ ამ კითხვების დიდი ნაწილი შეიცვალოს „როგორ“ კითხვებით. „როგორ“ კითხვები ბევრად უფრო ამძაფრებს კვლევის წინაპირობას, ვიდრე „რატომ“ კითხვები. გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა აღძრას ინტერესი საკითხისა თუ თემის ირგვლივ, გაზარდოს მოტივაცია. მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდებათ მოსწავლეებს დამატებითი კითხვები, თუ „როგორ“ და „რატომ“ წარმოიშვა ესა თუ ის ფენომენი. საწყისი შეკითხვა შეიძლება მოდიოდეს მოსწავლისაგან, მასწავლებლისაგან, სახელმძღვანელოდან, ინტერნეტიდან ან რაიმე სხვა წყაროდან. კითხვის განსაზღვრაში მასწავლებელი გადამწყვეტ როლს ასრულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი იმ შემთხვევაში, თუ კითხვა მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ. ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით კითხვების შერჩევის დროს მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს მოსწავლეების წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეების მიერ დასმული კითხვა გამომდინარეობს მათივე დაკვირვებებით მიღებული ინფორმაციიდან, ამდენად, პასუხიც მათ ცოდნასა და განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. კვლევა მოსწავლეებისათვის საინტერესო ხდება მაშინ, თუ ის მათვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს ეფუძნება, რომელსაც აქვს კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სტანდარტის მოთხოვნების მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლე ჩართული იყოს კვლევა-ძიების პროცესებში და ჰქონდეს უწყვეტი პრაქტიკა. მოსწავლეები კვლევის არსს ვერ იგებენ მხოლოდ ტერმინების, მაგალითად, ჰიპოთეზა - დასწავლით, ან სხვა-დასხვა პროცედურის, მაგალითად, მეცნიერული კვლევის ეტაპების — დამახსოვრებით. მოსწავლე თვითონ უნდა იყოს ჩართული პროცესში; მაგ., თვითონ განსაზღვროს კვლევის ეტაპები, რათა უფრო ღრმად ჩასწვდეს მის არსს. ამასთან, კვლევა-ძიებითი აქტივობების მხოლოდ ჩატარება არ კმარა. კვლევა-ძიება და მისი შედეგების გააზრება ერთდროულად უნდა ხდებოდეს. სწავლა-სწავლების ახალი მიდგომა მოითხოვს მოსწავლეების ჩართვას მეცნიერული ცოდნის შეფასებაში. კვლევაში ჩართულმა მოსწავლეებმა და მასწავლებელმა უნდა დასვან შემდეგი კითხვები:

- რა ხდება, რა მოვლენა ან პროცესი მიმდინარეობს?
- მოვლენის/პროცესის რა მახასიათებლები გვაქვს?
- რომელი მახასიათებლები არ გვჭირდება?
- რა სახის ცვლადები გვაქვს?
- პასუხობს თუ არა მიღებული მონაცემები კვლევის მიზანს?
- რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ მონაცემებს?
- რით სჯობს ერთი რომელიმე ახსნა დანარჩენებს?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესში პრაქტიკული სამუშაოს გამოყენებას ფუნდამენტური როლი ენიჭება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეძლოს კლასში პრაქტიკული სამუშაოს ეფექტიანი წარმართვა და უსაფრთხო გარებოს უზრუნველყოფა. პრაქტიკული სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოს შედეგების განხილვისა და შეჯამების მიზნით დისკუსიის წარმართვას.

მიზნების გათვალისწინებით, სწავლების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი სახის პრაქტიკული სამუშაოები:

1. სადემონსტრაციო ცდა — პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანია კონკრეტული მეცნიერული მოვლენის ილუსტრირება;

2. გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოები — სავარჯიშოები, რომლებიც ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას, ხელსაწყოების მოხმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება;

3. კვლევა-ძიებითი პრაქტიკული სამუშაოები — მათი მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ კვლევა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყენები კვლევის ციკლის ეტაპებს, გამოიყენონ გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოების დროს მიღებული ცოდნა და უნარები.

4. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პრაქტიკული სამუშაოები — გულისხმობს ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლეებს რეალური ობიექტებით მანიპულირების გზით უწევთ პრობლემის გადაჭრა - პრაქტიკული გამოსავლის მოძებნა.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და დავალების შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს დავალება (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე — მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფთან ერთად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე — მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

წინმდებრებისა, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი

საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. სოლო ტაქსონომია (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია - ინგლ. **SOLO - Structure of Observed Learning Outcomes**), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

SOLO 1: პრე-სტრუქტურული დონე

მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხებს.

SOLO 2: უნისტრუქტურული დონე

მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პერიფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.

SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე

მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.

SOLO 4: მიმართებითი დონე

მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით.

SOLO 5: გაფართოებული აპსტრაქტული დონე

მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.

საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, მოდელირება, პროექტი, პრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები; ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი, საველე/გასვლითი სამუშაოს ანგარიში და სხვა.

ტესტი – ტესტური დავალებების ერთობლიობა. ტესტური დავალებები შეიძლება იყოს როგორც დახურული, ასევე - ღია. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში, სასურველია, არ აღემატებოდეს 30%-ს. ღია ტიპის დავალებები უნდა ამონშებდეს მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარებს. სასურველია, ღია ტიპის ტესტურ დავალებებში წამყვანი იყოს კითხვები „რატომ“, „როგორ“. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტური დავალებები უნდა მოიცავდეს სქემების, ნახატების და ნახაზების წაკითხვის, გაგებისა და ანალიზის კომპონენტების. მოსწავლეს უნდა მოეთხოვებოდეს გრაფიკული მაორგანიზებლებით მოცემული ინფორმაციის წაკითხვა და/ან გრაფიკული მაორგანიზებლების აგება პროცესების აღწერის მიზნით.

კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული დავალებები (მათ შორის ექსპერიმენტული სამუშაოები) – დავალებები, რომლებიც მოითხოვენ მოსწავლეების ჩართვას როგორც პრაქტიკულ კვლევით აქტივობებში, ისე მონაცემების დამუშავების, ანალიზის ინტერპრეტაციაში.

მოდელირება – პროცესის, მოვლენის, ობიექტის ანალოგის გამოყენება ან/და შექმნა. მოდელი შეიძლება იყოს როგორც ორგანზომილებიანი (სამეცნიერო ნახატი/ნახაზის შექმნა), ასევე სამგანზომილებიანი. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ახსნან მოდელის კომპონენტების ფუნქციები, მოდელის დახმარებით აღწერონ პროცესები, მოდელი შექმნან გარკვეული პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია მოსწავლეებმა იმსჯელონ მოდელის შეზღუდვებზე (მაგ., ატომის სიბრტყეზე გამოსახული სქემა არასრულფასოვნად აჩვენებს, როგორ მოძრაობენ ელექტრონები ატომბირთვის გარშემო).

პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები – შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის განსაზღვრას, ანალიზს, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევასა და პრობლემის გადაჭრას. პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალება უნდა იძლეოდეს ალტერნატიული გადაჭრის გზების არსებობის შესაძლებლობას.

პროექტი – შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, პროექტის დაგეგმვისა და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს, პროექტის საბოლოო პროდუქტს.

პრეზენტაცია – შესრულებული ნაშრომის წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაცია არ უნდა იყოს მოძიებული ინფორმაციის წარდგენა. საპრეზენტაციო დავალება უნდა იძლეოდეს საშუალებას, თითოეულმა მოსწავლემ/ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი ორიგინალური გადაწყვეტილება, ანალიზი, შეფასება ან სხვა.

რა არის კომპლექსური დავალება?

კომპლექსური დავალება ისეთი დავალებაა, რომლის შესრულება გულისხმობს პროდუქტის (ვიდეო, პოსტერი, ესე, მოდელი, ელექტრონული წიგნი, სქემა, კვლევის ანგარიში, კომიქსი და სხვა) შექმნას. ამ გზით მოსწავლე ადასტურებს კომპეტენციას კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.

კომპლექსური დავალების პირობის შედეგისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- ეხება კონკრეტულ საგნობრივ საკითხს;
- მოსწავლე დავალებაზე მუშაობის შედეგად ქმნის შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტს;
- კომპლექსური დავალება გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე.

კომპლექსური დავალების უპირატესობები:

- მოსწავლე დავალებაზე მუშაობის დროს თავად არის თავის მიერ შექმნილი პროდუქტის წარმდგენი;
- ხედავს დავალების გამოყენების შესაძლებლობას ყოველდღიურობაში;
- მოსწავლე ქველ ცოდნას უკავშირებს ახალ მასალას;
- დავალებაზე მუშაობა გარკვეული პერიოდი გრძელდება და მოსწავლის საქმიანობას მასწავლებელი გზადაგზა განმავითარებელი შეფასებით აფასებს და მოსწავლის ნაშრომი იხვერება და სრულყოფილი ხდება; ამავე დროს ის გრძნობს მასწავლებლის მხარდაჭერას;
- მოსწავლე დავალების შესრულებისთვის სხვადასხვა საგანში ან ერთსა და იმავე საგანში სხვადასხვა საკითხის ცოდნას აკავშირებს ერთმანეთთან; ამით იაზრებს, მაგალითად, ბიოლოგიის შესწავლაში ქიმიისა და ფიზიკის საკითხების ცოდნის მნიშვნელობას.

როგორ ჩამოვაყალიბოთ შუალედური სასწავლო მიზანი გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე?

შუალედური სასწავლო მიზანია კომპლექსური დავალება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს:

- რა მიზნით ასწავლის კონკრეტულ საკითხს (ანუ რა კავშირია საკითხსა და სამიზნე ცნებასა და მკვიდრი წარმომდგენა;
- რას ასწავლის – რომელ საკითხზე ხდება მუშაობა;
- როგორ ასწავლის – რა სახის კომპლექსურ დავალებას სთავაზობს;

კომპლექსურ დავალებაში მეაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული რომელ სამიზნე ცნებას და მკვიდრ წარმომდგენას შეესაბამება ის. ხშირად ერთი კომპლექსური დავალება რამდენიმე სამიზნე ცნებას უკავშირდება; ასევე მეაფიოდ უნდა იკვეთებოდეს საკითხი, რომლის დამუშავებასაც კომპლექსური დავალება ემსახურება. თემატიკურ მატრიცაში განერილია ის აქტივობები, რომელსაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს ასრულებს მოსწავლე. მოსწავლემ დასაწყისშივე უნდა იცოდეს რა პროდუქტი უნდა შექმნას და რაში გამოიყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში. კომპლექსურ დავალებაში უნდა ჩანდეს თემა, რომელსაც კომპლექსური დავალება შექსაბამება. კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმომდგენებიდან; კომპლექსური დავალება ყველა მოსწავლემ უნდა შეასრულოს და წარადგინოს კლასში (უკეთესია წარდგენა მოხდეს ინდივიდუალურად, თუმცა დროის დეფიციტის გათვალისწინებით შესაძლებელია მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება ჯგუფებშიც დაამუშაონ). თუ კლასში არის სსსმ მოსწავლე კომპლექსური დავალების ადაპტირება ხდება მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით.

კომპლექსური დავალების ბარათის ფორმა

<p>კლასი</p> <p>საგანი</p>
<p>სამიზნე ცნება</p>
<p>საკითხი</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა</p>

რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესრულებისას
(ამ ველში იწერება დავალებაზე მუშაობისთვის დამხმარე მასალა, მაგალითად, ვიდეოს, სიმულაციის, საკითხავი მასალის ბმულები; ასევე სიმულაციაში მუშაობის ინსტრუქცია; ექსპერიმენტის დროს გასათვალისწინებელი ნიუანსები და სხვა)

კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მაგალითად:

<p>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)</p>	<p>შეფასების კრიტერიუმები (მოდიფიცირებული)</p>
<p>სტრუქტურა და ფუნქცია მოსავლემ უნდა გააცნობი-ეროს, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> ყველა ორგანიზმი შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან; თითოეული ნაწილი სპეციფიკურ ქმედებას ახორციელებს; ორგანიზმების აგებულება და ფუნქციები შეესაბამება გარემო პირობებს; ცოცხალის აგებულება შეესაბამება მის ფუნქციას. 	<p>კომპლექსური დავალების პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> როგორი აგებულება აქვს ორგანიზმს? რა ფუნქციას ასრულებს ბიოლოგიური სისტემის თითოეული კომპონენტი? როგორ შეესაბამება ორგანიზმის ან მისი რომელიმე კომპონენტის აგებულება და ფუნქცია გარემო პირობებს? როგორ შეესაბამება უჯრედის, ორგანიზმის, ორგანიზმის აგებულება მის ფუნქციას? 	<p>კომპლექსური დავალების პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> როგორი აგებულება აქვს მცენარის უჯრედს? რა ფუნქციას ასრულებს მიტოქონდრია? როგორ შეესაბამება ცხოველის უჯრედის აგებულება და ფუნქცია გარემო პირობებს? როგორ შეესაბამება მიტოქონდრიის გარეთა და შიდა მემბრანების აგებულება მათ ფუნქციებს?

სოლო ტაქსონომია

ბლუმის ტაქსონომია სასარგებლოა იმ მხრივ, რომ მან გააფართოვა სწავლის მნიშვნელობა უპრალო დამახსოვრებიდან მოვლენის ანალიზამდე და შეფასებამდე. ეს ექვსსაფეხურიანი პირა-მიდა დღემდე წარმატებით გამოიყენება გაკვეთილების დაგეგმვის დროს, შეკითხვების დასმის პროცესში. ბლუმის ტაქსონომიის შეფასების შემდეგ, 1982 წელს ჯონ ბიგსმა ჩამოაყალიბა ე.წ. **SOLO (Structure of Observed Learning Outcome)** ტაქსონომია (სწავლების შედეგზე დაკვირვების სტრუქტურა). სოლო ტაქსონომია მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის სწავლის პროცესის შესწავლაში.

სოლო ტაქსონომია მოიცავს ხუთ დონეს:

I. პრესტრუქტურული დონე – მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას. (მოსწავლეს არ აქვს იდეა)

II. უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება, იყენებს ტერმინოლოგიას, შეუძლია ტერმინის გახსენება, მარტივი ინსტრუქციის/ალგორითმის შესრულება, თავისი სიტყვებით გადმოცემა, დასახელება, ჩამოთვლა, იდენტიფიცირება. (მოსწავლეს აქვს ერთი იდეა)

III. მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, ამ დროს ვერ ამყარებს მათ შორის მიმართებებს, შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, კლასიფიკაცია, პროცედურების შესრულება. (მოსწავლეს აქვს ბევრი იდეა, თუმცა ვერ აკავშირებს ერთმანეთთან)


IV. მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ნაწილებისგან შექმნას მთლიანი; შეუძლია შედარება და მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება; (მოსწავლე ამყარებს კავშირს რამდენიმე იდეას შორის)

V. გაფართოებული აპსტრაქტული დონე – მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის წარმოდგენა აპსტრაქტულად, მისი აღქმა და სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, იდეების ტრანსფერი სხვა სიტუაციაში, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, არგუმენტის მოყვანა; (მოსწავლეს შეუძლია იდეების ინტეგრირება)

ბლუმისა და სოლო ტაქსონომიების შედარება

ბლუმის ტაქსონომია	სოლო ტაქსონომია
დასმული კითხვა და პასუხი ერთი დონის შესაბამისია.	კითხვა და პასუხი შესაძლებელია სხვადასხვა დონეს შეესაბამებოდეს.
ცოდნა გამიჯნულია ინტელექტუალური პროცესისგან.	სოლო ტაქსონომია დაფუძნებულია გაგების პროცესზე.
მოსწავლე თანდათან მიიწევს პირამიდის მწვერვალისკენ.	მოსწავლე შესაძლებელია სხვა საფეხურზე გადავიდეს ქვედა საფეხურების გამოტოვებით.
ეს არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა მარტივიდან რთულისკენ, მათი ემოციური, ფსიქომოტორული და შემეცნებითი მიმართულებით.	ეს არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა სწავლის პროცესში მარტივიდან რთულისკენ.

სოლო – სად ვარ მე?



პრესტრუქ-
ტურული –
არ შემიძლია,
დამარტება
მჭირდება


უნისტრუქ-
ტურული –
მე შემიძლია
მარტივი
ინსტრუქციის
შესრულება,
დასათაურება

მულტისტრუქ-
ტურული –
მე შემიძლია
მარტივი
გამოთვლა

მიმართულებითი
– მე შემიძლია
ახსნა, ანალიზი

გაფართოებული
აპსტრაქტული – მე
შემიძლია შექმნა,
შეფასება

ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისობა სოლო ტაქსონომიასთან



თუ სოლო ტაქსონომიას დავაკავშირებთ შეფასებასთან, დონეები ასე გამოიყურება:

- პრესტრუქტურული დონე – „არა“ დამაკმაყოფილებელი
- უნისტრუქტურული დონე – „ძლიერს“ დამაკმაყოფილებელი
- მულტისტრუქტურული დონე – „ზომიერად“ დამაკმაყოფილებელი
- მიმართებითი დონე – „ძალიან“ დამაკმაყოფილებელი
- გაფართოებული აბსტრაქტული დონე – ყველაზე სასურველი

სოლო ტაქსონომია

პრესტრუქტურული დონე	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან / და საერთოდ სცდება მნიშვნელობას/აზრს.
უნისტრუქტურული დონე	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირის დამყარება. ✓ მოსწავლეს შეუძლია ტექნოლოგის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა, მარტივი ინსტრუქციის შესრულება, პერიფრაზირება, იდენტიფიცირება, დასახელება, ჩამოთვლა.
მულტისტრუქტურული დონე	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. ✓ მოსწავლეს შეუძლია აღწერა, კლასიფიცირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება.
მიმართებითი დონე	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებაა რამდენიმე ასპექტს შორის, როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთლიანობას. ✓ ამყარებს მიმართებებს, აანალიზებს, იყენებს თეორიებს. ✓ მოვლენას ხსნის მიზეზშედეგობრივი კუთხით.
გაფართოებული აბსტრაქციის დონე	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოსწავლეს შეუძლია მოცემულის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა სხვადასხვა კუთხიდან. ✓ იდეების გადატანა ერთი სფეროდან მეორეში. ✓ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება; კრიტიკა.

**მოსწავლის ნიგენის შინაარსის შესაბამისობა ეროვნული
სასწავლო გეგმის სტაციარტით განსაზღვრულ სავალდეპულო
თემების შინაარსთან და სამიზნე ცხერებთან**

თემა/თემის შესაბამისი საკითხი	სამიზნე ცნება				
თემა – უჯრედის ბიოლოგია. 1 – სიცოცხლის მოლეკულები. (საათების სა- ვარაუდო რაოდე- ნობა: 12+1)	სტრუქტურა და ფუნქცია	სასიცოცხლო თვისებები	ჯანმრთელობა და დაავადება	ბიომრავალფეროვნება	მაკროცნება: კვლევა
1.1 უჯრედის ქიმიური შედგე- ნილობა. არაორ- განული ნივთიერ- ებები;					
1.2 ორგანული ნივთიერებები. ცილები					
1.3 ცილების დანიშნულება უჯრედსა და ორგანიზმებში					
1.4 ნახშირწყ- ლები					
1.5 ლიპიდები					
1.6 დეზოქსი- რიბონუკლეინის მჟავა. დნმ-ის ალ- მოჩენის ისტორია					
1.7 დნმ-ის ორმა- გი სპირალი					

თემა/თემის შესაბამისი საკითხი	სამიზნე ცნება				
თემა – უჯრედის ბიოლოგია. 2 – უჯრედის კომ- პონენტები. (საათების სავარა- უდო რაოდენობა: 21+1)	სტრუქტურა და ფუნქცია	სასიცოცხლო თვისებები	ჯანმრთელობა და დაავადება	ბიომრავალფეროვნება	მაკროცნება: კვლევა
2.1 უჯრედული თეორია					
2.2 პლაზმური მემბრანა					
2.3 ბირთვი, რიბოსომა, ენდო- პლაზმური ბადე, გოლჯის კომპლე- ქსი					
2.4 მიტოქონდრია, პლასტიდები, ლიზოსომა, პერიქ- სისომა, ცენტრალ- ური ვაკუოლი					
2.5 ციტოჩონჩინი, უჯრედის ცენ- ტრი, უჯრედგარე მატრიქსი					

თემა/თემის შესაბამისი საკითხი	სამიზნე ცნება				
თემა – უჯრედის ბიოლოგია. 3 – უჯრედული მეტაბოლიზმი (საათების სავარა- უდო რაოდენობა: 15 +1)	სტრუქტურა და ფუნქცია	სასიცოცხლო თვისებები	ჯანმრთელობა და დაავადება	ბიომრავალფეროვნება	მაკროცნება: კვლევა
3.1 უჯრედული სუნთქვა					
3.2 ფოტოსინთეზი					
3.3 მცენარის სუნთქვა და ფოტოსინთეზი					
3.4 დნმ-ის გაორ- მაგება – რეპლი- კაცია					
3.5 ჰიპოთეზა „ერთი გენი – ერთი ცილა“					
3.6 გენეტიკური კოდი. ტრანსკრიფ- ცია, ტრანსლაცია					

გთავაზობთ სარეკომენდაციო ხასიათის მატრიცებს, კომპლექსური დავალებების ბარათების ნიმუშებს და SOLO ტაქსონომიის ცხრილებს.

თემატური მატრიცები

კლასი: 10

**თემა – უჯრედის ბიოლოგია. 1- სიცოცხლის მოლეკულები
სასთანის სავარაუდო რაოდენობა: 12 + 1 სთ**

<p>თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. როგორ უკავშირდება ნყლის თვისავები და ფუნქცია მის აგებულებას? 2. როგორ უკავშირდება ნივთიერების ფუნქციები უჯრედში მის ქმიურ აგებულებას? 3. როგორ ნარმონიუმენბა ცილის პირველადი, მუორული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურები? 4. როგორ შესაბამება ცილების აგებულება მათ ფუნქციებს? 5. როგორ შესაბამება ლიპიდების აგებულება მათ ფუნქციებს? 6. როგორ შესაბამება ნახშირნყლების აგებულება მათ ფუნქციებს? 7. როგორ შესაბამება დნმ-ის აგებულება მის ფუნქციას? 	<p>მაკროცნება/მაკროცნებასთან დასავალი უჯრედი კრიტიკული:</p> <p>კვლევა</p> <p>მოსწოდებულება გააცნობიეროს, რომელიც მოსწოდებული აქტივობა, რომელიც იძლევა ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების შესრულების საშუალებას; კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპრემინტის / ცდის, საველე პრაქტიკას, დაცვოლებისა და მოდელირების გზით</p> <ol style="list-style-type: none"> 2. ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების ამსახველ მოდელებს ახასიათებს გარევიული შეზღუდვები 3. კვლევის ძირითადი ეტაპებია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ცვლადების, პროცედურებისა და რეუსრსების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნა 4. მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების ჩატარების დღის; 5. მცდიდრებისა და ტენიოლოგიების განვითარება ეფუძნება კვლევების გზით გაკეთებულ აღმოჩენებს, თეორიებსა და კანონებს მათი შენაველი და კვლევითი უნარების გამომუშავება მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, პროფესიალური უნარებისა და არჩევისას.
<p>თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</p> <p>კვლევა</p> <p>მოსწოდებულება გააცნობიეროს, რომელიც მოსწოდებული აქტივობა, რომელიც იძლევა ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების შესრულების საშუალებას; კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპრემინტის / ცდის, საველე პრაქტიკას, დაცვოლებისა და მოდელირების გზით</p> <ol style="list-style-type: none"> 2. ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების ამსახველ მოდელებს ახასიათებს გარევიული შეზღუდვები 3. კვლევის ძირითადი ეტაპებია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ცვლადების, პროცედურებისა და რეუსრსების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნა 4. მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების ჩატარების დღის; 5. მცდიდრებისა და ტენიოლოგიების განვითარება ეფუძნება კვლევების გზით გაკეთებულ აღმოჩენებს, თეორიებსა და კანონებს მათი შენაველი და კვლევითი უნარების გამომუშავება მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, პროფესიალური უნარებისა და არჩევისას. 	<p>თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</p> <p>კვლევა</p> <p>მოსწოდებულება გააცნობიეროს, რომელიც მოსწოდებული აქტივობა, რომელიც იძლევა ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების შესრულების საშუალებას; კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპრემინტის / ცდის, საველე პრაქტიკას, დაცვოლებისა და მოდელირების გზით</p> <ol style="list-style-type: none"> 2. ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების ამსახველ მოდელებს ახასიათებს გარევიული შეზღუდვები 3. კვლევის ძირითადი ეტაპებია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ცვლადების, პროცედურებისა და რეუსრსების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნა 4. მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების ჩატარების დღის; 5. მცდიდრებისა და ტენიოლოგიების განვითარება ეფუძნება კვლევების გზით გაკეთებულ აღმოჩენებს, თეორიებსა და კანონებს მათი შენაველი და კვლევითი უნარების გამომუშავება მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, პროფესიალური უნარებისა და არჩევისას.

საკუთხევლები და კვეცნებები (დასახულება)	სამიზნე ცნებები და კვეცნებები	საკონტაქტო/ქვესაკონსენტი	საკანკლო შეკითხვები
კვლევის ანგარიშის შედეგების გაანალიზების საფუძველზე დასაცვებების ჩამოყალიბება.	<p>ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია კვეცნება: ორგანული და არაორგანული ნივთიერებები.</p> <p>ცნება: სასიცოცხლო თვისტები კვეცნება: მეტაბოლიზმი</p> <p>ცნება: ჯანმრთელობა და დაავალებები კვეცნება: ჰომეოსტაზი</p> <p>ცნება: ბიომრავალფეროვნება კვეცნება: ნივთიერებების მრავალფეროვნება; მაკროცნება: კვლევა კვეცნება: კვლევის ანგარიში; დასკვნა.</p>	<p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წყალი და მარილები;</p> <p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წილი და გარილები;</p> <p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წილი და გარილები;</p> <p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წილი და გარილები;</p>	<p>როგორ მოვამზადო კვლევის ანგარიშის მიხედვით დასკვეცნების დიაგნოსტის განვალი გვისაცვლელზე?</p>
ცილის მოდელისა და მისი ანოტაციის შექმნა.	<p>ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია კვეცნება: ორგანული და არაორგანული ნივთიერებები.</p> <p>ცნება: ბიომრავალფეროვნება კვეცნება: ნივთიერებების მრავალფეროვნება; მაკროცნება: კვლევა კვეცნება: მოდელი</p>	<p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წილი და გარილები;</p> <p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წილი და გარილები;</p>	<p>როგორ დავამზადო ცილის მოდელი და მისი ანოტაცია, რომელშიც გასაუბრობ მის ტალღი და სურ მხარეებზე?</p>
ფერმენტის აქტივობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება და ანგარიშის შექმნა.	<p>ცნება: სასიცოცხლო თვისტები კვეცნება: მეტაბოლიზმი</p> <p>ცნება: ჯანმრთელობა და დაავალებები კვეცნება: ჰომეოსტაზი</p> <p>ცნება: ბიომრავალფეროვნება კვეცნება: ნივთიერებების მრავალფეროვნება; მაკროცნება: კვლევა კვეცნება: მოდელი</p>	<p>საკოთხო: უჯრედის შეღგნილობაში შემსვალი ნივთიერებები კვესაკითხები: წილები ფუნქციები;</p>	<p>როგორ შევისწავლო ფერმენტის აქტივობაზე მოქმედი ფაქტორების მიზნით კვლევის ჩატარების ანგარიშის შექმნა?</p>

<p>ნახშირაწყლების თვეისებისა და გამოყენების ასაძლელი პრეზენტაციის მომზადება.</p>	<p>ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია ქვეცნება: ორგანიზაციული და არაორგანიზაციული ნივთიერებები.</p> <p>ცნება: სასიცოცხლო თვესახები ქვეცნება: მუტაპოლიტიზმი, კვება, ზრდა;</p> <p>ცნება: ჯანმრთელობა და დაავადებები ქვეცნება: ჰიომეოსტაზი</p> <p>ცნება: ბიომრავალფეროვნება ქვეცნება: ნივთიერებების მრავალფეროვნება;</p>	<p>საკითხი: უჯრედის შედეგ-ნილობაში შემავალი ნივთიერებები ქვესაკითხები: ნახშირნები;</p> <p>ცნება: სასიცოცხლო თვესახები ქვეცნება: მუტაპოლიტიზმი, კვება, ზრდა; ცნება: ჯანმრთელობა და დაავადებები ქვეცნება: ჰიომეოსტაზი</p> <p>ცნება: ნივთიერებების მრავალფეროვნება; ქვეცნება: ჰიომეოსტაზი</p>	<p>როგორ მოვაწიადო პრეზენტაცია ნახშირაწყლების თვეისებისა და გამოყენების შესახებ, რომელიც ასახავ როგორ შესაბამება შეიცავსა კითხები: ნახშირნების მათი გამოყენება ნახშირნების ქმრიულ შეფერხლობასა და სტრუქტურას?</p>
<p>დემოს აზრობენისა და შესრულება</p>	<p>გზის შესახებ და საპრეზენტაციო მოასალის მომზადება.</p>	<p>ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია ქვეცნება: ორგანიზაციული და არაორგანიზაციული ნივთიერებები.</p> <p>ცნება: სასიცოცხლო თვესახები ქვეცნება: მუტაპოლიტიზმი, მეტადორობა.</p> <p>ცნება: ბიომრავალფეროვნება; ქვეცნება: კვლევა</p>	<p>როგორ გამოისახო საპრეზენტაციოსა და მასალაში დანმ-ის აღმოჩენისას და სა შესწავლის გზა?</p>



<p>გრძელვადიანი მიზნები: სამიზნო ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი ნარჩოლებენები</p> <p>საკონხი/ევსაკონხები ქვეპრენდაჭვებები</p> <p>საკონხი: ცჯრების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები</p> <p>ქვესაკონხები: წყალი და მარილები;</p> <p>ცნება: სტრუქტურული და ფუნქცია ქვეცნება: ორგანული და არგავანული ნივ- თიერებები.</p> <p>ცნება: სასიცოცხლო თვისებები</p> <p>ქვეცნება: მუტაბილიტეტი</p> <p>ცნება: ჯანმრთელობა და დაავალებები;</p> <p>ქვეცნება: ჰომიოსტაზი</p> <p>ცნება: ბიომრავალფეროვნება;</p> <p>ცნება: ნივთიერებებს სრ მრავალფეროვნება;</p> <p>ცნება: კვლევის ანგარიში; დასკვნა.</p>	<p>საკვანძო შეკონხება / შეკონხები</p> <p>როგორ მომზადება ეცლების ანგარიშის დასკვნები დაა- გრატების განახო- ზების საფუძვლები?</p> <p>ქავისაუკისრობის მიზნები: წარმომადგ- ინებ, რომ დაეცილოთ ხარ- და გამოცილებული სტატიას. ნალიში გამოქვეყნდებულ სტატიას. მეცნიერებმა ცდაში მონაცილე ადამიანთა დიდ ჯგუფს შეს- თავისებული ერთი თვის განმავ- ლობაში ჰარის დასაბანად მყარი საპროცესო გამოყენებითა, ხოლო შემდეგ კი თხევედი საპრით ჩა- ნაცვლებინათ. დაწმუნდები ამ ხედი განვითარებობაში აკცირდე- ბოდნენ ბაქტერიების რაღენო- ბას კანის თითოეულ სტ-ზე და კანის pH-ს.</p>
<p>(შელვები: 1, 2, 3, 5. სტრუქტურა და ფუნქცია - მასწავლებ უნდა გააცნობილოს, რომ:</p> <p>1. ბიოლოგიური სისტემა არაგარისაონი ყო- ელ დონეზე შედგება სხვადასხვა სტრუქტურუ- ისგან;</p> <p>2. ბიოლოგიური სისტემის თითოეული ნაწი- ლი სტრუქტურა ფუნქციას ახორციელებს და ქმნის ერთ მოლინობას;</p> <p>3. ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა და ფუნქცია შესესაბამება ერთმანეთს;</p> <p>4. გარემო პირობები გავლენას ახდენს ბი- ოლოგიური სისტემის აზტულებასა და ფუნ- ქციებზე;</p> <p>(შელვები: 1, 2, 3, 5.</p>	<p>ქიოვნები: კომპლექსური დავალებების ფორმა</p> <p>ცნება: 1. როგორ უნდა ნარჩოვანი საკუთარი ცოდნა შესანვალ საკითხთან დაკავშირდეთ?</p> <p>რესურსი: კვლევის ანგარიშის ნიმუში (დანართ 1);</p> <p>დააგრძელების ნიმუშები (დანართ 2);</p> <p>აქტივობა: კვლევის ანგარიშის ნიმუშის განხილვა და სხვაგვარებები. სახის დიაგანოსის ანალიზი.</p> <p>3. ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა და ფუნქცია შესესაბამება ერთმანეთს;</p> <p>4. გარემო პირობები გავლენას ახდენს ბი- ოლოგიური სისტემის აზტულებასა და ფუნ- ქციებზე;</p>

სასიცოცხლო თვისება - მასწავლებლის უნდა გააცნობოროს, რომ:

1. ყველა ორგანიზმისთვის დამახსასათქმულია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მუტაციონური გენეტიკა, გამოყოფა), გალიზიანებადობა, მორისტა, მეტეოდროგითობა, ცვალებადობა, ჰომოსატერიოზი, ადაპტაცია;
2. სასიცოცხლო თვისებები და ასაჭირებულია ერთმანეთთან;
3. სხვადასხვა თრგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც;

შედეგები: 1, 2, 4, 5.

ნაშრომის შედეგები ნარმოდებე-
ნილია გრაფიკის სახით.



სამიზნე ცოდნა- ნის (დეკლარა- ტივული, პრო- ცეფულული, პირობისული)	• რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურო რა ასანავლე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით?
კომსტრუირებაზე ორგანიზებული შეკითხვები.	• რა ნაბიჯების გავლება საჭირო კვლევის ან- გარშემოდნ დასკვნების ჩამოსაყალბობლად? • რა არის დამზადებული ცვლალი? • რა არის დამზადებული ცვლალი? • რა არის საკონტროლო ცვლალი?
კონკრეტული შეკითხვები.	• რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურო რა ასანავლე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით?

II ტაბა: კამპანიული დაცვალების შენიანასი

- ნაბიჯი 1: როგორ ფიქრობ, ცოცხალი და არაცოცხალი სისტემა განსხვავდება ერთმანეთისგან ელექტრული შეცვენილობით?
- რესურსი: მოსწავლის წიგნი, N1.1. გვ 9
- აქტივობა 1: მოსწავლეები განიხილავენ გვ 9 და გვ 10-ზე ნარმოდებულ დიაგრამებს და შეადარებენ ერთმანეთს;
- აქტივობა 2: მოსწავლეები განიხილავენ უჯრლეში ასეზონული ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის სკემას;

ნანაცემების ანალიზის საფუძ-
ვლებელი მომზადე ლასვენა, რე-
მულშიც თვალნათლი ნარმაზენ:
• რატომ არის მნიშვნელოვანი
ორგანიზმი pH-ის მუდმივო-
ბის (ჰომეოსტაზის) შენარჩუ-
ნება (მე.1 ჯანმრთელობა და
დაავალება);

<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პრო- ცელულული, პირობი- სეული) ქონსტრუირ- ბაზი როგორილობას, მომდევ შეკითხვების პიროვნე- ობაში აგებულება აქცს ი.რნე- ც?</p> <p>ტრანსკრიფცია მაკროტექნიკა: კვლევა კვაცნება: ექსპერი- მენტი</p>	<ul style="list-style-type: none"> რა არის ტრანსკრიფცია? რას ეწოდება კოდი? რა მნიშვნელობა აქცს იმ ფაქტს, რომ ტრანსკრიფცია ეუსართობების პიროვნე- ობაში აგებულება ფენოლულა- ნისაგან შეუცველოდა. ნარმოლე- ნე, რომ შენც მონაცილეობ ამ ექსპერიმენტში. სინჯარაში შეიტანე ყველა ის ნივთიერება, რომლებიც ამ ცილის სინთ- ეზისთვისაა აუცილებელი (ის- არგებლე მოსწავლის წიგნში კვ. 141 N 1 დავალებაში მოცემული ცხრილით). ნამუშევრის პრეზ- ენტაციის დროს ნათლად ნარმო- ლენე;
--	---

აქტივობა 2. მოსწავლეები გაუცნობან ტრანსლაციის პროცესს; რესურსი: მოსწავლის ნიგნი;

<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პრო- ცელულული, პირობი- სეული) შეკითხვები კვაცნება: ტრანსლაცია მაკროტექნიკა: კვლევა კვაცნება: ექსპერი- მენტი</p>	<ul style="list-style-type: none"> სად შეიძლება მიმდინარეობდეს ტრანსლაციის პროცესი? რომელი ნივთიერებები მონაწილე- ობაში სინთეზირებულ ი.რნე-ის შედგენილობას შორის (მ.კ.ნ.2. სასიცოცხლო თვისებები);
--	---

ისინი ვარაუდობდნენ, რომ
სინთეზისგას (კილაში მხოლოდ
სამინომჟავა უნდა ყოფილობის
ჩართული, რომლის კოდნი კუ-
ტრაპლეტს შესაძამება. ესპარ-
ტიმენტის შედეგად მეცნიერებმა
მიიღეს პოლიაპტეტიდი, რომელიც
მხოლოდ ამინომჟავა ფენოლულა-
ნისაგან შეუცველოდა. ნარმოლე-
ნე, რომ შენც მონაცილეობ
ამ ექსპერიმენტში. სინჯარაში
შეიტანე ყველა ის ნივთიერება,
რომლებიც ამ ცილის სინთ-
ეზისთვისაა აუცილებელი (ის-
არგებლე მოსწავლის წიგნში კვ.
141 N 1 დავალებაში მოცემული
ცხრილით). ნამუშევრის პრეზ-
ენტაციის დროს ნათლად ნარმო-
ლენე;

- რა კავშირია დამტ-ის ნეკლე-
ოტიდურ შედგენილობასა
და მასზე სინთეზირებულ
ი.რნე-ის შედგენილობას
შორის (მ.კ.ნ.2. სასიცოცხლო
თვისებები);






<p>კანონთელობა და დაცვალება მსახურებლივ უნდა გააცნობონოს, რომ:</p> <ol style="list-style-type: none"> ჯანმრთელობა, არის ადამიანის ორგანიზმის გძლომარება, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარისანობა, მათთვის დარღვევა კი განაპირობებს ავადობას. სხვადასხვა დაავადებას აქტის გადასცვაცებული გამომწვევი მიზუნები, სიცოცია, და აღმოსავალი გამომწვევის გზის განვითარების გარემონტინაში; იმუნოტესტი არის ორგანიზმის უნარი და-იცვას თავისი ჯანმრთელობა; ჯანმსალი ცხოვლების წესის დარღვევა აინტენსიული იმუნოტესტის დაქვევევით და ასე სუნკონს სხვადასხვა და ავადობასთან უნარის განვითარების დამტკიცების გარემონტინაში; გარემოს დაცვითი ლონის შემონაბეჭდის უნარი და-ვნელობანია ჯანმრთელობის შემონაბეჭდისათვის; 	<p>ნაპიჯი 3. ინფორმაციის დაზუშავება და ექსპურიტუნტის გეგმის შექმნა:</p> <p>აქტივობა: ინფორმაციის მოძიება და დამზუშვება; რესურსი: მოსწავლის წიგნი;</p> <table border="1" data-bbox="351 536 669 1363"> <tbody> <tr> <td data-bbox="351 536 669 1097"> <p>სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პროცე- დურული, პირობისული) კონსტრუირებაზე თრიე- ტიკურ უსამართვის გადა- მოყვალ შეკითხვები. ინფორმაციის დამზუშვება</p> </td> <td data-bbox="669 536 1323 1097"> <ul style="list-style-type: none"> რომელი ნივთიერებებია საჭირო ტრანსკრიფციის ნარმართვისთვის? რომელი ნივთიერებებია საჭირო ტრანსლაციის ნარმართვისთვის? როგორ შევსაბამება ტრენ-ის ბულეტა მის ფუნქციას? </td> </tr> <tr> <td data-bbox="351 1097 669 1363"></td> <td data-bbox="669 1097 1323 1363"> <p>მოსწავლეების მხრიდან კომპლექსურ აზაგალობის პრეზენტაციის გა- ცესში მასწავლებლის მიერ დამზუშველი შეცვლა:</p> <p>მოსწავლეების მხრიდან დამზუშველი აზაგალობის პრეზენტაციის გა- ცესში მასწავლებლის მიერ დამზუშველი შეცვლა:</p> <ul style="list-style-type: none"> აღწერ პროცესი, როგორ იმუშავეთ და მიზანდეთ საბოლოო შეცვლა; რა დაპროტებული შეცვემა დაკალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთობდი სხვაგვარაზ, ახლა რომ იწყებდე დაცვადაცვებული მუშაობას? რა განსხვავებაა შენი და კლასელების ნამუშევრებს შორის? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ექსპურიტუნტის ბოლოობისა და ბი- ოლიტრი მედიცინის შემდგომი განვითარებისთვის? რატომ არის აუცილებელი 20 ამინიმუმუასთაგა 64 სახის კოდი- ნის ანსუბობა; </td> </tr> </tbody> </table>	<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პროცე- დურული, პირობისული) კონსტრუირებაზე თრიე- ტიკურ უსამართვის გადა- მოყვალ შეკითხვები. ინფორმაციის დამზუშვება</p>	<ul style="list-style-type: none"> რომელი ნივთიერებებია საჭირო ტრანსკრიფციის ნარმართვისთვის? რომელი ნივთიერებებია საჭირო ტრანსლაციის ნარმართვისთვის? როგორ შევსაბამება ტრენ-ის ბულეტა მის ფუნქციას? 		<p>მოსწავლეების მხრიდან კომპლექსურ აზაგალობის პრეზენტაციის გა- ცესში მასწავლებლის მიერ დამზუშველი შეცვლა:</p> <p>მოსწავლეების მხრიდან დამზუშველი აზაგალობის პრეზენტაციის გა- ცესში მასწავლებლის მიერ დამზუშველი შეცვლა:</p> <ul style="list-style-type: none"> აღწერ პროცესი, როგორ იმუშავეთ და მიზანდეთ საბოლოო შეცვლა; რა დაპროტებული შეცვემა დაკალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთობდი სხვაგვარაზ, ახლა რომ იწყებდე დაცვადაცვებული მუშაობას? რა განსხვავებაა შენი და კლასელების ნამუშევრებს შორის? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ექსპურიტუნტის ბოლოობისა და ბი- ოლიტრი მედიცინის შემდგომი განვითარებისთვის? რატომ არის აუცილებელი 20 ამინიმუმუასთაგა 64 სახის კოდი- ნის ანსუბობა;
<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პროცე- დურული, პირობისული) კონსტრუირებაზე თრიე- ტიკურ უსამართვის გადა- მოყვალ შეკითხვები. ინფორმაციის დამზუშვება</p>	<ul style="list-style-type: none"> რომელი ნივთიერებებია საჭირო ტრანსკრიფციის ნარმართვისთვის? რომელი ნივთიერებებია საჭირო ტრანსლაციის ნარმართვისთვის? როგორ შევსაბამება ტრენ-ის ბულეტა მის ფუნქციას? 				
	<p>მოსწავლეების მხრიდან კომპლექსურ აზაგალობის პრეზენტაციის გა- ცესში მასწავლებლის მიერ დამზუშველი შეცვლა:</p> <p>მოსწავლეების მხრიდან დამზუშველი აზაგალობის პრეზენტაციის გა- ცესში მასწავლებლის მიერ დამზუშველი შეცვლა:</p> <ul style="list-style-type: none"> აღწერ პროცესი, როგორ იმუშავეთ და მიზანდეთ საბოლოო შეცვლა; რა დაპროტებული შეცვემა დაკალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთობდი სხვაგვარაზ, ახლა რომ იწყებდე დაცვადაცვებული მუშაობას? რა განსხვავებაა შენი და კლასელების ნამუშევრებს შორის? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ექსპურიტუნტის ბოლოობისა და ბი- ოლიტრი მედიცინის შემდგომი განვითარებისთვის? რატომ არის აუცილებელი 20 ამინიმუმუასთაგა 64 სახის კოდი- ნის ანსუბობა; 				

მატრიცა 3-ის დანართები



დანართი 1. <https://bit.ly/36cRkIE> უჯრედული სუნთქვა.

რესურსის გამოყენება შესაძლებელია უჯრედული სუნთქვის ეტაპების წარსადგენად.



დანართი 2: <https://bit.ly/3JaUsxc> უჯრედული სუნთქვა და ფოტოსინთეზი.



Photosynthesis and Cellular Respiration

ფოტოსინთეზი და უჯრედული სუნთქვა

Start

რესურსი აღწერს ფოტოსინთეზს და უჯრედულ სუნთქვას. პირველი სლაიდები ფოტოსინთეზს შეესაბამება. რესურსის გამოყენება სასარგებლო იქნება ორივე საკითხის ახსნისას:

Start ღილაკზე დაწავლით ჩაირთვება რესურსი:

You will begin with photosynthesis. Click the “next” button to observe in greater detail the process of photosynthesis. Then you will observe the process of cellular respiration.

დაიწყე ფოტოსინთეზით. დააწავე „next“ ღილაკს და დააკვირდი ფოტოსინთეზის პროცესის დეტალებს. ამის შემდეგ შეძლებ შეისწავლო უჯრედული სუნთქვა.

Next

სლაიდი 1:

The diagram illustrates a plant cell with the following labels:


- PLANT მცენარე
- მცენარის უჯრედი
- PLANT CELL
- ბირთვი
- mitochondrion
- nucleus
- უჯრედის კადელი
- cell wall
- cell membrane
- უჯრედის მემბრანა
- chloroplast
- vacuole
- ცენტრალური ვაკუოლი
- cytoplasm
- ციტოპლაზმა
- ქლოროპლასტი
- ვაკუოლი

Click on yellow areas to get more information

<< Back

Next >>

სლაიდი 2:




Click on yellow areas to get more information

[<< Back](#)

[Next >>](#)

სლაიდი 3:




Click on yellow areas to get more information

დააჭირე გაყვითლებულ ადგილებს და მიიღე მეტი ინფორმაცია

[<< Back](#)

[Next >>](#)

სლაიდი 4:




სლაიდი 5:

Now you will observe the process of cellular respiration.

ახლა დააკვირდი უჯრედული სუნთქვის პროცესს

Continue

სლაიდი 6:



სლაიდი 7:

მიტოქონდრია: უჯრედული სუნთქვის ზოგიერთი რეაქციის ადგილმდებარეობა

MITOCHONDRION: the site of some of the reactions of cellular respiration

The diagram illustrates a plant cell with labels for its components: mitochondrion, nucleus, cell wall, cell membrane, chloroplast, vacuole, and cytoplasm. An inset provides a detailed view of the mitochondrion, showing its double membrane system (outer and inner), the cristae (folded inner membranes), and the matrix (the interior fluid). The surrounding area is labeled as cytoplasm.

Click on yellow areas to get more information

[<< Back](#)

[Next >>](#)

სლაიდი 8:

გლიკოლიზი უჯრედული სუნთქვის დროს
GLYCOLYSIS IN CELLULAR RESPIRATION

The diagram illustrates the process of cellular respiration. It begins with glycolysis in the cytoplasm, where a glucose molecule is broken down into two pyruvic acids and two ATPs. These intermediates then enter the mitochondrion. Inside the mitochondrion, the pyruvic acids are further processed through the Krebs cycle, which releases CO_2 . The electrons from the Krebs cycle enter the electron transport chain, which uses oxygen to produce H_2O and 32 additional ATPs. The overall process is labeled as "glycolysis in cellular respiration".

Click on yellow areas to get more information


[<< Back](#)

[Next >>](#)

სომითი 9:

აერობული რესპირაცია უჯრედულ სუნთქვაში

AEROBIC RESPIRATION IN CELLULAR RESPIRATION



ელექტრონების ტრანსპორტირებაგადამტანი მოლეკულებით

დანართი 3: ფოტოსინთეზი <https://bit.ly/367Kyh3>

ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება შესაძლებელია ფოტოსინთეზის შესწავლისას. მოსწავლე თავად ჩატარებს კვლევას.



Lamp intensity (Lumens): 1000


ლურჯი ფიგურის გადადგილებით შეცვლით სინათლის ინტენსივობას

Number of bubbles: 0

ბუმტების
რაოდენობა

Temperature: 10 °C

ლურჯი ფიგურის გადადგილებით შეცვლით ტემპერატურას



0 seconds

აქ ხდება
დროის
ათვლა

ჩართვის
დილაკი

გთავაზობთ კვლევის ნიმუშს:

1. ცხრილში მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის მიზანია დადგინდეს სინათლის ინტენსივობის მოქმედება გამოყოფილი უანგბადის რაოდენობაზე. ამ მონაცემით კი მოსწავლე იმსჯელებს ფოტოსინთეზის სიჩქარეზე.

მოსწავლეს შევიძლიათ შესთავაზოთ ნაწილობრივ შევსებული ან ცარიელი ცხრილები.

სინათლის ინტენსივობა (პირობითი ერთეულები - Lumins)	ტემპერატურა °C	დრო წმ.	გამოყოფილი უანგბადის ბუშტების რაოდენობა
1000	10	60	11
2000	10	60	17
3000	10	60	19

მწვანე ციფრები გამოსახავს დამოკიდებულ ცვლადს; წითელი - დამოუკიდებულ ცვლადს, ლურჯი - კი საკონტრლო ცვლადს.

2. ცხრილში მოცემულია ერთი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის მიზანია დადგინდეს ტემპერატურის მოქმედება გამოყოფილი უანგბადის რაოდენობაზე. ამ მონაცემით კი მოსწავლე იმსჯელებს ფოტოსინთეზის სიჩქარეზე.

სინათლის ინტენსივობა (პირობითი ერთეულები - Lumins)	ტემპერატურა °C	დრო წმ.	გამოყოფილი უანგბადის ბუშტების რაოდენობა
3000	10	60	19
3000	25	60	39
3000	40	60	19

კვლევის შედეგებს თუ მოსწავლე გამოსახავს გრაფიკულად, კიდევ ერთი მათემატიკური კომპეტენციის განვითარებას შეუწყობთ ხელს. იგივე კვლევა შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა როგორც კომპლექსური დავალება. მის ფარგლებში მოსწავლეები შეისწავლიან ფოთლის აგებულებას, ფოტოსინთეზის პროცესის მიმდინარეობას, ტემპერატურის გავლენას ფერმენტის მოქმედებაზე და გააკეთებენ დასკვნას. იმსჯელებენ მათ მიერ მოპოვებულ მონაცემებზე. დააადგენენ დამოკიდებულ, დამოუკიდებელ, საკონტროლო ცვლადებს.

დანართი 5: <https://bit.ly/3KJiiAx> ფოტოსინთეზის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები.



ეს ვირტუალური ლაბორატორიაც ფოტოსინთეზის პროცესის კვლევის საშუალებას იძლევა. მისი გამოყენებით მოსწავლე შეისწავლის სინათლის სპექტრის გავლენას ფოტოსინთეზის სიჩქარეზე, ასევე მცენარესა და სინათლის წყაროს შორის მანძილისა და სინათლის ინტენსივობის გავლენას ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე. სურათზე წარმოდგენილია როგორ ხდება მასში ნავიგაცია.

ნათურის
სიმძლავრე

მამილი მცენარესა
და ნათურას შორის

სინათლის სპექტრი

დაწყება

დასრულება

მონაცემების
განახლება

Importance of Light in Photosynthesis

Select the power source:
40 W

Select the distance of the power source:
50 cm

Select the colour of the filter:
Red

Start

Stop

Reset

Developed by Amrita University Under research grant from
Department Of Electronics & Information Technology

სურათზე წარმოდგენილია სხვადასხვა ფერის სინათლე: წითელი, მწვანე და ლურჯი.

Importance of Light in Photosynthesis

Select the power source:
40 W

Select the distance of the power source:
50 cm

Select the colour of the filter:
Red

Clear

Red

Green

Blue

Stop

Reset

Developed by Amrita University Under research grant from
Department Of Electronics & Information Technology

დანართი 6: <https://bit.ly/3vYP4JJ> ფოთლის ბაგები.



მოსწავლეს საშუალებას აძლევს დაათვალიეროს ფოთლის ბაგების აგებულება მიკროსკოპის დახმარებით;

დანართი 7: <https://bit.ly/3KAbS6w>

პეტუნიისა და შროშანის ფოთლები ზედა და ქვედა მხრიდან.




Study of Distribution of Stomata in the Upper and Lower Surface of Leaves

Select view: Microscope view

Select sample: Petunia leaf Upp
Petunia leaf Upper
Petunia leaf Lower
Lily leaf Upper
Lily leaf Lower
100X (High power)

Coarse adjustment: < >

Developed by Amrita University Under research grant from Department Of Electronics & Information Technology



SAVE

Petunia leaf Upper – პეტუნიის ფოთლის ზედა მხარე; Petunia leaf Lower – პეტუნიის ფოთლის ქვედა მხარე; Lily leaf Upper – შროშანის ფოთლის ზედა მხარე; Lily leaf Lower – შროშანის ფოთლის ქვედა მხარე.

მიკროსკოპის გამადიდებლების შესარჩევად უნდა ჩამოიშალოს მესამე ველი:

Study of Distribution of Stomata in the Upper and Lower Surface of Leaves

Select view: Microscope view

Select sample: Petunia leaf Upp

Select objective lens: 100X (High power)
40X (Low power)
100X (High power)

Coarse adjustment: < >



SAVE

ფოთლის გადიდებული სურათის დასანახად აუცილებელია მოინიშნოს Binocular view.

Study of Distribution of Stomata in the Upper and Lower Surface of Leaves


Select view: Binocular view
Microscope view

Select sample: Petunia leaf Upp

Select objective lens: 100X (High power)


Coarse adjustment: < >

Developed by Amrita University Under research grant from Department Of Electronics & Information Technology




SAVE

ქვედა სურათზე მარცხენა მხარეს გამოსახულ შავ ისრებზე დაწყაპებით შესაძლებელია გადაადგილება, ფოკუსის შეცვლა:




შედეგები ფიქსირდება ველში: Result. ბოლოს Submit ღილაკზე დაწყაპებით იგზავნება დავალება:



დანართი 8: <https://bit.ly/34B7Viz> სუნთქვის სიჩქარე.



წყლის
საწყისი დონე



თუ მცენარის სახეობის ღილაკს დააწევებთ, ჩამოიშლება სხვადასხვა სახის აღმონაცენები
Wheat - ხორბალი; Groundnut - მიწის თხილი; Mustard - მდოგვი; Bean - ლობიო.

Rate of Respiration

Select the seeds:
 Bean
 Wheat
 Groundnut
 Mustard
 Gram
 Bean

Num: 10
 Temp: 35
 Start

Result
 Rising level of water (ml):
 Submit
 Reset

Developed by Amrita University Under research grant from
Department Of Electronics & Information Technology



დანართი 9: <https://bit.ly/3I5rfT0>

მცენარის, ადამიანისა და ბალახისმჭამელის სუნთქვაზე ტემპერატურის გავლენა.

Role of Carbon Dioxide During Respiration

Select the test:
 Plants
 Animals

Select the animal:
 Grasshopper
 Grasshopper
 Human being

N: 2
 Temperature: 5°C
 Start

Developed by Amrita University Under research grant from
Department Of Electronics & Information Technology


Plants - მცენარე, Grasshopper - ბალახისმჭამელი (კალია), Human being - ადამიანი.

ტემპერატურის მარეგულირებელი ლურჯი ბურთულის გადაადგილებით შეიცვლება ტემპერატურა;



დანართი 10: <https://bit.ly/34B7Zij>


მცენარის ორგანიზმში სუნთქვისა და ფოტოსინთეზის მიმდინარეობა დღე-ლამის განმავლობაში

1. სურათი გამოსახავს მზის ამოსვლისას მცენარეში მიმდინარე სუნთქვასა და ფოტოსინთეზს;




წითელი ბურთულის გადაადგილებით იცვლება დღე-ლამის მონაკვეთი:






დანართი 11: <https://bit.ly/3ijCYCH> ელექტროფორეზი.


სიმულაციაში მოსწავლე დააკვირდება ელექტროფორეზის ძირითად ეტაპებს და მის მიმღინარეობას. პირველ სლაიდზე ჩანს ელექტროფორეზის აპარატი.



მას შემდეგ რაც ჩაირთვება აპარატი, მასალა დაიწყებს გადაადგილებას:



თითოეულ ხაზთან კურსორის მიყვანისას გამოჩენდება აღმოჩენილი დნმ, რომელსაც მითითებული აქვს მასა. ულტრაიისფერი სხივების გამოყენებისას სურათი ასეთია:



Activate Wincc
Go to writings tool

3. უჯრედული მეტაპოლიზმი – კომპლექსური დავალებების ბარათები

კომპლექსური დავალება № 1 – „მიტოქონდრიის მოდელი“

<p>კლასი – 10 საგანი – ბიოლოგია</p>
<p>ცნება: სასიცოცხლო თვისებები ცნება: ჯანმრთელობა და დაავადება ცნება: ბიომრავალფეროვნება მაკროცნება: კვლევა</p>
<p>საკითხი: მეტაპოლიზმი ქვესაკითხი: ენერგეტიკული ცვლა/უჯრედული სუნთქვა</p>
<p>დავალების პირობა: უჯრედული სუნთქვა ურთულესი პროცესია, რომელშიც უჯრედის ბევრი სტრუქტურაა ჩართული, მაგრამ ენერგიის დიდი ნაწილი მიტოქონდრიაში მიმდინარე პროცესების დროს გამომუშავდება. წარმოიდგინე, რომ უნდა წარდგე მოსწავლეების წინაშე, რომ-ლებსაც გაუჭირდათ ამ რთული და მრავალეტაპიანი პროცესის მხოლოდ თეორიული მასალით გარკვევა. მათთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ გამოიმუშავებს უჯრედი ასეთ კოლოსალურ ენერგიას არამაკროერგული გლუკოზის დაუანგვით.</p>
<p>შექმენი მიტოქონდრიის ისეთი მოდელი, რომლის დახმარებით მინილექციაზე ნათლად წარმოაჩნიოს:</p> <ul style="list-style-type: none">• როგორ შეესაბამება მიტოქონდრიის აგებულება მასში მიმდინარე პროცესებს (მკ. 3. სტრუქტურა და ფუნქცია;)• როგორ აისახება მიტოქონდრიის გარეთა და შიგნითა მემბრანის სტრუქტურული სხვაობა მათ ფუნქციაზე (მკ. 1 სასიცოცხლო თვისებები;)• რა გავლენას მოახდენს მიტოქონდრიის დაზიანება ადამიანის ჯანმრთელობაზე (მკ. 1. ჯანმრთელობა და დაავადება;)• რა მნიშვნელობა აქვს უჯრედული სუნთქვის თავისებურებებს სხვადასხვა სისტემატიკური კატეგორიის ორგანიზმებისთვის (მკ. 2. ბიომრავალფეროვნება;)
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსური დავალების შესრულებისას:</p>

კომპლექსური დავალება № 2 – „ფოტოსინთეზი და ენგელმანის ექსპერიმენტები“

კლასი – 10

საგანი – ბიოლოგია

ცნება: სასიცოცხლო თვისებები


ცნება: ბიომრავალფეროვნება

მაკროცნება: კვლევა

საკითხი: მეტაბოლიზმი

ქვესაკითხი: პლასტიკური ცვლა/ ფოტოსინთეზი


დავალების პირობა: ფოტოსინთეზი რთული პროცესია, რომელიც უჯრედში მრავალ ეტაპად მიმდინარეობს. მის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ფოტოსინთეზის კვლევაში დიდი მნიშვნელობა გერმანელი ბოტანიკოსის, ენგელმანის ექსპერიმენტებს ჰქონდა. მისი საყვარელი კვლევის ობიექტი ძაფნაირი წყალმცენარე სპიროგირა



იყო, რომელსაც დიდი ზომის ქომატოფორები აქვს. ცდების პირველ სერიაში ენგელმანი სასაგნე მინაზე წყლის წვეთში, რომელიც აერობულ ბაქტერიებს შეიცავდა, სპიროგირას ძაფს ათავსებდა. სიბნელეში და სინათლეზე პროცესები სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა.

ექსპერიმენტების მეორე სერიაში მეცნიერი სპიროგირას პრიზმაში გატარებული მზის სხივით ანათებდა.

მოამზადე ექსპერიმენტის ანგარიში რომელშიც, ერთის მხრივ, უნდა შეაფასო ენგელმანის ექსპერიმენტების საეტაპო მნიშვნელობა ფოტოსინთეზის შესწავლის საქმეში, მეორეს მხრივ, ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე მოქმედი ფაქტორების შესასწავლად დაგეგმილი ექსპერიმენტების შედეგები წარადგინო.



პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოაჩინე:

- რა მიზანი ჰქონდა ენგელმანის ექსპერიმენტის პირველ ეტაპს (**მკ. 2 ექსპერიმენტის ეტაპები**);
- რა დასკვნას გამოიტან ენგელმანის ექსპერიმენტის მიხედვით (**მკ. 3. კვლევის დასკვნები**);
- როგორ მოქმედებს გარემო პირობები ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე (**მკ. 4. სტრუქტურა და ფუნქცია**);
- რა თავისებურებით ხასიათდება მცენარეების პლასტიკური ცვლა (**მკ. 1. სასიცოცხლო თვისებები**);
- რა განსხვავებაა წყალმცენარეებისა და უმაღლესი მცენარეების მაფოტოსინთეზირებულ აპარატს შორის (**მკ. 2 ბიომრავალფეროვნება**);

პრაქტიკული რჩევები კომპლექსური დავალების შესრულებისას:

კომპლექსური დავალება № 3 – „სუნთქვა და ფოტოსინთეზი“

<p>კლასი – 10 საგანი – ბიოლოგია</p>
<p>ცნება: სასიცოცხლო თვისებები ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია ცნება: ბიომრავალფეროვნება მაკროცნება: კვლევა</p>
<p>საკითხი: მეტაპოლიზმი ქვესაკითხი: ფოტოსინთეზი და სუნთქვა</p>
<p>დავალების პირობა: ბევრი ადამიანი სახლში ოთახის მცენარეებს ამრავლებს. წელიწადის ცივ დროს ისინი ოთახებში შეაქვთ. ხშირად ადამიანები თავის ტკივილით იღვიძებენ. წარმოიდგინე, რომ მცენარეების მოყვარულებს უნდა აუხსნა რა ინვევს მათ დისკომფორტს დღე-ღამის ბრელ დროს. ამისთვის შექმნი კოგნიტური სქემა, რომლითაც წარმოაჩენ მცენარის ორგანიზმში მიმდინარე სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის კავშირს.</p>
<p>კოგნიტური სქემის პრეზენტაციისას ნათლად წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">რა მსგავსება და განსხვავებაა ფოტოსინთეზსა და მცენარის სუნთქვას შორის (მკ. 2. სასიცოცხლო თვისებები;)როგორ შეესაბამება ფოთლის აგებულება მასში მიმდინარე პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლების პროცესებს (მკ. 6.2 სტრუქტურა და ფუნქცია;)გარემოს რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას თითოეულ პროცესზე (მკ. 4. სტრუქტურა და ფუნქცია;)რა მნიშვნელობა აქვს ეკოსისტემის მდგრადობისთვის მცენარის უნარს, ცვალოს ფოტოსინთეზის ინტენსივობა (მკ. 4 ბიომრავალფეროვნება;) <p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსური დავალების შესრულებისას:</p>

კომპლექსური დავალება № 4 – „დნმ-ის რეპლიკაცია“

<p>კლასი – 10 საგანი – ბიოლოგია</p>
<p>ცნება: სასიცოცხლო თვისებები ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია</p>
<p>საკითხი: პლასტიკური ცვლა ქვესაკითხი: დნმ-ის რეპლიკაცია</p>
<p>დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტი: „მოსწავლე - მასწავლებელი“. პროექტის მიზანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და მოსწავლეები ირგებენ მასწავლებლის როლს, ატარებენ გაკვეთილს რომელიმე კლასში. შენ უნდა ჩაატარო გაკვეთილი თემაზე: დნმ-ის რეპლიკაცია. ასევე უნდა გააცნო ჰიპოთეზა „ერთი გენი - ერთი ცილა“. ამისთვის მოამზადე საპრეზენტაციო მასალა. ინფორმაცია წარმოადგინე ადვილად გასაგებ ენაზე, თუმცა აუცილებლად გამოიყენე სამეცნიერო ტერმინები.</p>
<p>გაკვეთილის ჩატარებისას ნათლად წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">• როგორ შეესაბამება დნმ-ის რეპლიკაციის პროცესი მოლეკულის აგებულებას (მკ.ნ. 3. სტრუქტურა და ფუნქცია;);• რით განსხვავდება დნმ-ის რეპლიკაცია ნახშირწყლების ან ლიპიდების სინთეზისგან (მკ.ნ. 2. სასიცოცხლო თვისებები;);• როგორ აკავშირებს რეპლიკაციის პროცესი ენერგეტიკულ და პლასტიკურ ცვლას ერთმანეთთან (მკ.ნ. 2. სასიცოცხლო თვისებები;);
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსური დავალების შესრულებისას:</p>

კომპლექსური დავალება № 5 – „ცილის სინთეზი“

<p>კლასი – 10 საგანი – ბიოლოგია</p>
<p>ცნება: სასიცოცხლო თვისებები მაკროცნება: კვლევა</p>
<p>საკითხი: პლასტიკური ცვლა ქვესაკითხი: ტრანსკრიპცია და ტრანსლაცია</p>
<p>დავალების პირობა: დღეისთვის უკვე დადგენილია ი-რნმ-ის კოდონები ყველა ამინომჟავასთვის. პირველი კოდონის გაშიფვრა 1961 წელს მ. ნირენბერგმა, რ. ჰოლმიმ და პ. კორანამ მოახერხეს, რისთვისაც მათ 1968 წელს ნობელის პრემია მიენიჭათ. მეცნიერებმა დაასინთეზირეს პოლიურაცილი, ანუ პოლინუკლეოტიდი, რომელიც მონომერებად მხოლოდ ურაცილს შეიცავდა. ეს ხელვნური ი.რნმ მეცნიერებმა შეიტანეს არეში, რომელიც ცილის სინთეზისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტს შეიცავდა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სინთეზისთვის ცილაში მხოლოდ ის ამინომჟავა უნდა ყოფილიყო ჩართული, რომლის კოდონი უუუ ტრიპლეტს შეესაბამება. ექსპერიმენტის შედეგად მეცნიერებმა მიიღეს პოლიპეტიდი, რომელიც მხოლოდ ამინომჟავა ფენილალანინისგან შედგებოდა. წარმოიდგინე, რომ შენც მონაწილეობ ამ ექსპერიმენტში. სინჯარაში შეიტანე ყველა ის ნივთიერება, რომლებიც ამ ცილის სინთეზისთვისაა აუცილებელი (ისარგებლე მოსწავლის წიგნში გვ. 141 N1 დავალებაში მოცემული); (ცხრილით).</p>
<p>ნამუშევრის პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">რა კავშირია დნმ-ის ნუკლეოტიდურ შედგენილობასა და მასზე სინთეზირებულ ი.რნმ-ის შედგენილობას შორის (მკ.5.2. სასიცოცხლო თვისებები);რატომ არის მნიშვნელოვანი ტრანსკრიფციის სწორად წარმართვა, იმისთვის რომ ტრანსლაცია სწორად წარმართოს (მკ.5.2. სასიცოცხლო თვისებები);
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსური დავალების შესრულებისას:</p>

3. უჯრედული მეტაბოლიზმი – კომპლექსური დავალებების შეფასება
Solo ტაქსონომიის მიხედვით

კომპლექსური დავალება: „მიტოქონდრიის მოდელი“

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტაქსონომიის დონე	ტაქსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სასიცოცხლო თვისებები	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე ვერ განასხვავებს ერთ- მანეთისგან უჯრედული სუნთქვის ეტაპებს;
	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე განასხვავებს უჯრედუ- ლი სუნთქვის ეტაპებს, თუმცა ვერ ასახელებს მათი მიმდინარეობის ადგილს;
	მულტი- სტრუქტურული დონე	მოსწავლე იცის, რომ ენერგია ელექტრონების ტრანსპორტის დროს გამოიყოფა ულუფებად, თუმცა ვერ ხსნის მის მნიშვნელობას;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე ადარებს ერთმანეთს მიტოქონდრიის გარე და შიდა მემ- ბრანებს, უჯრედის ენერგეტიკული ბიუჯეტის შექმნის თვალსაზრისით;
	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე აფასებს უჯრედული სუნთქვის თითოეული ეტაპის მნიშვნ- ელობას ენერგეტიკული ღირებულების თვალსაზრისით. მსჯელობს ენერ- გეტიკული ცვლის მსგავსებასა და განსხვავებაზე აერობულ და ანაერო- ბულ ორგანიზმებში.

კვლევა	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე ვერ არჩევს მოდელის დასამზადებლად საჭირო რესურსებს;
<ul style="list-style-type: none"> კვლევის მეთოდებია: ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ; კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისას მნიშვნელოვანია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, უსაფრთხოების დაცვა, მონაცემის შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი, დასკვნის ჩამოყალიბება, მოდელის შექმნა; კვლევითი უნარების ჩამოყალიბება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა აუცილებელია სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის. 	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე სწორად არჩევს რესურსებს და ამზადებს მიტოქონდრიის მოდელს, რომელიც ნაწილობრივ გამოსახავს მიტოქონდრიის სტრუქტურას;
	მულტი-სტრუქტურული დონე	მოსწავლე ამზადებს მიტოქონდრიის მოდელს, თუმცა ვერ ხსნის, რატომ შეარჩია კონკრეტული მასალა;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე ამზადებს მიტოქონდრიის მოდელს და ხსნის თავის მიერ შერჩეული მასალის საჭიროებას, თუმცა უჭირს ანოტაციის შექმნა;
	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე ამზადებს მიტოქონდრიის მოდელს და მის ანოტაციას. მსჯელობს მოდელის ძლიერსა და სუსტ მზარეებზე, მოდელის შეზღუდვებზე.

კომპლექსური დავალება: „ფოტოსინთეზი და ენგელმანის ექსპერიმენტები“

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტაქსონომიის დონე	ტაქსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სასიცოცხლო თვისებები	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე ვერ იაზრებს ფოტოსინთეზის მნიშვნელობას;
	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე სქემის მიხედვით აღწერს ფოტოსინთეზის პროცესს, თუმცა ვერ ხსნის რა არის წყლის ფოტოლიზი;
<ul style="list-style-type: none"> თვისებების ერთობლიობა, რომლითაც ცოცხალი განსხვავდება არაცოცხალისგან; სასიცოცხლო თვისებებია: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გალიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა. 	მულტი-სტრუქტურული დონე	მოსწავლე ახასიათებს ფოტოსინთეზის სინათლისა და სიბნელის ეტაპებს, თუმცა ვერ აკავშირებს მათ ერთმანეთთან;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე ახასიათებს ფოტოსინთეზის სინათლისა და სიბნელის ეტაპებს, აკავშირებს მათ ერთმანეთთან და მსჯელობს წყლის ფოტოლიზის მნიშვნელობაზე;
	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე აფასებს ენგელმანის ექსპერიმენტების საეტაპო მნიშვნელობას ფოტოსინთეზის შესწავლის პროცესში.

ბიომრავალფეროვნება	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლეს არ ესმის საკითხი;
<ul style="list-style-type: none"> ორგანიზმები დაჯგუფებულია მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით და ქრისტიან სისტემატიკურ ჯგუფებს; შეგუებულობები გარემო პირობებთან ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას/ სახეობის მდგრადობას; სახეობათა მრავალფეროვნება წარმოიქმნება მემკვიდრეობითობის, ცვალებადობის და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად; ბიომრავალფეროვნება ხელს უწყობს ეკოსისტემის მდგრადობას; გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. 	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე ასახელებს წყალმცენარისა და უმაღლესი მცენარეების მაფოტოსინთეზირებელი აპარატის კომპონენტებს;
	მულტი-სტრუქტურული დონე	მოსწავლე აღნიშვნის წყალმცენარისა და უმაღლესი მცენარეების მაფოტოსინთეზირებელ აპარატს, თუმცა ვერ აყალიბებს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე მსჯელობს რა განსხვავებაა წყალმცენარეებისა და უმაღლესი მცენარეების მაფოტოსინთეზირებელ აპარატს შორის;
	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე აფასებს წყალმცენარეებისა და უმაღლესი მცენარეების მაფოტოსინთეზირებელ აპარატებს შორის განსხვავების მნიშვნელობას.
კვლევა	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ვერ გეგმავს კვლევას ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე მოქმედი ფაქტორების შესასწავლად;
<ul style="list-style-type: none"> კვლევის მეთოდებია: ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ; კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისას მნიშვნელოვანია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, უსაფრთხოების დაცვა, მონაცემის შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი, დასკვნის ჩამოყალიბება, მოდელის შექმნა; კვლევითი უნარების ჩამოყალიბება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა აუცილებელია სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის. 	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით სვამის საკვლევ შეკითხვას და აყალიბებს ჰიპოთეზას, თუმცა უჭირს კვლევის სხვა ეტაპების დაგეგმვა;
	მულტი-სტრუქტურული დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ადგენს კვლევის გეგმას, სვამის საკვლევ შეკითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადგენს საჭირო რესურსებს;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ადგენს კვლევის გეგმას, სვამის საკვლევ შეკითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადგენს საჭირო რესურსებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს;
	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ადგენს კვლევის გეგმას, სვამის საკვლევ შეკითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადგენს საჭირო რესურსებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, ადგენს მიზეზედეგობრივ კავშირებს და გამოაქვს დასკვნები.

კომპლექსური დავალება: „სუნთქვა და ფოტოსინთეზი“

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი ნარმოდგრები	სოლო ტაქსონომიის დონე	ტაქსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სასიცოცხლო თვისებები		
<ul style="list-style-type: none"> თვისებების ერთობლიობა, რომლითაც ცოცხალი განსხვავდება არაცოცხალისგან; სასიცოცხლო თვისებებია: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაპოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გაღიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა; სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც; 	<p>პრესტრუქტურული დონე</p> <p>უნისტრუქტურული დონე</p> <p>მულტი-სტრუქტურული დონე</p> <p>მიმართებითი დონე</p> <p>გაფართოებული აბსტრაქციის დონე</p>	<p>მოსწავლე ვერ განასხვავებს სუნთქვასა და ფოტოსინთეზს;</p> <p>მოსწავლე განასხვავებს სუნთქვასა და ფოტოსინთეზს;</p> <p>მოსწავლე ცალკ-ცალკე აღწერს სუნთქვისა და ფოტოსინთეზის პროცესებს;</p> <p>მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ერთმანეთთან სუნთქვისა და ფოტოსინთეზის პროცესები;</p> <p>მოსწავლე ადგენს მსგავსებასა და განსხვავებას სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის.</p>
ბიომრავალფეროვნება		
<ul style="list-style-type: none"> ორგანიზმები დაჯუფებულია მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით და ქმნიან სისტემატიკურ ჯგუფებს; შეგუებულობები გარემო პირობებთან ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას/ სახეობის მდგრადობას; სახეობათა მრავალფეროვნება წარმოიქმნება მემკვიდრეობითობის, ცვალებადობის და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად; ბიომრავალფეროვნება ხელს უწყობს ეკოსისტემის მდგრადობას; გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. 	<p>პრესტრუქტურული დონე</p> <p>უნისტრუქტურული დონე</p> <p>მულტი-სტრუქტურული დონე</p> <p>მიმართებითი დონე</p> <p>გაფართოებული აბსტრაქციის დონე</p>	<p>მოსწავლე არ ესმის საკითხი;</p> <p>მოსწავლემ იცის რომ მცენარეს აქვს უნარი, ცვალოს ფოტოსინთეზის ინტენსივობა, თუმცა ვერ იაზრებს ამის მნიშვნელობას;</p> <p>მოსწავლე ასახელებს მცენარის სხვადასხვა შეგუებულობას ეკოსისტემის მდგრადობისთვის;</p> <p>მოსწავლე აფასებს რა მნიშვნელობა აქვს ეკოსისტემის მდგრადობისთვის მცენარის უნარს, ცვალოს ფოტოსინთეზის ინტენსივობა, თუმცა უჭირს ამის არგუმენტებით განმტკიცება;</p> <p>მოსწავლე აფასებს რა მნიშვნელობა აქვს ეკოსისტემის მდგრადობისთვის მცენარის უნარს, ცვალოს ფოტოსინთეზის ინტენსივობა, მოჰყავს არგუმენტები;</p>

კვლევა	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ვერ გეგმავს კვლევას ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე მოქმედი ფაქტორების შესასწავლად;
• კვლევის მეთოდებია: ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ;	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით სვამს საკვლევ შეკითხვას და აყალიბებს ჰიპოთეზას, თუმცა უჭირს კვლევის სხვა ეტაპების დაგეგმვა;
• კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისას მნიშვნელოვანია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰაპოთეზის ჩამოყალიბება, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, უსაფრთხოების დაცვა, მონაცემის შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი, დასკვნის ჩამოყალიბება, მოდელის შექმნა;	მულტი-სტრუქტურული დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ადგენს კვლევის გეგმას, სვამს საკვლევ შეკითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადგენს საჭირო რესურსებს; ადგენს საჭირო რესურსებს;
• კვლევითი უნარების ჩამოყალიბება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა აუცილებელია სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის.	მიმართებითი დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ადგენს კვლევის გეგმას, სვამს საკვლევ შეკითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადგენს საჭირო რესურსებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და გამოაქვს დასკვნები.
	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე მაგალითის მიხედვით ადგენს კვლევის გეგმას, სვამს საკვლევ შეკითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადგენს საჭირო რესურსებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და გამოაქვს დასკვნები.

კომპლექსური დავალება: „დნმ-ის რეპლიკაცია“

სამიზნე ცრეპასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტაქსონომიის დონე	ტაქსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სასიცოცხლო თვისებები	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე ვერ აღწერს რეპლიკაციის პროცესს;
• თვისებების ერთობლიობა, რომლითაც ცოცხალი განსხვავდება არაცოცხალისგან;	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე აღწერს დნმ-ის რეპლიკაციის პროცესს, თუმცა ვერ განსხვავდება მას პლასტიკური ცვლის სხვა რეაქციებისგან, მაგალითად, ნახშირნყლებისა და ლიპიდების სინთეზისგან;
• სასიცოცხლო თვისებებია: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გალიზიანებადობა;	მულტი-სტრუქტურული დონე	მოსწავლე აღწერს რით განსხვავდება დნმ-ის რეპლიკაცია პლასტიკური ცვლის სხვა რეაქციებისგან, მაგალითად, ნახშირნყლების ან ლიპიდების სინთეზისგან;
• მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა;	მიმართებითი დონე	მოსწავლე მსჯელობს, თუ რა პრინციპი უდევს საფუძვლად დნმ-ის მოლეკულის ერთ ჯაჭვში კოდირებული ინფორმაციის გადატანას მეორე ჯაჭვში;
• სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებების შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც;	გაფართოებული აბსტრაქციის დონე	მოსწავლე მსჯელობს, თუ როგორ უზრუნველყოფს ენერგეტიკული ცვლა რეპლიკაციის პროცესს.

კომპლექსური დავალება: „ცილის სინთეზი“

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტაქსონომიის დონე	ტაქსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სასიცოცხლო თვისებები	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე ვერ აღწერს ტრანსკრიპ- ციისა და ტრანსლაციის პროცესებს;
<ul style="list-style-type: none"> • თვისებების ერთობლიობა, რომლითაც ცოცხალი განსხვავდება არაცოცხალისგან; • სასიცოცხლო თვისებებია: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაპოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გაღიზიანებადობა, • მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა; • სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც; 	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე აღწერს ტრანსკრიპციისა და ტრანსლაციის პროცესებს;
	მულტი- სტრუქტურული დონე	მოსწავლე ხსნის რა კავშირია დნმ-ის ნუკლეოტიდურ შედგენილობასა და მასზე სინთეზირებულ ი.რნმ-ის შედგენილობას შორის;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე მსჯელობს ტრანსკრიპციისა და ტრანსლაციის პროცესს შორის კავშირზე;
	გაფართოებული აპსტრაქციის დონე	მოსწავლე არგუმენტებით ასაბუთებს თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ტრანსკრიპციის სწორად წარმართვა იმისთვის, რომ ტრანსლაციის პროცესი სწორად წარიმართოს.
კვლევა	პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე ვერ არჩევს ექსპერიმენტისთვის საჭირო რესურსებს;
<ul style="list-style-type: none"> • კვლევის მეთოდებია: ცდა, ექსპერიმენტი, გამოყითხვა, ინტერვიუ; • კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისას მნიშვნელოვანია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, უსაფრთხოების დაცვა, მონაცემის შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი, დასკვნის ჩამოყალიბება, მოდელის შექმნა; • კვლევითი უნარების ჩამოყალიბება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა აუცილებელია სხვადასხვა პროცესის დაუფლებისთვის. 	უნისტრუქტურული დონე	მოსწავლე არჩევს ექსპერიმენტისთვის საჭირო რესურსებს, თუმცა მისი მიმდინარეობის დროს მოსდის შეცდომები;
	მულტი- სტრუქტურული დონე	მოსწავლე არჩევს ექსპერიმენტისთვის საჭირო რესურსებს, სწორი თანმიმდევრობით აღწერს მის ეტაპებს;
	მიმართებითი დონე	მოსწავლე მსჯელობს ი. რნმ-ის კოდონის გაშიფრის ექსპერიმენტის საეტაპო მნიშვნელობაზე ტრანსლაციის პროცესის შესწავლისთვის;
	გაფართოებული აპსტრაქციის დონე	მოსწავლე სვამს ახალ საკვლევ შეკითხვას, გამოთქვამს ჰიპოთეზას, გეგმავს სხვა ექსპერიმენტს და აყალიბებს დასკვნას.

სწავლების სტრატეგიები

საინტერესო და ხალისიანი გაკვეთილის დასაგეგმად, რეკომენდაციის სახით გთავაზობთ რამდენიმე მეთოდს/სტრატეგიას, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობისა და მოტივაციის ასამაღლებლად გამოგადგებათ. საჭიროებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ მათი მოდიფიცირება ან ერთმანეთთან კომბინაციაში გამოყენება.

1.მეთოდი : გონიერი იერიში

მიზანი: პრობლემის გადაჭრა მოსწავლეების მონაწილეობით, შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, იდეების თავისუფლად წარმოთქმის წახალისება.

მეთოდის გამოყენების ინსტრუქცია:

- I. **შეკითხვის ჩამოყალიბების ეტაპი.** დასვით ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრობლემური შეკითხვა.
- II. **იდეების დაგროვების (გენერირების) ეტაპი.**
 1. დაწერეთ დაფაზე ნებისმიერი მოსწავლის მიერ გამოთქმული აზრი შეფასების, კრიტიკის გარეშე;
 2. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თუ სურვილი ექნებათ, წარმოთქვან რამდენიმე იდეა;
 - 3 სასურველია დაუნიშნოთ დრო;
 4. თუ იდეების რაოდენობა არ იქნება საკმარისი, დაეხმარეთ მათ დამაზუსტებელი შეკითხვებით.
- III. **იდეების შეფასების ეტაპი:** განიხილეთ წარმოთქმული მოსაზრებები, გააერთიანეთ მსგავსი იდეები, დაალაგებინეთ მოსწავლეებს ჩამოთვლილი იდეები პრიორიტეტების მიხედვით – მეტად მნიშვნელოვანიდან ნაკლებად მნიშვნელოვანისკენ. ზოგიერთი იდეა, რომელიც არ შეესაბამება პასუხს, შემოხაზეთ. აუხსენით მოსწავლეებს, რატომ არის იდეა არასწორი, რომ მას არ დარჩეს უკმაყოფილების განცდა და სხვა დროს არ თქვას უარი აზრის გამოთქმაზე.



2. გეთოლი: იდენტიფიცირება – ინტერპრეტირება


მოსწავლეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს გრაფიკებისა და დიაგრამების გაანალიზება. გთავაზობთ ერთ-ერთ სტრატეგიას, რომელსაც ორი სახელწოდებით მოიხსენიებინ: „იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება“ და „ამოიცანი და ახსენი“.

მიზანი: ანალიზის უნარის განვითარება მოსწავლეებში.

მეთოდის გამოყენების ინსტრუქცია:

1. შესთავაზეთ მოსწავლეებს გრაფიკი, ცხრილი ან დიაგრამა.
2. სთხოვეთ მოსწავლეებს მონაცემების იდენტიფიცირება (ამოიცანი); მოსწავლე ამოიცნობს სხვადასხვა სახის ინფორმაციას: რას ხედავს გრაფიკზე, რომელი ცვლადებია წარმოდგენილი გრაფიკზე.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს ინფორმაციის ინტერპრეტირება (ახსნა); მოსწავლე ახსნის მის მიერ ჩანიშნულ ინფორმაციას.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს გრაფიკის დასათაურება. მოსწავლე მოიფიქრებს გრაფიკის, დიაგრამის სათაურს, რომელიც გამოსახავს ცვლადებს შორის დამოკიდებულებას.

გთავაზობთ ნიმუშს:



I. იდენტიფიცირება (ამოცნობა)

- მე ვხედავ ამ გრაფიკზე ერთ მრუდს;
- მე ვხედავ რომ X ლერძზე გადაზომილია დრო საათებით;
- მე ვხედავ რომ Y ლერძზე გადაზომილია ტბის წყლის pH.

II. ინტერპრეტირება (ახსნა)

- 8-10 საათამდე წყლის pH არ იცვლება და ტოლია 5-ის;
- წყლის pH მაქსიმალურია 16 საათზე;
- 22 საათზე წყლის pH ისევ 5-ს უტოლდება.

III. გრაფიკის დასათაურება

- გრაფიკი გამოსახავს ტბის წყლის pH-ის ცვლილებას დღე-ღამის განმავლობაში.

3. მეთოდი: მტკიცება, მტკიცებულება, მსჯელობა („მმმ სტრატეგია“)

მიზანი: არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება.

არგუმენტირებული მსჯელობა სამი ნაწილისგან შედგება: მტკიცება, მტკიცებულება და მსჯელობა. ამ სამი სიტყვის პირველი ასოებიდან გამომდინარეობს სტრატეგიის სახელწოდება: „მმმ სტრატეგია“.

სტრატეგიის გამოყენების მთავარი აზრი ის არის, რომ მოსწავლემ გაიაროს სამივე ეტაპი; განასხვაოს მტკიცება მტკიცებულებისგან, რაც სამომავლოდ არგუმენტისა და კონტრარგუმენტის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თანმიმდევრობა. მაგალითად, სთხოვეთ მოსწავლეებს, მტკიცებულების მიხედვით ჩამოაყალიბონ მტკიცება ან მტკიცების ასახსნელად მოიპოვონ მტკიცებულება. ნებისმიერ შემთხვევაში ეს მოსწავლეებისგან მაღალ სააზროვნო უნარებს მოითხოვს. ამ გზით თქვენ მათ ე.წ. დეკლარატიულ ცოდნას ჩამოუყალიბებთ.

მტკიცება:

- შეკითხვაზე პასუხი;
- საკითხის შესახებ გაკეთებული დასკვნა;
- დებულება, რომელიც უნდა დამტკიცდეს;
- დებულება, რომელიც გამოსახავს დამოკიდებულებას სიდიდეებს (ცვლადებს) შორის;
- დებულება, რომელიც ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირს.

მტკიცებულება:

- რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები;
- დიაგრამა, გრაფიკი;
- დეტალები, რომელიც ასაბუთებს მტკიცებას;
- სანდო ინფორმაცია;
- პასუხი, რომელსაც იმავე პირობებში მიიღებს ნებისმიერი ადამიანი.

მსჯელობა:



- კავშირი მტკიცებასა და მტკიცებულებას შორის;
- ახსნა, თუ რატომ ასაბუთებს მტკიცებულება მტკიცებას;
- მონაცემების ინტერპრეტაცია;
- რამე სამეცნიერო პრინციპი, რომელიც მტკიცებულების განხილვისას გამოიყენება.

ამ სტრატეგიის გამოყენების დროს მოსწავლე:

1. წარადგენს **მტკიცებას**. ეს არის მისი მოსაზრება, შეკითხვაზე პასუხი, დასკვნა, რომელიც კვლევის დროს ჩამოუყალიბდა.
2. ჩამოთვლის **მტკიცებულებებს**. ეს შეიძლება იყოს მონაცემების შემცველი ცხრილი, სხვადასხვა ფორმის დიაგრამა, კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები და სხვა.
3. **იმსჯელებს**. ერთმანეთთან დააკავშირებს მტკიცებულებასა და მტკიცებას.

გთავაზობთ ერთ-ერთ ნიმუშს:

შეკითხვა: როგორ იცვლება არაორგანული კატალიზატორისა და ფერმენტის თანაობისას მიმდინარე რეაქციების სიჩქარე ტემპერატურის გავლენით?

მტკიცება	არაორგანული კატალიზატორი ტემპერატურის გაზრდით არ იშლება, ფერმენტი ვეღარ ასრულებს ფუნქციას.
მტკიცებულება	 <p>A</p>  <p>B</p>
მსჯელობა	მარცხენა გრაფიკიდან ჩანს, რომ ტემპერატურის გაზრდით რეაქციის სიჩქარე წრფივად იზრდება. მარჯვენა გრაფიკიდან ჩანს, რომ დასაწყისში ტემპერატურის გაზრდით რეაქციის სიჩქარე იზრდება, მაგრამ როცა ტემპერატურა გარკვეულ ზღვარს აღწევს, რეაქციის სიჩქარე ძალიან სწრაფად ნულს უჭოლდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მარცხენა გრაფიკი გამოსახავს არაორგანული კატალიზატორის მონაწილეობით მიმდინარე რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე. მარჯვენა - ფერმენტის მონაწილეობით მიმდინარე პროცესს. ფერმენტი ცილაა და ის დენატურაციის გამოვეღარ ასრულებს ფუნქციას.

4. მეთოდი: ცდა და ექსპრიმენტი

მიზანი: მოსწავლეებს განუვითარდეს: კვლევა-ძიების უნარი; ჰიპოთეზის ჩამოყალიბების უნარი; ბუნებრივი მოვლენისა და პროცესის წარმოდგენისა და ახსნის უნარი; შედარებისა და ანალიზის უნარი.

ინსტრუქცია მეთოდის გამოსაყენებლად: ჩატარეთ სადემონსტრაციო ექსპერიმენტი ან სთხოვეთ მოსწავლეებს, თავად ჩატარონ ის (ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში). გაითვალისწინეთ უსაფრთხოების წესები, სთხოვეთ მოსწავლეებს მათი დაცვა. სასურველია, საკლასო ოთახში ან ლაბორატორიაში გამოაკრათ „ლაბორატორიაში ქცევის წესები“ და მოსწავლეებს ხშირად გაამახვილებინოთ მასზე ყურადღება.

ექსპერიმენტის გასახორციელებლად:

1. შეარჩიეთ საკითხი და საკვლევი შეკითხვა;
2. მოამზადეთ ექსპერიმენტის ჩატარების ინსტრუქცია;
3. შეარჩიეთ ექსპერიმენტისთვის საჭირო რესურსები;
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი/ჰიპოთეზა საკვლევ შეკითხვასთან დაკავშირებით;
5. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩატარონ ექსპერიმენტი ინსტრუქციის მიხედვით;
6. სთხოვეთ მოსწავლეებს, აღრიცხონ მონაცემები თქვენ მიერ მომზადებულ ცხრილებში ან სამუშაო ფურცლებში.
7. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიტანონ დასკვნა მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე და შეადარონ საკუთარ ვარაუდს/ჰიპოთეზას;
8. სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოადგინონ მიღებული შედეგები.

4.1. ვირტუალური ლაბორატორია სამეცნიერო ლაბორატორიის ანალოგია

ვირტუალური ლაბორატორია სამეცნიერო ლაბორატორიის ანალოგია.

მისი გამოყენების მიზანია:

მოსწავლემ შეძლოს:

- ბიოლოგიური პროცესების ამსახველი ისეთი ექსპერიმენტის ჩატარება კომპიუტერის გამყენებით, რომელსაც რეალურად ვერ განახორციელებს;
- ახალი ცოდნის შეძენა სახალისო და საინტერესო გარემოში;
- პროცესების მექანიზმების კვლევა;
- ერთი მოვლენის/პროცესის მრავალჯერ განხორციელება;
- დისტანციური სწავლა.

ინსტრუქცია მეთოდის გამოსაყენებლად:

1. მოძებნეთ ინტერნეტის გამოყენებით ვირტუალური ლაბორატორიის ინტერნეტმისამართი.

- შექმენით მოსწავლეებისთვის ვირტუალური ლაბორატორიით სარგებლობის ინსტრუქცია;
- მოამზადეთ რესურსი;
- გააცანით მოსწავლეებს ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების მიზანი;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, იმუშაონ ინსტრუქციის მიხედვით და გამოიტანონ დასკვნა;
- დააკვირდით მოსწავლეების მუშაობას და მიეცით მითითება საჭიროების შემთხვევაში.

5. მათოდი: მანიპულატივები

მანიპულატივი სხვადასხვა ზომისა და ფორმის საგანია, რომელიც გამოიყენება როგორც სწავლების საშუალება, მაგ., მარცვლეული, ჩხირები, კუბები, უელატინი, ჩონჩხი, უჯრედის მოდელი და სხვა. ის შეიძლება იყოს დამზადებული მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ.

მანიპულატივები გამოიყენეთ ისეთი პროცესების/მოვლენების ასახსნელად, რომელიც:

- არადაკვირვებადია მიკროსკოპული აგებულების გამო;
- მოიცავს ბევრ საფეხურს;
- წარმოადგენს აბსტრაქტულ იდეას.

მიზანი:

- სამეცნიერო ცნებებისა და იდეების განხილვა.
- პრობლემის გადასაწყვეტად სწორი გზის ძიება.
- მოვლენებზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვა.
- მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა.
- საკუთარი სწავლის პროცესის მართვა.
- მოსწავლის ჩართულობის გაზრდა.
- სსსმ მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესში.
- მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება.

ინსტრუქცია მეთოდის გამოსაყენებლად:

- განსაზღვრეთ მანიპულატივის გამოყენების მიზანი;
- შეარჩიეთ საჭირო რესურსი;
- ჩამოაყალიბეთ მანიპულატივის დამზადების ინსტრუქცია (თუ მანიპულატივს ამზადებენ მოსწავლეები);
- სთხოვეთ მოსწავლეებს, ინსტრუქციის გამოყენებით დაამზადონ მანიპულატივი;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოადგინონ მანიპულატივები;
- შეაფასეთ მოსწავლეების მიერ მომზადებული მანიპულატივი.

6. მეთოდი: ჯიგსოუ – მოზაიკა

6.1. დიდი ჯიგსოუ

მიზანი: დიდი ზომის ინფორმაციის მცირე დროში დამუშავება და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი უნარების განვითარება.

მეთოდის გამოყენების ინსტრუქცია:

1. შეარჩიეთ ტექსტი, რომლის დამუშავებაც გსურთ, დაყავით ის იმდენ ნაწილად, რამდენი მოსწავლეც არის ჯგუფში;
2. დაყავით კლასი ჯგუფებად, შექმნით ჰეტეროგენური (შერეული) ჯგუფები. ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს ექვსი. გააცანით მოსწავლეებს მეთოდის ინსტრუქცია;
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაითვალონ 1-დან 6-მდე. დაურიგეთ მოსწავლეებს ტექსტის ნაწილები, რომლებსაც დაამუშავებენ ინდივიდუალურად. ყველა ჯგუფში N1 მოსწავლეები ამუშავებენ ტექსტის ერთსა და იმავე ნაწილს, N2 მოსწავლეები – მეორე ნაწილს და ა.შ.
4. დროის ამონურვის შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნან ახალი ჯგუფები. პირველ ჯგუფში მოხვდებიან ის მოსწავლეები, რომელთა რიგითი ნომერი ერთია, მეორეში – ორი, მესამეში – სამი, მეოთხეში – ოთხი და ა. შ. ასე შექმნით ე.წ. „ექსპერტთა ჯგუფს“. ექსპერტთა ჯგუფების რაოდენობა შეესაბამება ტექსტის ნაწილების რაოდენობას.
5. მოსწავლეები ექსპერტთა ჯგუფების შიგნით შეაჯერებენ ინდივიდუალურად მიღებულ ცოდნას; იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ გადასცენ ეს ინფორმაცია ძირითადი ჯგუფის წევრებს;
6. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებს, გადასცენ ექსპერტთა ჯგუფებში დამუშავებული ინფორმაცია. ისინი გაამთლიანებენ დანაწევრებულ ტექსტს;
7. დაურიგეთ მოსწავლეებს შეეითხვები/სავარჯიშოები, ახალი მასალის გაგების დონის შესამოწმებლად;
8. შეაფასეთ ჯგუფების მუშაობა, გაკვეთილის ბოლოს გააკეთეთ რეფლექსია.

6.2. მცირე ჯიგსოუ

მიზანი: დიდი ზომის ინფორმაციის მცირე დროში დამუშავება და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი უნარების განვითარება.

მეთოდის გამოყენების ინსტრუქცია:

1. შეარჩიეთ ტექსტი, რომლის დამუშავებაც გსურთ, დაყავით ის იმდენ ნაწილად, რამდენი მოსწავლეც არის ჯგუფში;
2. დაყავით კლასი ჯგუფებად, შექმნით ჰეტეროგენური (შერეული) ჯგუფები. ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს ექვსი. გააცანით მოსწავლეებს მეთოდის ინსტრუქცია;
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაითვალონ 1-დან 6-მდე. დაურიგეთ მოსწავლეებს ტექსტის ნაწილები, რომლებსაც დაამუშავებენ ინდივიდუალურად. ყველა ჯგუფში N1 მოსწავლეები ამუშავებენ ტექსტის ერთსა და იმავე ნაწილს, N2 მოსწავლეები – მეორე ნაწილს და ა. შ.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ მიღებული ინფორმაცია ჯგუფის დანარჩენ წევრებს, ამით ისინი გაამთლიანებენ დანაწევრებულ ტექსტს;

5. დაურიგეთ მოსწავლეებს შეკითხვები/სავარჯიშოები, ახალი მასალის გაგების დონის შესამოწმებლად.
6. შეაფასეთ ჯგუფების მუშაობა, გაკვეთილის ბოლოს გააკეთეთ რეფლექსია.

7. მეთოდი: დისკუსია

მიზანი:

- ✓ კრიტიკული მოსმენის უნარის განვითარება.
- ✓ კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება.
- ✓ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარის განვითარება.

კონკრეტული დისკუსიის მიზანი: ხელი შეუწყოს ჯგუფს განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის გამომჟღავნებაში და ამ ცოდნის პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებაში.

მეთოდის ინსტრუქცია:

1. მოამზადეთ ლია ტიპის სადისკუსიო შეკითხვები, რომლებზეც შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს.

წარმართეთ დისკუსია ლია შეკითხვებით:

- ✓ როგორია თქვენი რეაქცია ----- საკითხთან დაკავშირებით?
- ✓ რომელმა პრობლემამ დაგაინტერესათ?
- ✓ რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს?
- ✓ რა არგუმენტის/არგუმენტების საფუძველზე გამოიტანეთ ასეთი დასკვნა?
- ✓ რა არის საჭირო იმისთვის, რომ?
- ✓ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ -----?
- ✓ როგორ გავლენას იქონიებს ----- და რატომ?
- ✓ რას უნდა ველოდეთ -----?

2. დაურიგეთ მოსწავლეებს სამი სხვადასხვა ფერის ალამი, სთხოვეთ დაამაგრონ ალმები ღრუბელში.

3. გააცანით მოსწავლეებს დისკუსიის წარმართვის წესები. თითოეულ მოსწავლეს აზრის გამოხატვის უფლება მიეცით სამჯერ. ყოველი პასუხის შემდეგ, მოსწავლემ უნდა ამოიღოს ერთ ალამი და გადადოს გვერდით (სასურველია დისკუსიის წესების მოსწავლეებთან ერთად შემუშავება).

სარეალიზაციო ქცევის წესები დისკუსიის დროს:

1. აზრის გამოთქმის სურვილის შემთხვევაში აიწიე ხელი;
2. დაიცავი რეგლამენტი;
3. მოუსმინე მოსაუბრეს;
4. პატივი ეცი ნებისმიერი ადამიანის მოსაზრებას;
5. გააკრიტიკე აზრი და არა ადამიანი.

დისკუსიის ხერხები:

1. პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეს, შებრუნდეს გვერდით მჯ-დომი მოსწავლისკენ და გამართოს დისკუსია მეწყვილესთან პასუხების მოსაძებნად (დრო 30 წამი). სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ საკუთარი არგუმენტები მთელ კლასს. მეთოდი გამოიყენეთ მოკლე დროში მარტივი პასუხების მისაღებად.

2. პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეს, 30 წამის განმავლობაში იფიქროს დამოუკიდებლად, შემდეგ შებრუნდეს მეწყვილისკენ და მასთან შეაჯეროს საკუთარი მოსაზრებები. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ საკუთარი არგუმენტები მთელ კლასს.

3. წარმართეთ დისკუსია 3-5 მოსწავლისგან შექმნილ ჯგუფებში. ჯგუფები შეიძლება ჩამოაყალიბოთ:

- ✓ მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით;
- ✓ ფერადი ბარათებით. ერთი ფერის ბარათების მქონე მოსწავლეები ერთ ჯგუფში მოხვდებიან.

სასურველია, გაუნაწილოთ ჯგუფის წევრებს მოვალეობები:

1. მოსწავლე, რომელიც ჩაინიშნავს არგუმენტებს;
2. მოსწავლე, რომელიც მოიძიებს დამატებით ინფორმაციას;
3. მოსწავლე, რომელიც დასვამს შეკითხვებს;
4. მოსწავლე, რომელიც წარადგენს არგუმენტებს.

სასურველია, ჯგუფები ზოგჯერ გადანაწილდეს, რათა მოსწავლეებმა სხვა თანატოლებთანაც იმუშაონ.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯგუფური დისკუსიის დასრულების შემდეგ, საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ მთელ კლასს.

4. გააცანით მოსაზრება კლასს და სთხოვეთ გადანაწილდნენ ორ ჯგუფად: მოსაზრების მომხრებად და მონინაალმდეგებად. ერთი ჯგუფი უნდა განთავსდეს კლასის ერთ, მეორე ჯგუფი კი მეორე კუთხეში. შექმენით წყვილი – მომხრე და მონინაალმდეგე. სთხოვეთ წყვილებს, წარმართონ დისკუსია, დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია.

5. წარუდგინეთ კლასს პრობლემა, დაურიგეთ საინფორმაციო მასალები. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაამუშაონ ინფორმაცია, მოიყვანონ ამ მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტები და კონტრარგუმენტები. მართეთ პროცესი და დასვით მიმართულების მიმცემი შეკითხვები.

შეფასება: დისკუსიის მსვლელობის დროს: გააკონტროლეთ, იცავენ თუ არა მოსწავლეები დისკუსიის წესებს; ჩაინიშნეთ მათი პასუხები; არ გამოხატოთ თქვენი მოსაზრება. შეფასება არგუმენტები და არა პოზიციის მართებულობა. გამოიყენეთ ჯგუფის მუშაობის შეფასების რუბრიკა, რომელიც შეიძლება შეავსოს ჯგუფის მხოლოდ ერთმა ან ყველა წევრმა.

	დიას	არა	ზოგჯერ
დისკუსიაში მონაწილეობდა და აზრს გამოთქვამდა ჯგუფის ყველა წევრი			
კომუნიკაცია იყო ინტერაქტიული			
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრის დასაზუსტებლად და/ან პროცესის გააქტიურების მიზნით			
დისკუსია ეხებოდა მხოლოდ სადისკუსიო თემას			
დაცული იყო დისკუსიის წესები			

დისკუსიის დროს მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს მცდარი და სწორი აზრი. არსებობს დასაბუთებული და დაუსაბუთებელი მოსაზრება.

დისკუსიის დროს ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს:

- ყურადღებით მოისმინონ ყველას მოსაზრება;
- დასვან შეკითხვები;
- შეამოწმონ ვარიანტები;
- შეაჯამონ გამოთქმული აზრი;
- იკამათონ კონსტრუქციულად;
- მიიღონ გადაწყვეტილება;
- მოიყვანონ არგუმენტები.

8. მეთოდი: ვიცი/ მინდა ვიცოდე/ გავიგე

მიზანი: ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის დახარისხებაში, უმაღლებს მოტივაციას, ააქტიურებს წინარე ცოდნას, უვითარებს წერით უნარ-ჩვევებს.

ინსტრუქცია: სთხოვეთ მოსწავლეებს საკითხთან დაკავშირებით შეავსონ I სვეტი. ახალი მასალის წარდგენის შემდეგ (შეგიძლიათ ახალი მასალა წარუდგინოთ თქვენთვის სასურველი ფორმით) სთხოვეთ, შეავსონ II სვეტი. მეორე სვეტის შევსების შემდეგ, საინტერესო იქნება ინფორმაციის გაზიარება წყვილში, ჯგუფში ან მთელ კლასთან. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს სთხოვეთ, შეავსონ III სვეტი. მომდევნო გაკვეთილის დასაგეგმად გამოგადგებათ იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც მოსწავლეებს აინტერესებთ.

ვიცი	გავიგე	მინდა ვიცოდე

9. მეთოდი: 3, 2, 1

მიზანი: წერითი უნარ-ჩვევების განვითარება, საკითხზე ყურადღების კონცენტრირების უნარის ჩამოყალიბება, საკითხების დახარისხების უნარის განვითარება.

ეს ინსტრუმენტი შეგიძლიათ გამოიყენოთ განმავითარებელი შეფასებისთვის, გასასვლელი ბილეთების ფორმით. მოსწავლეებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დაგეგმეთ მომდევნო გაცვეთილი.

ინსტრუქცია: მოსწავლეებს სთხოვეთ, გაკვეთილის ბოლოს დაწერონ ფურცელზე ან თქვენ მიერ დარიგებულ ფორმებში:

სამი რამ, რამაც დამაინტერესა	
ორი რამ, რაზეც მინდა მეტი გავიგო	
ერთი რამ, რასაც გავაკრიტიკებდი/არ ვეთანხმები	

10. მეთოდი: რა დამამახსოვრდა გაკვეთილიდან?

მიზანი: მოსწავლეს განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები.

ინსტრუქცია: დაურიგეთ მოსწავლეებს გაკვეთილის ბოლოს გრაფიკული ორგანიზატორი ან სთხოვეთ სქემის რვეულმი გადახაზვა და ათვისებული მასალის ერთი აბზაციის სახით წარმოდგენა. ინსტრუმენტი გამოგადგებათ განმავითარებელი შეფასებისთვისა და წერილობითი უკუკავშირისთვის.

რა დამამახსოვრდა გაკვეთილიდან?

სახელი და გვარი –

კლასი –

გაკვეთილის თემა –


ერთი აბზაცის მეშვეობით ჩამოაყალიბეთ საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა ისწავლეთ, გაიგეთ ამ კონკრეტული გაკვეთილიდან. რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად:

11. მეთოდი: კოგნიტური დიაგრამები და სააზროვნო სქემები

11. 1. მოვლენების ჯაჭვი

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მოვლენებისა და პროცესების ერთმანეთთან დაკავშირება.


ინსტრუქცია სქემის გამოსაყენებლად: სთხოვეთ მოსწავლეებს დააკავშირონ ერთმანეთთან მოვლენები და პროცესები.



11. 2. საკითხის ან მოვლენების კლასიფიკაცია

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს საკითხის ან მოვლენების კლასიფიკაცია.


ინსტრუქცია სქემის გამოსაყენებლად: სთხოვეთ მოსწავლეებს, სქემატურად წარმოადგინონ რომელიმე საკითხი, მაგალითად, წარმოადგინონ ცხოველების კლასიფიკაცია სქემის სახით.



11.3. 3060ს დიაგრამა

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ორ მოვლენას შორის მსგავსებისა და განსხვავების პოვნა.

ინსტრუქცია სქემის გამოსაყენებლად: სთხოვეთ მოსწავლეებს, შეადარონ ორი ორგანიზმი, მოვლენა. თანაკვეთაში იწერება მსგავსება, მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში კი თითოეული ორგანიზმის, მოვლენის მახასიათებელი ნიშნები.



მაგალითად: შეადარე მცენარეული და ცხოველური უჯრედები.

12. მეთოდი: სიტყვის ნაწილები

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ახალი ტერმინის მნიშვნელობის დადგენა და დამახსოვრება.

ინსტრუქცია მეთოდის გამოსაყენებლად: გამოიყენეთ ეს მეთოდი ახალი სამეცნიერო ტერმინის ახსნის დროს. სთხოვეთ მოსწავლეებს, ტერმინი დაყონ ნაწილებად, თითოეულ მათგანს მოუძებნონ განმარტება, შემდეგ დააკავშირონ ეს ნაწილები ერთმანეთთან. ამ გზით მოსწავლე თავად გაშიფრავს ტერმინს და ადვილად დაიმახსოვრებს მის შინაარსს. მაგალითად: ტერმინი „ფოტო-სინთეზი“ დაყავით ორ ნაწილად – „ფოტო“ და „სინთეზი“. („ფოტო“ – სინათლე და „სინთეზი“ – შექმნის/წარმოქმნის პროცესი). თუ შევაერთებთ ამ მნიშვნელობებს, მოსწავლეს ვაჩვენებთ, რომ ფოტოსინთეზი არის ნივთიერების სინათლეზე წარმოქმნის პროცესი.

13. მეთოდი: პლუმის კუპიკი

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს საკითხის სხვადასხვა სააზროვნო დონის მიხედვით განხილვა.

მეთოდი ხელს უწყობს კომუნიკაციის, საკუთარი აზრის გამოთქმის, ინფორმაციის დახარისხების, ანალიზის, მსჯელობისა და შეფასების უნარების განვითარებას. „ბლუმის კუპიკი“ საშუალებას მოგცემთ, ყველა მოსწავლე ჩართოთ მუშაობაში.

ინსტრუქცია მეთოდის გამოსაყენებლად: გაკვეთილის დაგეგმვის დროს შეარჩიეთ თემა, რომელიც ყველა დონის შეკითხვის დასმის საშუალებას მოგცემთ. დაამზადეთ ქაღალდისგან კუბი, მის ყველა ნახენაზე გაანაწილეთ ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით სხვადასხვა სააზროვნო დონის შესაბამისი შეკითხვები.

- I წახნაგი – აღნერე საგანი ან მოვლენა (ფიზიკური თვისებების ან ეტაპების მიხედვით);
- II წახნაგი – შეადარე ერთმანეთს (ორი მოვლენა. ორი ორგანიზმი ან უჯრედები, მიამსგავსე რამე არაცოცხალ საგანს);
- III წახნაგი – გააანალიზე, „როგორ მუშაობს უჯრედის ესა თუ ის ორგანოდი?“;
- IV წახნაგი – რა მნიშვნელობა აქვს რომელიმე ორგანოს ან პროცესს?
- V წახნაგი – მოიყვანე არგუმენტი/არგუმენტები (რომელიმე მოვლენის მნიშვნელობაზე);
- VI წახნაგი – მოიყვანე კონტრარგუმენტი (საწინააღმდეგო არგუმენტი).

მეთოდი „ბლუმის კუბიკი“ შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელ გაკვეთილზე.

თემის შერჩევის შემდეგ, კლასი დაყავით ჯგუფებად ისე, რომ შექმნათ შესაძლებლობების (მზაობის) მიხედვით შერეული ჯგუფები, რომლებშიც მოხვდებიან გოგონებიც და ბიჭებიც. დაგჭირდებათ იმდენი კუბი, რამდენი ჯგუფიც გაქვთ. მეთოდი მოიაზრებს წყვილებში მუშაობას, თუმცა შეგიძლიათ მისი მოდიფიცირება (არსებობს მისი მრავალი ვარიანტი) და კლასის საჭიროებებზე მორგება.


14. როლური თამაში

როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების მეთოდია.

მიზანი:


- სხვა ადამიანის როლის თამაშით, მოსწავლეებში ერთი და იმავე პრობლემის რამდენიმე განსხვავებული კუთხით განხილვა;
- მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება;
- ემპათიის უნარის განვითარება;
- თემატურად მსგავსი შინაარსების ურთიერთდაკავშირება;
- ინფორმაციისა და გამოცდილების როლური გათამაშებით გადმოცემა;
- კომუნიკაციური უნარების განვითარება;
- თვითრეფლექსია, თვითრეალიზება;

ამ დროს იქმნება ისეთი ხელოვნური გარემო, რომელიც რეალურს ემსგავსება. სწავლების აქტიური ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები გონიერივად და ფიზიკურად აქტიურები არიან, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებებს, ემოციებს. ეს კი აადვილებს დასწავლის პროცესს.



სპონტანური როლური თამაშის დროს მონაწილეები ფანტაზიით ქმნიან და უმეტეს შემთხვევაში ცვალებადი სცენარებით თამაშობენ.

რეგლამენტირებული როლური თამაშის დროს მონაწილეები მყარ სცენარს მისდევენ, თამაშის განსაზღვრულ საშუალებებს იყენებენ.



15. სამეცნიერო მეთოდი

სამეცნიერო მეთოდი არის შვიდი ნაბიჯის ერთობლიობა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება საკვლევ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში. აუცილებელია მოსწავლემ გაიაროს ნაბიჯების შემდეგი თანმიმდევრობა:

- ნაბიჯი 1.** საკვლევი შეკითხვის დასმა (კითხვა უნდა შეესაბამებოდეს დასაკვირვებელ ობიექტს. კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია რომელიმე ტიპის კვლევის გახორციელება);
- ნაბიჯი 2.** საკვლევი საკითხის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
- ნაბიჯი 3.** ჰიპოთეზის ჩამოყალიბება – მოსწავლე გამოთქვამს ვარაუდს კვლევის სავარაუდო შედეგის შესახებ;
- ნაბიჯი 4.** ცდის/ექსპერიმენტის დაგეგმვა. ეს ნაბიჯი მოიცავს ცვლადების განსაზღვრას, რესურსების დადგენასა და ექსპერიმენტის გეგმის შედგენას;
- ნაბიჯი 5.** ექსპერიმენტის გახორციელება და მონაცემების შეგროვება;
- ნაბიჯი 6.** მონაცემების ანალიზი და დასკვნა;
- ნაბიჯი 7.** მიღებული შედეგებისა და დასკვნის გაზიარება.

სამეცნიერო პრაქტიკები

დღეისთვის ცნობილია რვა სამეცნიერო პრაქტიკა. სამეცნიერო მეთოდისგან განსხვავებით, ნაბიჯების თანმიმდევრობის დაცვა არ არის სავალდებულო, შესაბამისად, მოსწავლე უფრო თავისუფალია.

მათემატიკური აპარატისა და ისტ-ის გამოყენება

- მოვლენის ახსნის, პრობლემის გადაჭრის ან მტკიცების დასასაბუთებლად მოსწავლე იყენებს მათემატიკურ, კომპიუტერულ და ალგორითმულ გამოსახულებებს;
- მონაცემების წარმოდგენისას იყენებს შესაბამის ერთეულებს;
- იყენებს წილადებს, ათწილადებს, პროცენტს, ძირითად და წარმოებულ ერთეულებს;
- იყენებს ალგებრულ გამოსახულებას.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირებული მსჯელობა

- ადარებს ერთმანეთს ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტებს და მტკიცებულებების საფუძველზე აანალიზებს მათ სანდობას;
- ხსნის და აფასებს არგუმენტებს მტკიცების, მტკიცებულებისა და მსჯელობის საფუძველზე;
- აქვს მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული აზრის მიმღებლობა; განსაზღვრავს დამატებით საჭიროებებს წინააღმდეგობების დასაძლევად;
- აგებს, იყენებს და წარმოადგენს ზეპირ ან წერილობით არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს მონაცემებისა და მტკიცებულებების საფუძველზე;
- ხსნის მოვლენებსა და პროცესებს და ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს;
- წარმოადგენს რაოდენობრივ და თვისობრივ მტკიცებულებებს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირის საფუძველზე;
- სხვადასხვა წყაროდან მოძიებული სანდო მტკიცებულებების საფუძველზე, ხსნის მოვლენასა და პროცესს;

- იყენებს სამეცნიერო მოსაზრებებს, პრინციპებსა და მტკიცებულებებს მოვლენის ახსნისა და პრობლემების გადაჭრისთვის;
- წარმოდგენილი მტკიცების ასახსნელად იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ არგუმენტირებულ მსჯელობას;
- სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით, ხსნის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ინფორმაციის მოძიება, შეფასება და გაზიარება

- კრიტიკულად კითხულობს და ამუშავებს სამეცნიერო ლიტერატურას; აფასებს წაკითხული მასალის სანდოობასა და ვალიდურობას, გამოყოფს საკვანძო საკითხებს, შეუძლია რთული ტექსტის ადაპტირება;
- ერთმანეთს ადარებს და აანალიზებს სხვადასხვა გზით მოპოვებულ ინფორმაციას;
- ინფორმაციას წარმოადგენს წერილობით ან ზეპირად.

საკვლევი შეკითხვის დასმა და პრობლემის განსაზღვრა

- სვამს საკვლევ შეკითხვას საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე;
- სვამს შეკითხვებს ცვლადებს შორის დამოკიდებულების დასადგენად;
- გამოთქმის ვარაუდს საკვლევ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად;
- განსაზღვრავს პრობლემას და აფასებს საკვლევი შეკითხვის რელევანტურობას;
- აყალიბებს პიპოთეზას თეორიაზე ან მოდელზე დაყრდნობით;
- სვამს შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება გამოკვლეული იყოს სკოლის ლაპორატორიაში, საველე პირობებში.

კვლევის დაგეგმვა და ჩატარება

- გეგმავს და ატარებს კვლევას ინდივიდუალურად ან ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობით, მონაცემების შესაგროვებლად და მტკიცებულებების მოსაპოვებლად;
- ატარებს ექსპერიმენტს და განსაზღვრავს დამოკიდებულ, დამოუკიდებელ და საკონტროლო ცვლადებს. ხსნის მათ შორის დამოკიდებულებას;
- ირჩევს ინსტრუმენტებს მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, წარდგენისა და შეფასებისთვის;
- ადგენს კვლევის ჩატარებისთვის საჭირო რესურსებს. აფასებს რისკებს;
- იცავს უსაფრთხოების წესებს.

მოდელების შექმნა და გამოყენება

- ადარებს მოდელებს ერთმანეთს და აფასებს მათ შესაბამისობას მოთხოვნებთან, ირჩევს ისეთ მოდელს, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
- ქმნის მოდელს;
- შეუძლია მოდელის ნაკლოვანებებსა და უპირატესობებზე მსჯელობა.

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

- აანალიზებს სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილ მონაცემებს სათანადო დასკვნის გამოსატანად;
- იყენებს ალბათობისა და სტატისტიკის ელემენტებს;
- მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის დროს ითვალისწინებს გაზომვის ცდომილებებს;
- ადარებს სხვადასხვა გზით მიღებულ მონაცემებს, ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების სანდოობის დასადასტურებლად.

16. მეთოდი: სასწავლო პროექტი

რატომ არის პროექტებით სწავლება ეფექტური? რა სირთულეები ახლავს პროექტის დაგეგმვას?

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმა, როცა მასწავლებელი და მოსწავლეები თანამშრომლობენ. პროექტგაკვეთილი არის სწავლების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებლები და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას, მის დასამუშავებლად ადგენენ გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში და წარმოადგენენ ერთ საერთო პროდუქტს. პედაგოგიურ ლიტერატურაში პროექტგაკვეთილის სხვადასხვა სინონიმი გვხვდება: პროექტმეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო პროექტი და სხვ.

ამ დროს იზრდება ორივე მხარის შესაძლებლობები. ასეთი ტიპის სწავლება მოსწავლეს აკავშირებს რეალურ სამყაროსთან. ის უფრო ღრმად სწავლობს განსახილველ საკითხს და ფასდება მრავალმხრივ. სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მასწავლებელმა წარმატებული პროექტგაკვეთილის მოსამზადებლად თემა შეარჩიოს მოსწავლებთან ერთად. პროექტგაკვეთილის სქემა ასეთია:

- ინიციატივის წარდგენა და განხილვა;
- პროექტის მონახაზის წარმოდგენა, დაგეგმვა (ამოცანები, რესურსები, დრო, მოვალეობები);
- პროექტის გახორციელება, შუალედური შეფასება;
- შედეგების პრეზენტაცია და საბოლოო შეფასება.

სასწავლო პროექტისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- ინიციატივა მომდინარეობს მოსწავლისგან ან მასწავლებლისგან;
- პროექტის მონაწილეები ერთად მუშაობენ გეგმის შედგენაზე;
- თანხმდებიან ურთიერთობის ფორმებზე;
- ერთად განსაზღვრავენ პროექტის მიზანს, გეგმავენ აქტივობებს, მსჯელობენ სავარაუდო შედეგებზე, ადგენენ რა დროში უნდა შესრულდეს ესა თუ ის ამოცანა;
- ითვალისწინებენ საკუთარ და ჯგუფის ინტერესებს;
- კრიტიკულად აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე სხვა მონაწილის ნამუშევარს;
- იზიარებენ პასუხისმგებლობას;
- ეხმარებიან ერთმანეთს;
- ინდივიდუალური ინტერესი უკანა პლანზეა გადაწეული.

პროექტზე დაფუძნებული გაკვეთილის მახასიათებლები:

1. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე (იდეა მომდინარეობს მოსწავლეებისგან);
2. პროექტში შეტანილია ურთიერთდაკავშირებული დავალებები და აქტივობები, რომლებიც დროშია განერილი;
3. პროექტში ინტეგრირებულია მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების კომპონენტები.
4. პროექტი უკავშირდება რეალურ ცხოვრებას;
5. მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ნამუშევრების გამოქვეყნებით, პრეზენტაციით ან გამოფენით;
6. სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები ეხმარება სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეებს.

მეტაკოგნიცია - სწავლის სწავლა

ტერმინი გულისხმობს „აზროვნებას იმაზე, თუ როგორ ვაზროვნებ“. არსებობს სხვადასხვა სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს მასალის ეფექტურ ათვისებაში. იმისთვის, რომ დაეხმაროთ მოსწავლეს მეტაკოგნიცური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში:

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთად იმეცადინონ მცირე ჯგუფებში ან წყვილებში;
- მიეცით მონახაზი ჩანაწერების გასაკეთებლად;
- დაუსვით შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სწავლობს საგანს (სწავლის რა სტრატეგიას იყენებს);
- ხშირად გააკეთებინეთ მოსწავლეებს თვითშეფასება და ურთიერთშეფასება შეფასების სისტემის გამოყენებით.

სწავლის ეფექტური სტრატეგიები მეტაკოგნიცური უნარების განსავითარებლად:

1. მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა

- მიუთითეთ მოსწავლეებს, რომელი ცნება ან ინფორმაციაა ყველაზე მნიშვნელოვანი;
- მიახვედრეთ, რა არის გაკეთილში ყველაზე მნიშვნელოვანი;
- გააცანით გაკეთილის მიზნები (დაფაზე დაწერეთ);
- დაფაზე დაწერეთ მთავარი ცნებები და შეადგინეთ კონცეპტუალური რუკა (შინაარსის რუკა);
- დაუსვით ისეთი შეკითხვები, რომლებითაც ყურადღებას გაამახვილებინებთ მთავარ ცნებებზე.

2. არსებული ცოდნის გახსენება

- გაკეთილის ახსნის დროს სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკავშირონ ახალი მასალა ძველთან ან საკუთარ გამოცდილებასთან. დაეხმარეთ დამაზუსტებელი შეკითხვებით.

3. ჩანაწერების გაკეთება

- მიეცით მოსწავლეებს გეგმა, რომლის მიხედვითაც ისინი ჩანაწერებს გააკეთებენ;
- პერიოდულად შეამონმეთ ჩანაწერების ხარისხი, მიეცით რჩევები ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. ინფორმაციის ორგანიზება

- შეადგენინეთ მოსწავლეებს ცნებათა რუკა (დიაგრამა, რომელიც ცნებებს შორის კავშირს ასახავს). ამ დროს ისინი ახდენენ მასალის ვიზუალურად კოდირებას.

5. ინფორმაციის გადამუშავება

- სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიყვანონ შესასწავლ მასალასთან დაკავშირებული მაგალითები;
- სთხოვეთ, დააკავშირონ ცნებები და იდეები;
- დაუსკით სააზროვნო შეკითხვები, რომლებიც მათ დასკვნის გამოტანამდე მიიყვანს;
- სთხოვეთ, იმუშაონ პატარა ჯგუფებში ან წყვილებში, თავად დასვან და უპასუხონ შეკითხვებს.

6. მასალის მოკლედ გადმოცემა/შეჯამება

მოიცავს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ინფორმაციების განსხვავებას, ინფორმაციის სინთეზს, ცნებებსა და იდეებს შორის კავშირის დანახვას.


- რეგულარულად დაავალეთ მოსწავლეებს შეაჯამონ წაკითხული მასალა;
- მოამზადებინეთ მოკლე ზეპირი პრეზენტაცია ჯგუფებში ნებისმიერ თემაზე;
- სთხოვეთ, წარმოადგინონ აბზაცის შინაარსი ერთი წინადადების სახით.

7. გაგება-გააზრების შემოწმება

- სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარ თავს დაუსვან შეკითხვა: რა ვისწავლე? რა გავიგე?
- სთხოვეთ მოსწავლეებს, ქაღალდის ფურცელზე ჩამონერონ ყველაფერი, რაც საკითხის ირგვლივ გაახსენდებათ. ხელმეორედ წაიკითხონ ტექსტი და შეადარონ საკუთარ ჩანაწერებს.
- დაავალეთ, იმუშაონ მცირე ჯგუფებში და შეაფასონ ერთმანეთის ცოდნა.

პლუმის ტაქსონომია

ბერძუამენ სემუელ ბლუმის მიხედვით, აზროვნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა სააზროვნო დონეს მიეკუთვნება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – ზედა დონეებია და ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს. ბლუმის მიხედვით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება.



რაში დაგეხმარებათ ბლუმის ტაქსონომიის ცოდნა?

მისი დახმარებით შეძლებთ:

- გაკვეთილები დაგეგმოთ მარტივიდან რთული უნარების განვითარების მიმართულებით, რითიც დახმარებით კლასში მყოფ ყველა მოსწავლეს გაკვეთილის ბოლოს გარკვეულ შედეგზე გავიდეს;
- გაკვეთილზე დასვათ ისეთი სირთულის შეკითხვები, რომლებიც ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით შეესაბამება როგორც დაბალ, ასევე მაღალ აზროვნების დონეებს.
- გაკვეთილი მარტო ცოდნის დონით არ შემოიფარგლოს;
- საშინაო და საკლასო დავალებები ისე ჩამოაყალიბოთ, რომ შესაძლებელი იყოს მისი მიღწევის დონეებად დალაგება (მარტივიდან რთულისკენ);
- სწავლის შედეგები ობიექტურად შეაფასოთ.

	დონე	განმარტება	შესაბამისი ზმები
1	ცოდნა	ეს არის ინფორმაციის ამოცნობის ან გახსენების დონე. გულისხმობს ფაქტების, ცნებების, განმარტებების, წესის, შინაარსის გახსენებას.	დაასახელე, აღნიშნე, ჩამოთვალე, ჩაწერე, მოჰყვევი, გაიხსენე, დაწერე, მიაკუთვნე, დაასრულე.
2	გაგება	ამ დონეზე ხდება აზრის გაგება, საკუთარი სიტყვებით ფაქტის გადმოცემა. გულისხმობს მსჯელობას, ცნების ან კონცეფციის აზრის ახსნას და ინტერპრეტაციას, სამოქმედო გზის ან პრობლემის გადაწყვეტის გზის დასახვას.	ახსენი, განმარტე, განსაზღვრე, დაამტკიცე, დაახარისხე, დააჯგუფე, შეაჯამე, გადმოეცი შენი სიტყვებით, შეასრულე ილუსტრაცია.
3	გამოყენება	ეს არის თეორიის პრაქტიკაში და რეალურ სიტუაციაში გამოყენების დონე. ხასიათდება თეორიის პრაქტიკაში გატარებით, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტით, ქმედებ(ებ)ით.	გამოიყენე, გამოთვალე, გადაამუშავე, იპოვე, აღმოაჩინე, ამოხსენი, აჩვენე, ააგე, სქემა შექმენი.
4	ანალიზი	ამ დონეზე ხდება ელემენტების სტრუქტურის, აგებულების ორგანიზაციული პრინციპების, შინაგანი მიმართებების ინტერპრეტირება. დონე ხასიათდება პროცესის ან ცნების ნაწილების გამორჩევით, მეთოდოლოგიის ან პროცესის ფუნქციების ანალიზით, ელემენტების მიმართების, მათი ფუნქციონირების შედეგების თვისებრივი ანალიზით.	ძირითადი კითხვაა რატომ? შეადარე, გააანალიზე, განასხვავე, გამოყავი, დაყავი კატეგორიებად, გამოიკვლიე, დაახარისხე.
5	სინთეზი	ეს დონე ხასიათდება ახალი უნიკალური სტრუქტურის, სისტემის მოდელის შემქნით, ახალი იდეის, ახალი მიდგომის ჩამოყალიბებით. ამ დონეზე ხდება გეგმისა და პროცედურების შემუშავება, იდეების, საშუალებებისა და მეთოდების ინტეგრირება, ახალი მიდგომების შემუშავება.	დაგეგმე, დააპროექტე, აღმოაჩინე, შექმენი, ააწყვე, განაზოგადე, ჩამოაყალიბე, შეაჯამე, დააჯგუფე.
6	შეფასება	ამ დონეზე ხდება მოდელის, კონცეფციის ეფექტურობის შეფასება მისი შედეგიანობის თვალსაზრისით, კრიტიკული ანალიზი, სტრატეგიული ვარიანტებისა და გეგმების შეფასება, რისკების გათვლა.	შეაფასე, დაადგინე, შეამოწმე, გადაამოწმე, მიიღე გადაწყვეტილება, გამოიტანე დასკვნა, უარყავი, გააკრიტიკე, მოიყვანე არგუმენტები.

ბლუმის ტაქსონომიის დონე	შესაბამისი შეკითხვები
ცოდნა	დაასახელე უჯრედული ტრანსპორტის ფორმები;
გაგება	განმარტე რა მნიშვნელობა აქვს ქოლესტერინს;
გამოყენება	განმარტე ტერმინი „ფოტოსინთეზი“;
ანალიზი	შეადარე ერთმანეთს უჯრედული სუნთქვა და ფოტოსინთეზი;
სინთეზი	დაგეგმე ექსპერიმენტი, რომლითაც დაადგენ ფოტოსინთეზის მიმდინარეობისთვის საუკეთესო პირობებს;
შეფასება	არგუმენტებით დაასაბუთე , რომ წყალი ჟანგბადის წყაროა.

შეკითხვის დასმა და მისი მნიშვნელობა

გაკვეთილზე დასმული შეკითხვები ემსახურება:

- მოსწავლის ცოდნის დონის განსაზღვრას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან მიმართებით.
- განმავითარებელ შეფასებას (იმ შემთხვევაში, თუ ის მაღალი დონის სააზროვნო უნარებს აფასებს).

არსებობს დახურული და ღია ტიპის შეკითხვები:

დახურული კითხვები საშუალებას იძლევა, გავარკვიოთ მოსწავლის ცოდნის დონე, მაგ., წაიკითხა თუ არა საკითხავი მასალა, ახსოვს თუ არა გაკვეთილზე მოსმენილი. აუცილებელია ამგვარი კითხვების დასმაც, თუმცა, როგორც წესი, ეს არ გვაძლევს ინფორმაციას მოსწავლეების გაგების/გააზრების დონის შესახებ.

ღია კითხვები საშუალებას იძლევა, მივიღოთ უფრო მეტი ინფორმაცია, თუმცა ღია კითხვებიც შეიძლება მხოლოდ ცოდნის დონის შესახებ ინფორმაციის მიღებას ემსახურებოდეს;

- **კითხვა:** რა გზით გადაეცემა გრიპის ვირუსი? – არ იძლევა გაგება-გააზრების დონის შეფასების შესაძლებლობას.
- **კითხვა:** ჭიაყელა და ბაყაყი კანით სუნთქავენ. საამისოდ მათი კანი უხვად მარაგდება სისხლით. ჭიაყელის შემთხვევაში ეს ადვილად შესამჩნევია, ბაყაყზე კი ამას ერთი შეხედვით ვერ ვიტყვით. იმსჯელე, რითაა გამოწვეული ეს განსხვავება. - აძლევს მასწავლებელს საშუალებას, შეაფასოს, თუ რამდენად კარგად გაიგო და გაიაზრა მოსწავლემ ინფორმაცია ჭიაყელისა და ბაყაყისთვის კანის მნიშვნელობისა და მისი სისხლით მომარაგების შესახებ.

კითხვების დასმისას უმნიშვნელოვანესია:

- რომ მოსწავლეებს მისცეთ საჭირო დრო კითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად.
- თუ მოსწავლეებმა კითხვებს ხელის აწევით უნდა უპასუხონ, სთხოვოთ მათ, ჯერ დაფიქრდნენ და შემდეგ ასწიონ ხელი.
- შეეცადოთ, გამოიყენოთ კითხვის დასმის მრავალფეროვანი ტექნიკები.

არსებობს ექვსი კატეგორიის კითხვები

კითხვის კატეგორია	კითხვის მნიშვნელობა	საგარაუდო ჩამონათვალი
კითხვები ყურადღების ფოკუსირებისთვის	ეხმარება მოსწავლეს დაკვირვებაში, კონკრეტულ დეტალებზე ფოკუსირებაში, ნანახის დაკავშირებაში ამა თუ იმ მოვლენასთან	რა არის გამოსახული ... ? რას შეიძლება ნიშნავდეს ... ? რა შეიძლება აკავშირებდეს სურათზე გამოსახულ ... ? რას აკეთებს ... ? რას გაგონებს ... ?
კითხვები გაზომვისა და ანგარიშისთვის	ხელს უწყობს კონკრეტული მონაცემების მოპოვებას, რაოდენობრივ ანალიზს	რამდენი ... ? რა სიგრძისაა ... ? რა სიხშირით ... ?
კითხვები შედარებისთვის	მათი ჩართვა შეიძლება აქტივობებში, რომლებიც მიმართულია დაკგუფებაზე, თანამიმდევრობის შექმნაზე, მსგავსების ან განსხვავების აღმოჩენაზე.	რა აქვთ საერთო ... ? რა აქვთ განსხვავებული ... ? რომელ ჰგუთს მიაკუთვნებდი ... ? რის მიხედვით დააჭირებდი ... ?
კითხვები მოქმედებისთვის	ხელს უწყობს მოსწავლეებმა გაიაზრონ მოსალოდნელი პროცესები. ასეთ შეკითხვაზე პასუხი მოითხოვს მოსწავლის მხრიდან კვლევითი პროცედურების განხორციელებას.	რა მოხდება, თუ ... ? რა გავლენას მოახდენს ... ?
კითხვები პრობლემის გადაჭრისთვის	რთავენ მოსწავლეებს შესაბამის (ავთენტურ) სიტუაციებში, რომლებიც მოითხოვნ პრობლემის გადაჭრას. ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას. აჩვევს მოსწავლეს ფიქრს	რა გზა არსებობს... ? შეგიძლია გამოიყენო სხვა გზა ... ? როგორ გადაჭრიდი პრობლემას ... ? როგორ მოიქცეოდი მოცემულ სიტუაციში ... ?
კითხვები მსჯელობისთვის	ეხმარება მოსწავლეს არგუმენტირებულ მსჯელობაში, დასკვნების გამოტანაში, განზოგადებაში. ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას.	რა კანონზომიერებას ხედავ ... ? რატომ ფიქრობ, რომ ... ? შეგიძლია მოიყვანო მტკიცებულება, რომელიც ... ? რა კავშირია ... შორის?

შეკითხვის კატეგორია	ნიმუში ბიოლოგიდან
კითხვები ყურადღების ფოკუსირებისთვის	რა არის გამოსახული სურათზე ...
კითხვები გაზომვისა და ანგარიშისთვის	როგორია უკვერედული სუნთქვის თითოეულ ეტაპზე ატფ-ის რაოდენობა?
კითხვები შედარებისთვის	რა განსხვავებაა ტრანსკრიპციასა და ტრანსლაციას შორის?
კითხვები მოქმედებისთვის	რა გავლენას ახდენს გარემო ფოტოსინთეზის სიჩქარეზე?
კითხვები პრობლემის გადაჭრისთვის	შეაფასე სპირტული დუღილის მნიშვნელობა კვების მრეწველობისთვის.
კითხვები მსჯელობისთვის	რა პერსპექტივები არსებობს მძიმე დაავადებების სამკურნალოდ?

კლასის ორგანიზაციის ფორმები

ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური მუშაობის დაწერგვა მასწავლებლისთვის სასარგებლოა, რადგან:

- შედეგზე გადის უფრო მოკლე დროში;
- ექმნება ნაკლები დისციპლინის პრობლემები (იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ ჯგუფში მუშაობის უნარები), იღებს მაღალ აკადემიურ შედეგებს კლასში.

ჯგუფური მუშაობის დაგეგმვასთან დაკავშირებული სირთულეები:

- ასეთი ტიპის სწავლებას ესაჭიროება მეტი დრო, მეტი შრომა, წინასწარი დაგეგმვა, სპეციფიკური დავალებების შექმნა და შერჩევა;
- ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის, გახორციელებისა და შეფასების ეტაპების ცოდნა;
- ჯგუფური მუშაობისათვის დავალებების შექმნა და/ან შერჩევა;
- მოსწავლეებისთვის ჯგუფური მუშაობის ნორმების გაცნობა და ახსნა; ჯგუფური მუშაობის ქცევების გამომუშავება, მათი ყოველდღიურ რუტინად გადაქცევა;
- მუდმივი თვითშეფასება და რეფლექსია მასწავლებლის მიერ;

ჯგუფური მუშაობის გახორციელებისთვის აუცილებელია სამი ძირითადი ეტაპის გავლა. თითოეული მათგანი შეგვიძლია დაგყოთ ქვეეტაპებად.

- I. მომზადება (დაგეგმვა, დავალების შექმნა, რესურსის მომზადება);
- II. განხორციელება (დეტალური ინსტრუქციის გაცემა, მონიტორინგი, დახმარება);
- III. შეფასება (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება).

ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალურთან შედარებით, მეტად უწყობს ხელს თანამშრომლობითი და სოციალიზაციის უნარების განვითარებას, მოსწავლეებს უფრო რთული დავალებების გადაჭრა შეუძლიათ, რადგან ჯგუფებში არსებული ცოდნა და უნარები აღემატება იმ ცოდნას, რომელიც ცალკეულ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს. შესაბამისად, ერთ მთლიან ჯგუფს გაცილებით მეტი რესურსი აქვს, ვიდრე ჯგუფის თითოეულ წევრს ცალ-ცალკე. მოსწავლეებს თანაგანცდის უნარებიც უვითარდება.

კვლევებმა აჩვენა, რომ ჯგუფური მუშაობა დადებითად აისახება მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე მხოლოდ მაშინ, როცა თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემაზეა დაფუძნებული.

ნებისმიერ კლასში არსებობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთაც შეუძლიათ თანაკლასელის დახმარება. ისინი ამ საქმეს სიამოვნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ეს საშუალება უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში სარგებელს ორივე მხარე იღებს – ვისაც ეხმარებიან და ვინც ეხმარება.

აღნიშნული აქტივობა შეიძლება გახორციელდეს სხვადასხვა დროსა და სივრცეში, მაგალითად:

1. საკლასო ოთახში, გაკვეთილის მსვლელობისას;.
2. გაკვეთილების შემდეგ;
3. სახლში ორივე მხარისა და მათი მშობლების შეთანხმების საფუძველზე.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებით:

- მოსწავლეების დაჯგუფებისას მასწავლებელმა საჭიროა დაიცვას **გენდერული პალანსი**. გოგონები და ვაჟები გადაანაწილოს დაახლოებით თანაბრად.
- თუ კლასში გყავთ სსმ მოსწავლე, ის უნდა იყოს რომელიმე ჯგუფის სრულფასოვანი წევრი და შესარულოს დავალების მისთვის შესაბამისი ნაწილი.
- მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჯგუფური მუშაობა კონკრეტული გაკვეთილის მიზნის მისაღწევად ნამდვილად კარგი სტრატეგიაა.
- ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა განუმარტოს როგორ და რა საქმიანობისთვის შეფასდებიან.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა კარგად განუმარტოს მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა - თუ რა უნარების განვითარებას შეძლებენ ისინი და რატომაა მნიშვნელოვანი ეს უნარები.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს ჯგუფური სამუშაოს სტრუქტურირებაში, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ სამუშაოს ერთმანეთში გადაანაწილება.
- ხანგრძლივი დროის განმავლობაში გათვლილი ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში აუცილებელია მასწავლებლის მიერ შუალედური შეფასების გაკეთება და მოსწავლეებისთვის უკუკავშირის მინოდება, რომელიც უმჯობესია იყოს წერილობითი.
- მასწავლებელი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს პროცესს და საბოლოოდ გაარკვიოს, რა შედეგზე გავიდა მოსწავლეთა თანამშრომლობა.
- მოსწავლეთა დაჯგუფებისას მასწავლებელმა საჭიროა გაითვალისწინოს ჯგუფის წევრებს შორის არსებული პიროვნული ურთიერთობები. არსებობს მაგალითები, როდესაც საუკეთესო მეგობრების ერთ ჯგუფში მოხვედრას უარყოფითი შედეგები მოაქვს.

დიფერენცირებული სწავლება

დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას ცალკეული მოსწავლის საჭიროების, სწავლის სტილის ან ინტერესების მიხედვით (Heacox, 2002).

დიფერენცირებული სწავლების მიზანია განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის მათ საჭიროებებზე, ინტერესებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლების განსხვავებული მიდგომების შეთავაზება.

დიფერენცირება შესაძლებელია მოხდეს რამდენიმე გზით:

- 1. მეთოდოლოგის მიხედვით:** მისი ერთ-ერთი ფორმაა გაჩერებებით სწავლება.
- 2. შინაარსის მიხედვით.** დავალების სირთულის მიხედვით დიფერენცირება. თუ მოსწავლეებს დავალებებს შესთავაზებთ ინდივიდუალურად, ეს არ იქნება დიფერენცირების მაგალითი, შესთავაზეთ „სასწავლო მენიუ“, რომელშიც მოსწავლეს საშუალება ექნება შეასრულოს დავალებები თავისი სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით.
- 3. სასწავლო მიზნების მიხედვით.** ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სტანდარტის დაძლევის მიხედვით, სხვადასხვა საფეხურზე მდგომ მოსწავლეებს განუსაზღვრეთ მათთვის შესაბამისი მიზანი, მათ შორის სსმ მოსწავლესაც. მიზანი არ უნდა იყოს მიუღწეველი, რათა არ გამოიწვიოთ მოსწავლის დემოტივაცია.
- 4. მოტივაციის მიხედვით.** სხვადასხვა მოსწავლეს მოტივაციისთვის განსხვავებული მოტივატორი სჭირდება. თუ თქვენ მოსწავლეების საჭიროებებს დაადგენთ, მოტივატორის შერჩევაც არ იქნება რთული.
- 5. ორგანიზების ფორმის მიხედვით.** გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობისთვის განსხვავებული ორგანიზების ფორმა შეარჩიეთ, რაც მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებაში დაგეხმარებათ. როცა მოსწავლეები ერთი და იმავე ფორმით მუშაობენ გაკვეთილზე, ეს მათთვის მოსაწყენი ხდება და მათ დემოტივაციას იწვევს.
- 6. დროის მიხედვით დიფერენცირება.** საჭიროებებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს განუსაზღვრეთ განსხვავებულ დროს ერთი და იგივე სამუშაო. მოსწავლეების იმის მიხედვით შეაფასება, ვინ უფრო სწრაფად დაასრულა მუშაობა, გამოიწვევს ნამუშევრის ხარისხის შემცირებას, იმ მოსწავლეების დემოტივაციას, რომლებსაც მეტი დრო სჭირდებათ სამუშაოს ხარისხიანად შესასრულებლად.
- 7. სწავლის სტილის მიხედვით.** მოსწავლეებს სწავლის სტილის მიხედვით ყოფენ სამ ტიპად: ვიზუალური, სმენითი და კინესთეტიკური სწავლის სტილის მქონე. ყველა მოსწავლეში სამივე მიმართულებაა განვითარებული, თუმცა ერთი რომელიმე სტილი უფრო სჭარბობს. თქვენ ხელი უნდა შეუწყოთ სხვადასხვა სტილის განვითარებას, მოსწავლეებისთვის ერთი რომელიმე მიმართულებით განვითარება არ იქნება ხელსაყრელი.

ვიზუალური სწავლის სტილის მოსწავლეებისთვის გამოიყენეთ სქემები, დიაგრამები, ელექტრონული პრეზენტაციები, გრაფიკული ორგანიზატორები, პროცესის ამსახველი ვიდეოები.

სმენითი სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებს შესთავაზეთ საუბარი, ვიდეორესურსი.

კინესთეტიკური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის ექსპერიმენტული სამუშაოები და როლური თამაშები იქნება უკეთესი.

სწავლის სტილის მიხედვით დიფერენცირება არ გულისხმობს, რომ თქვენ, მაგალითად, კინესთეტიკური სწავლის სტილის მოსწავლეებს მხოლოდ ექსპერიმენტი შესთავაზოთ. თქვენი მიზანია ხელი შეუწყოთ სწავლის სხვადასხვა სტილის განვითარებას.

სასწავლო მენიუ – ინსტრუმენტი ღიაზერაცირეაბული სწავლებისთვის

სასწავლო მენიუ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს აირჩიონ სავარჯიშოებს ან მიზნის მისაღწევ საშუალებებს შორის. სასწავლო მენიუში სასწავლო ამოცანების დიფერენცირება შესაძლებელია მოსწავლეების მზაობის, სწავლის სტილისა და ინტერესების მიხედვით. სასწავლო მენიუ მრავალმხრივი დიფერენცირების საშუალებას იძლევა. მასწავლებელი თავისუფალია სასწავლო მენიუს ფორმატის შემუშავებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ინსტრუმენტის გამოყენებით გაზრდით მოსწავლის ავტონომიურობის ხარისხს, რის შედეგადაც მოსწავლე უფრო თავდაჯერებული გახდება. სასწავლო მენიუ შეგიძლიათ გამოიყენოთ საშინაო დავალების სახით ან გაკვეთილზე – საკითხის გაგება-გააზრების დონის შესაფასებლად. ასევე შესაძლებელია მოსწავლეებმა მუშაობა დაიწყონ კლასში და განაგრძონ სახლში. სასწავლო მენიუს შედგენისას ინსტრუქციები განერეთ დეტალურად.

გთავაზობთ რამდენიმე მნიშვნელოვან რჩევას, რომლებიც სასწავლო მენიუს შედგენის დროს უნდა გაითვალისწინოთ:

- შეარჩიეთ ფორმატი (მაგალითად, სავალდებულო, არჩევითი და არასავალდებულო კომპონენტები).
- შეარჩიეთ სასწავლო მენიუსთვის მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.
- კარგად გაიაზრეთ, რის მიხედვით აკეთებთ დიფერენცირებას.
- სასწავლო მენიუს გამოყენებამდე მოსწავლეებს აუხსენით/გააცანით რა მნიშვნელობა აქვს ამ ინსტრუმენტის გამოყენებას, რა სარგებელს მიიღებენ მისგან.
- თუ სასწავლო მენიუს მოსწავლეები კლასში ასრულებენ, იმოძრავეთ კლასში, შეაფასეთ ყველა მოსწავლის ნინძვლა, მიეცით უკუკავშირი, დააკვირდით როგორ მუშაობენ, ყურადღება გაამახვილებინეთ საკუთარ შეცდომებზე.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს მიაწოდეთ ამომწურავი ინფორმაცია დავალებების შესახებ.
- სასწავლო მენიუს გაანალიზების შემდეგ გამოკვეთეთ ის აქტივობა ან სავარჯიშო, რომელიც მოსწავლეთა უმეტესობამ აირჩია. შეგიძლიათ ეს აქტივობა შემდგომში უფრო ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, გამოიყენოთ.

თუ გსურთ დიფერენცირება **სწავლის სტილის** მიხედვით, მოსწავლეებს მიეცით საშუალება, საკუთარი სურვილით იმუშაონ ფოტო/ვიდეომასალაზე, დახატონ პლაკატი, შექმნან მოდელი, შეავსონ ცხრილი ან წარმოადგინონ პრეზენტაცია.

თუ გსურთ დიფერენცირება **მზაობა/საჭიროების** მიხედვით, მოსწავლეებს შესთავაზეთ სხვა-დასხვა სირთულის დავალება ან აქტივობა.

თუ გსურთ დიფერენცირება **ინტერესების** მიხედვით, მოსწავლეს შესთავაზეთ ისეთი სავარჯიშო, რომელშიც კვლევის სასურველ მეთოდს თავად მოსწავლე აირჩიებს.

სასწავლო მენიუ

საგანი: -----

თემა: -----

კლასი: -----

სასწავლო მიზანი: -----

სავალდებულო (შეასრულეთ ყველა დავალება)

1. -----

2. -----

3. -----

არჩევითი (ჩამონათვალიდან შეასრულეთ ერთი მაინც)

1. -----

2. -----

3. -----


არასავალდებულო (შეგიძლიათ მოცემული დავალებებიდან შეარჩიოთ ერთი, ერთზე მეტი ან არცერთი)

1. -----

2. -----

სასწავლო გაჩერებები


„სასწავლო გაჩერებები“ – აქტივობების ერთობლიობა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს: მიაღწიოს დასახულ მიზანს, შეუქმნას მოსწავლეებს სახალისო და საინტერესო გარემო, აამაღლოს მოტივაცია, გაზარდოს ჩართულობა მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით.




გაჩერებებისა და თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობებს (მოსწავლეების დაჯგუფებისას მასწავლებელმა საჭიროა დაიცვას **გენდერული ბალანსი**). გოგონები და ვაჟები გადაანაწილოს დაახლოებით თანაბარად.) განსაზღვრავს მასწავლებელი, გაკვეთილის მიზნიდან და კლასის სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს თითოეულ „სასწავლო გაჩერებაზე“ მოსწავლეებისთვის გათვალისწინებული დრო. აქტივობების სწორად წარმართვისთვის აუცილებელია, რომ ყველა გაჩერებას დაეთმოს თანაბარი დრო, მასწავლებელმა აკონტროლოს მოსწავლეთა გადადგილება გაჩერებებზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დროის ლიმიტის დაცვას. მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი ფორმაა 1-4-ზე გათვლა (მოსწავლეები გათვლიან იმდენზე, რამდენი გაჩერებაც არის), პირველები დადგებიან პირველ გაჩერებაზე, მეორეები – მეორეზე, მესამეები – მესამეზე და მეოთხეები – მეოთხეზე. ასევე შესაძლებელია, მასწავლებელმა პატარა ფურცლებზე დაწეროს გაჩერებების ნომრები, მოსწავლე ამოიღებს ფურცელს და დადგება იმ „გაჩერებაზე“, რომელი ციფრიც ფურცელზეა წერია.

შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს დაწყვილებული გაკვეთილი. ასეთი ტიპის გაკვეთილი გამოიყენება როგორც სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთი ფორმა – **ინოვაციური გაკვეთილი**. ამ გზით ის კოლეგებს გააცნობს სწავლების ახალ სტრატეგიას.


ჭგუფების საწყისი განლაგება:




ერთი გაჩერების გავლის შემდეგ



მეორე გაჩერების გავლის შემდეგ:



მესამე გაჩერების გავლის შემდეგ:



მოსწავლების შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

1. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

შეფასების პრინციპები

მოსწავლეთა შეფასების დროს მასწავლებელმა უნდა დაიცვას შეფასების ოთხი პრინციპი:

1. სანდოობა – მოსწავლე რამდენჯერ და ვის მიერაც უნდა შეფასდეს, მისი შეფასება იდენტურია.

2. ვალიდობა – მოსწავლემ წინასწარ იცის, რაში შეფასდება.

3. გამჭვირვალობა – მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები.

4. ობიექტურობა – შეფასება თავისუფალია სტერეოტიპებისა და პირადი დამოუკიდებულებებისგან.

შეფასების ინდიკატორები გამომდინარებს შედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის თემაში რეალიზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუპრიკებისთვის.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავი-თარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომ-ავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუ-ირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პრო-ცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი სა-კუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითც-ნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

1. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დო-ნეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმსაზღვრელ შეფასე-ბაში იწერება ქულა.

შეფასების პრინციპები

მოსწავლეთა შეფასების დროს მასწავლებელმა უნდა დაიცვას შეფასების ოთხი პრინციპი:

1. სანდოობა – მოსწავლე რამდენჯერ და ვის მიერაც უნდა შეფასდეს, მისი შეფასება იდენ-ტურია.

2. ვალიდობა – მოსწავლემ წინასწარ იცის, რაში შეფასდება.

3. გამჭვირვალობა – მოსწავლებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები.

4. ობიექტურობა – შეფასება თავისუფალია სტერეოტიპებისა და პირადი დამოკიდებულებებისგან.

შეფასების ინდიკატორები გამომდინარეობს შედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის თემაში რეალი-ზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუპრიკებისთვის.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავი-თარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომ-ავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუ-ირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პრო-ცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი სა-კუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითც-ნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუპროექტი, ანუ კრიტერიუმების ბაზე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისთვის

სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის შესაფასებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალება-თა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შემაჯამებელი დავალება უნდა იძლეოდეს იმ ცოდნი-სა და უნარების სრულფასოვნად შეფასების საშულებას, რომელთა დაუფლებასაც ემსახურებოდა სწავლების პროცესი.

საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, მოდ-ელირება, პროექტი, პრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები, ექსპერი-მენტის შედეგების ანალიზი, საველე/გასვლითი სამუშაოს ანგარიში და სხვა.

ტესტი – ტესტური დავალებების ერთობლიობა. ტესტური დავალებები შეიძლება იყოს რო-გორც დახურული, ასევე - ღია. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში, სასურველია, არ აღმატებოდეს 30%-ს. ღია ტიპის დავალებები უნდა ამონმებდეს მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარებს. სასურველია, ღია ტიპის ტესტურ დავალებებში წამყანი იყოს კითხვები: რატომ? როგორ? საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტური დავალებები უნდა მოიცავდეს სქემების, ნახატებისა და ნახაზების წაკითხვის, გაგებისა და ანალიზის კომპონენტ-საც. მოსწავლეს უნდა მოეთხოვებოდეს გრაფიკული მაორგანიზებლებით მოცემული ინფორმაციის წაკითხვა და/ან გრაფიკული მაორგანიზებლების აგება პროცესების აღწერის მიზნით.

კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული დავალებები (მათ შორის ექსპერიმენტული სამუშაოები) – მოითხოვს მოსწავლეების ჩართვას როგორც პრაქტიკულ კვლევით აქტივობებში, ისე მონაცემების და-მუშავების, ანალიზის ინტერპრეტაციაში.

მოდელირება – პროცესის, მოვლენის, ობიექტის ანალოგის გამოყენება ან/და შექმნა. მოდელი შეიძლება იყოს როგორც ორგანზომილებიანი (სამეცნიერო ნახატი/ნახაზის შექმნა), ასევე სამგან-ზომილებიანი. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ, ახსნან მოდელის კომპონენტების ფუნქციები, მოდელის დახმარებით აღნერონ პროცესები, მოდელი შექმნან გარკვეული პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია, მოსწავლეებმა იმსჯელონ მოდელის შეზღუდვებზე (მაგ., კანის სიპრტყეზე გამოსახული სქემა ვერ ხსნის კანში სისხლის მიმოქცევის პროცესს).

პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები. შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის განსაზღვრას, ანალიზს, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევასა და პრობლემის გადაჭრას. პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალება უნდა იძლეოდეს ალტერ-ნატიული გადაჭრის გზების არსებობის შესაძლებლობას.

პროექტი. შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს; პროექტის დაგეგმვისა და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს; პროექტის საბოლოო პროდუქტს.

პრეზენტაცია – შესრულებული ნაშრომის წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაცია არ უნდა იყოს მოძიებული ინფორმაციის წარდგენა. საპრეზენტაციო დავალება უნდა იძლეოდეს საშუალებას, თითოეულმა მოსწავლემ/ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი ორიგინალური გადაწყვეტილება, ანალიზი, შეფასება ან სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი დავალება:

- თითოეულ დავალებას უნდა ახლდეს პირობა და დავალების პირობის შესაბამისი შეფასების რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, სტანდარტის შედეგების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

სპეციალური საგანერატლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ეუპარების რაკომედიაციები

მოსწავლის ინდიკიდუალური სასწავლო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლის სახელი, გვარი	პროფესიული ნომერი
დაბადების თარიღი	ესაკი
სკოლა	კლასი
გვიახლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, ტულიფანი, ელ. ფოსტა	ლილა - ესმა - მუშაობის/მცხოვრებლი -
ინტერიეული მისამართი	ფაქტორითა მისამართი

ინდიკილუალური სასწავლო გეგმის ჯზ უფის შეხვედრების კალენდარი

ისზ ჯგუფის წევრები	ისზ ჯგუფის შენგავლების თარიღები და მონაწილეები
შემოხელა/კანონიერი. წარმ	<input type="checkbox"/>
სენატორი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>
დამრავლებელი	<input type="checkbox"/>
კათოლიკის მასწავლებელი	<input type="checkbox"/>
მათევატიანი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>
ინგლისურის მასწავლებელი	<input type="checkbox"/>
ხულოვნების მასწავლებელი	<input type="checkbox"/>
ბუნებისმეცყვლების მასწავლებელი	<input type="checkbox"/>
ჟურნლიზი	<input type="checkbox"/>
სტუ სპეციალისტი	<input type="checkbox"/>

შენიშვნა: ჯზუფის დამატება იმ მასწავლებელთა მონაცემებში, რომელიც აწესდება მოსწავლის და მათ სფრანში იმჩნება ისგ

**მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმღინარე
სასწავლო პროცესის თაობაზე**

საგანმანათლებლო	ისტ	ესტ	არ ესწრება	დამატებითი სურვისს საჭიროება
ქართული ენა და ლიტერატურა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> ინდივიდუალური გაკვეთოლები რესურსს თავადები <input type="checkbox"/> სსმტ პირის პასუსტება <input type="checkbox"/> მოძღვანლობისა და ორიენტაციის სპეციალისტი
მათემატიკა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> ქესტრინი ენის თარჯიშმანი <input type="checkbox"/> ქესტრინი ენის სპეციალისტი <input type="checkbox"/> ოპერაციული თერაპევტი <input type="checkbox"/> ენისა და ტეტრცელობის სპეციალისტი <input type="checkbox"/> ფინანსურული განვითარების მიმმართ <input type="checkbox"/> ტრანსპორტით მომსახურება <input type="checkbox"/> ადაპტირებული ავაჯით სარგებლობა
გამოყენებისათვის საჭიროება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> გენერიკული და მეტყველების სპეციალისტი <input type="checkbox"/> ფინანსურული განვითარების მიმმართ <input type="checkbox"/> ტრანსპორტით მომსახურება <input type="checkbox"/> ადაპტირებული ავაჯით სარგებლობა <input type="checkbox"/> შინ სწავლება <input type="checkbox"/> ინდივიდუალური განვითარების სარგებლობა <input type="checkbox"/> სწავლა
გამოყენებისათვის საჭიროება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
მე და საზოგადოება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
სპორტი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
მოქალაქეობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ისტ-ი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

შენიშვნა: თუ მოსწავლე არ ესწრება რომელიმე საჭირო და არ აჭირ შეფასება აღნიშნულ საფარი განვითარებით შემთხვევაში შემთხვევაში გადავიდეთ კლასში

საგნები დღეები ②	ლინგბათი	სამშებათი	ოთხშებათი	ხუთშებათი	პარაგვავი
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

შენიშვნა: ცხრილი იცის მოსწავლის საგანმანათლოს საგანმანათლოს ცხრილის შესაბამისად შემთხვევებით: მწვანე - ესწრება კლასს გავვეთავს, ყვითელი - რესურსი როანში მოქმედობა, წითელი - გავვეთავს არ არის სკოლიში

<p style="text-align: center;">ინფორმაცია მოსწავლის შინ სწავლასთან დაკავშირებულ დატალებზე</p> <p>შინ სწავლების ნარგებლოგობა - სახანი</p>	<p style="text-align: center;">დატვირთვა კვირის განმავლობაში -</p> <p style="text-align: center;">ჰატვირთვა კვირისში</p>	<p style="text-align: center;">შეჯრება: შინ სწავლების საჭიროება და დატურებულის/უნდა იყოს დადასტურებული მულტილიკაპლინური გუნდის დასკვნით.</p>
<p style="text-align: center;">მოსწავლის სწავლა-სწავლების ჩატარების აკომიდაციები</p>	<p style="text-align: center;">გარემო პროცესი</p>	<p style="text-align: center;">დოკებარ საშუალებები</p>
<p><input type="checkbox"/> ბრაილის აზიანი;</p> <p><input type="checkbox"/> შროფტოს გაზრდა;</p> <p><input type="checkbox"/> პამუნიკაციის ელექტრონური საშუალებები;</p> <p><input type="checkbox"/> ლექციების გამოყენება;</p> <p><input type="checkbox"/> განათების მოწყვეტილობა;</p> <p><input type="checkbox"/> აკუსტიკური პრინტების შექმნა;</p> <p><input type="checkbox"/> სივრცის ლუქსურის გამოყენება;</p> <p><input type="checkbox"/> ლექციების გამარტივება;</p> <p><input type="checkbox"/> ადგილობრივი აკადემიური მოწყვეტილობის გამოყენება;</p> <p><input type="checkbox"/> სწავლა -</p> <p><input type="checkbox"/> ინსტრუქტორის/მსალის მართვება</p> <p><input type="checkbox"/> სტადიუმეტრის გზით;</p> <p><input type="checkbox"/> უუდო მსალის გამოყენება;</p> <p><input type="checkbox"/> წერილი აქტივობის ზეპირით სანაცვლება;</p> <p><input type="checkbox"/> ზეპირი აქტივობის წერილი ზომითი ჩანაცვლება</p> <p><input type="checkbox"/> სწავლა -</p>	<p><input type="checkbox"/> ასასტურზე, რომელიც მოინშანს კასურებს;</p> <p><input type="checkbox"/> გამადატებული, ლექცია;</p> <p><input type="checkbox"/> ხმის განატლურებული;</p> <p><input type="checkbox"/> აკლკულატორი;</p> <p><input type="checkbox"/> პამკოულის ან დატრანსმისის მოწყვეტილობის გამოყენება;</p> <p><input type="checkbox"/> სწავლა -</p> <p><input type="checkbox"/> დღის განვითარების, კარიერული გაურებელი;</p> <p><input type="checkbox"/> შეფასების, გამოყენების ეტაპობრივი სატრენინგები;</p> <p><input type="checkbox"/> დასწრების ინდიკატორული გრძელება;</p> <p><input type="checkbox"/> შესცენების ინდიკატორული გრძელება;</p> <p><input type="checkbox"/> დღის განვითარების სანრჩლვობა;</p> <p><input type="checkbox"/> აქტივობების ნაწილურად დაყოფა;</p> <p><input type="checkbox"/> სწავლა -</p>	

მოსწავლის ძლიერი მნაღებისა და საჭიროების აღწერა

აკადემიური უნივერსიტეტი	ძლიერი მნაღები	საჭიროებები
წერა		
კითხვა		
თხრისა		
ანგარიში		
შემცველების სფერო	ძლიერი მნაღები	საჭიროებები
აუტის		
ყურადღება		
მუსიკურა		
აზროვნება		
კამუნიკაცია, ენა - მუსიკურა	ძლიერი მნაღები	საჭიროებები
რეაქციული ენა		
ექსპრესიული ენა		
სუკალურ-ემოციური სფერო	ძლიერი მნაღები	საჭიროებები
თვითკონსტრუქტორება		
თვითკონსტრუქტორება		
ურთიერთობები		
ადაპტური სფერო	ძლიერი მნაღები	საჭიროებები
თვითმმართვლის უნარები		
დამოუკიდებლობა		
ფიზიკური სფერო	ძლიერი მნაღები	საჭიროებები
მსჯობლივობა		
ნატაკი მოტორიკა		
მოსწავლის ინტერესები		

კლასის დამრიგებლის/ისგ ჯაზულის კოორდინაციონის წელმოწერა
 დორესტანის ხელმიწერა
 შემახსოვრის ხელმიწერა
 სპეციალური მასწავლებლის ხელმიწერა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი 1)
ბლანკის ფორმის ქრონიკული დონის აღწერა

ცნება:	მოსწავლის მიზნება
მკაფიოდ წარმოდგენერი	სწავლის შედეგები
ცნება:	

გრძელვალიანი მიზნები

გრძელვალიანი მიზნები	მოსწავლეებ უნდა შეძლო
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	

კომპლუქსური დაცალება, მოკლევალანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმართულება: კომპლუქსური დაცალების განხორციელების შეწყობა:	გრძელვალი მიზნები საკითხი/საკითხები:	კომპლუქსური დაცალება მოკლევალანი მიზნები
	ესახები, აქტივობები, რესურსები	

მოსწავლის პროგრამის შეფასება

რას ვაფასებ?	სოლი ტექსტონიმის დანე მოსწავლის შესრულების აღწერა	განმავითარებელი უკუკავშირი
<input type="checkbox"/> ასტრაქტული <input type="checkbox"/> მიმართებითი <input type="checkbox"/> მულტისტრუქტურული <input type="checkbox"/> უნიტრუქტურული <input type="checkbox"/> პრესტრუქტურული		

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი 2)
მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცნება:	მოსწავლის მიზანი
მკაფიო წილმოდიგენტი	სწავლის შედეგები
ცნება:	

გრძელვადთანი მიზნები

მოსწავლემ უნდა გაავრცელოს	გრძელვადთანი მიზნები
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	

კომპლუქსური დაფალება, მოკლევალთანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმართულება:	კომპლუქსური დაფალების განხორციელების პერიოდი:	საკითხი/საკითხები:	კომპლუქსური დაფალება ქოცლუცალიანი მიზნები
გრძელვალანი მიზნები		ცტაპები, აქტივობები, რესურსები	

მოსწავლის პროგრესის შეფასება

რას ვაფასებ?	სულ ტაქსონიმის დონე	მოსწავლის შესრულების აღწერა	განვითარებული უკუკავშირი
<input type="checkbox"/> ასტრატელი <input type="checkbox"/> მიმართებითი <input type="checkbox"/> მულტისტრუქტურული <input type="checkbox"/> უნიტარუესტურული <input type="checkbox"/> პრესტრუქტურული			

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი 3)
მასწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცნება:	მოსწავლის მიღწევა
მკვიდრი წარმოდგენება	სწავლის შედეგები
ცნება:	

გრძელვალიანი მიზნები

გრძელვალიანი მიზნები	მოსწავლის უნდა გააცნობილოს
ცნება:	

კომპლუქსური დავალება, მოკლუვალიანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმღებელება:	კომპლუქსური დაფუძნების განხორციელების პერიოდი:
გრძელვალიანი მიზნები	საითი/სავარძელო:

ეტაპები, აქტივობები, რესურსები

მოსწავლის პროგრესის შეფასება

რას ვაფესებ?	სოლო ტაქსინომისის დონე	მოსწავლის შესრულების აღწერა	განმავითარებული უკუკავშირი
<input type="checkbox"/> ასალაქტული	<input type="checkbox"/> მიმართებითი	<input type="checkbox"/> გულტისტრუქტურული	<input type="checkbox"/> უნისტრუქტურული

სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული მატრიცის ნიმუში (ზოგადი)

<p>თემა – უჯრედის ბიოლოგია. 2 – უჯრედის კომპონენტები. საათების სავარაუდო რაოდენობა - 5 სთ</p> <p>საკითხები და ქვეცნებები: საკითხი: უჯრედის აგებულება ქვესაკითხები: უჯრედის ბირთვი ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია ქვეცნება: უჯრედის აგებულების თავისებურებები</p>			
<p>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</p>	<p>საკითხი/საკითხები</p>	<p>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</p>	<p>კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</p>
<p>სტრუქტურა და ფუნქცია შედეგები: საბაზო საფეხური: 1, 2, 3, 4, 5. 1. ყველა ორგანიზმი/ცოცხალი სისტემა შედგება სხვადასხვანაშისაგან.</p>	<p>კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</p> <ul style="list-style-type: none"> რა მოხდება ქვეყანას რომ არ ჰყავდეს მთავრობა? რა მოხდება უჯრედს რომ არ ჰქონდეს ბირთვი? <p>ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა რესურსი 1 – მოსწავლის წიგნის შესაბამისი გაკვეთილი;</p> <ul style="list-style-type: none"> როგორი ფორმა აქვს ბირთვს? რამდენი მემბრანა აქვს ბირთვს? სად მდებარეობენ ბირთვის ფორები? რას შეიცავს ბირთვის შიგთავსი? რა ფუნქციას ასრულებენ ქრომოსომები? 	<p>როგორი აგებულება აქვს ბირთვს?</p>	<p>დავალების პირობა: შენი მიზანია დაამზადო ბირთვის მოდელი. შეარჩიე სხვადასხვა ფერის პლასტილინი და დაამზადე ბირთვის მოდელი, ისე, რომ ჩანდეს მისი განივი ჭრილი. მოდელში წარმოადგინე ბირთვის გარსი, ფორები, ბირთვაკი და სხვა კომპონენტები.</p> <p>დავალების პრეზენტაციისას წარმოადგინე მისი სტრუქტურები.</p>

პასუხები

პასუხები მოსწავლის ნიგნის საგაკვათილო ტექსტში ჩართულ და
საშინაო დავალებების პითხვებზე

თემა – უჯრედის პირდოგია

1– სიცოცხლის მოღეკულები

1.1 უჯრედის ემიტური შედგენილობა.


არაორგანული ნივთიერებები

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

- დედამიწის ქერქი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს ჟანგბადს, სილიციუმს, ალუ-მინსა და რკინსა.
- ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შედის ჟანგბადი, ნახშირბადი, წყალბადი და აზოტი.
- რკინის ნაკლებობა ანემიას იწვევს.
- იოდის ნაკლებობასთან ენდემური ჩიყვია დაკავშირებული.
- ფტორის დეფიციტი კარიესს იწვევს.
- წყლის ეს თვისება იცავს ჩვენს ორგანიზმს ტემპერატურის მკვეთრი რყევებისგან.
- ეს იცავს წყლის ორგანიზმების უჯრედებს მათში ყინულის კრისტალების გაჩენისგან. გარდა ამისა, ზოგიერთი ცხოველი წყალსატევის ფსკერზე იზამთრებს. წყლის გაყინვა ფსკერიდან რომ დაწყებულიყო, ისინი დაიღუპებოდნენ.




1. დილის საათებში მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლის შემდეგ წყლის pH დაახლოებით 5-ის ტოლია, ვინაიდან ამ დროს ფოტოსინთეზი არ მიმდინარეობს და წყალი მდიდარია CO_2 -ით, რაც წყლის მჟავიანობას ზრდის. 11 საათის შემდეგ თანდათან იზრდება pH-ის რიცხვითი მაჩვენებელი, რომელიც პიკს 17 საათისთვის აღწევს. ამ დროს pH 7,5-ის ტოლია. როგორც ჩანს, ამ დროს გამოყოფილი CO_2 მაქსიმალურად შთაინთქმება მცენარეების მიერ, ამ-იტომ მჟავიანობა მცირდება.



2. მჭიდროდ დასახლებული ქალაქის წვიმის ნიულის pH-ს გამოხატავს A სვეტი, ხოლო მაღალმ-თიანი სოფლის წვიმის ნიულის pH-ს – B. მანქანებისა და საწარმოების გამონაბოლქვი ზრდის პარამეტრი ნახშირორჟანგისა და გოგირდის ოქსიდის კონცენტრაციას. ისინი წვიმის ნიულში იხსნება და მჟავებს წარმოქმნის. ამიტომ ქალაქის წვიმის ნიულის pH უფრო დაბალი უნდა იყოს იმ ადგილების წვიმის ნიულთან შედარებით, სადაც ნაკლები ავტომობილი და ფაბრიკა-ქარხანაა.

3. ნიულის ერთი მოლეკულა წყალბადური ბმებით ნიულის ოთხ სხვა მოლეკულას უკავშირდება.



1. მზე თანაბრად ანათებს წყალსაც და ქვიშასაც, თუმცა მზის ენერგიის ნაწილი წყალბადური ბმების გახლეჩას ხმარდება, ამიტომ ის ნაკლებად თბება.

2. საღამოს წყალი უფრო თბილია, ვიდრე ქვიშა, იმიტომ, რომ, ქვიშისგან განსხვავებით, ის ძნელად კარგავს სითბოს.

3. სწორი პასუხია – ა.

4. წყალი პოლარული მოლეკულაა, რომლის ერთი ნაწილი დადებითადაა დამუხტული, მეორე კი – უარყოფითად. წყლის ერთი მოლეკულის დადებითად დამუხტული H^+ იზიდავს წყლის მეორე მოლეკულის უარყოფითად დამუხტულ O^{--} -ს და მათ შორის წყალბადური ბმა წარმოქმნება. წყალბადური ბმა გაცილებით სუსტია კოვალენტურ ბმასთან შედარებით. წყლის ზედაპირზე წყლის მოლეკულები აპკს წარმოქმნიან. ამ მოვლენას ზედაპირულ დაჭიმულობას უწოდებენ.

5. ა. წყალხსნარია – ქსოვილური სითხე, ნერწყვი, შარდი, ოფლი, ნალველი.

ბ. სუსპენზია – სისხლი, სპერმა.

გ. ემულსია – რძე, ლიმფა (ცხიმოვანი საკვების მიღების შემდეგ).

6. მინერალური ნივთიერებები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ნერვული და კუნთოვანი სისტემების მუშაობაში, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სასმელ წყალში მათი ნაკლებობა შესაძლოა გულ-სისლძარლვთა სისტემის დაავადების მიზეზი გახდეს.

დენტინის ძირითად მასას კალციუმის ფოსფატი ქმნის, ამიტომ მისი დეფიციტი კარიესით ვლინდება.

7. ნატრიუმის და ქლორის იონების ამოცნობა მათ მიმართ წყლის მოლეკულების ორიენტაციითაა შესაძლებელი. Na^+ + -სკენ წყლის მოლეკულის უარყოფითად დამუხტული ჟანგბადია მიმართული, Cl^- იონებისკენ კი – დადებითად დამუხტული H^+ .

1.2 ორგანული ნივთიერებები. ცილის



- ა. ამ მოვლენას ცილის დენატურცია ჰქვია.
- ბ. ცილის ფიზიკური თვისებების ცვლილება მექანიკურმა და ქიმიურმა ფაქტორებმა გამოიწვიეს.
- გ. ლიმონის წენს მხოლოდ საგემოვნო დანიშნულება არ აქვს. მუავა არე მოქმედებს ცილის ფიზიკურ თვისებებზე.
- დ. არის გამუანება ინვევს ამინომჟავების რადიკალებს შორის ელექტროსტატიკური ურთიერთობების ცვლილებას, რასაც ცილის დენატურაცია მოჰყვება. მექანიკური ზემოქმედებით რადიკალებს შორის წყალბადური კავშირებიც ირღვევა.
- ე. მოცემულ შემთხვევაში ცილის დენატურაცია შეუქცევადია.



1. პეპტიდური ბმა ალნიშნულია ციფრი 2-ით.
2. ა. ილუსტრაცია ცილის მეორად სტრუქტურას ასახავს.
ბ. სპირალთან დაკავშირებული სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ფიგურები ამინომჟავათა რადიკალებია.
გ. ვალინისა და ალანინის ჰიდროფობური რადიკალები ერთმანეთის მიმართულებით იმოძრავებს და საბოლოოდ ერთად ალმოჩნდება, რის გამოც სპირალი მოიხრება.
დ. გლუტამინის მუავას უარყოფითად დამუხტული რადიკალი ლიზინის დადებითად დამუხტულ რადიკალს მიზიდავს და სპირალი იმ უბაზში მოიხრება.
გ. სწორი პასუხია ბ.
- დ. ცილის მესამეული სტრუქტურის ფორმირებაში მონაწილეობენ ამინომჟავების რადიკალებს შორის წარმოქმნილი ჰიდროფობური და ელექტროსტატიკური ძალები.
4.
 1. წყალბადური ბმა; 2. ჰიდროფობური ურთიერთობა; 3. დისულფიდური ბმა; 4. ელექტროსტატიკური ურთიერთობა.



1. მოხარშული კვერცხის ცილა აღარ რენატურირდება. ამაზე მისი ფიზიკური თვისებების შეუქცევადი ცვლილება მეტყველებს – მოხარშული კვერცხის ცილა ვეღარ იბრუნებს სიბლანტესა და გამჭვირვალობას.
2. 20 ამინომჟავასგან წარმოქმნილი პოლიპეპტიდური ჯაჭვი შეიცავს 19 პეპტიდურ ბმას.
3. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ცილის მეორეულ, მესამეულ და მეოთხეულ ტრუქტურას ცილის პირველადი სტრუქტურა განსაზღვრავს.

1.3 ცილების დანიშნულება უჯრედსა და ორგანიზმები

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

1. ცილის დამშლელ ფერმენტებს პროცეაზები ეწოდება, ხოლო ლიპიდების დამშლელს – ლი-პაზები.
2. ეს ინჰიბიტორები სუბსტრატის კონკურენტები არიან.
3. ძვლის ნითელ ტვინში ერითროციტები წარმოიქმნება. ჰემოგლობინის მოლეკულები რყინას შეიცავს.



მაღალ ტემპერატურაზე ფერმენტები დენატურირდება, ხოლო 0°C -ზე ისინი არ მუშაობენ.



1. მეოთხე ანტიგენს.
2. a. არაცოცხალ ბუნებაში რეაქციის სიჩქარე ტემპერატურის მატების პროპორციულად იზრ-დება, რადგან ტემპერატურის გაზრდისას იზრდება მორეაგირე ნივთიერებათა სიჩქარე, ე.ი. იზრდება მათი შეხვედრის ალბათობა.
b. გარკვეულ სიდიდემდე ტემპერატურის მატებისას იზრდება ფერმენტისა და სუბსტრატის შეხ-ვედრის ალბათობა.
c. მაღალ ტემპერატურაზე ფერმენტის მოლეკულები დენატურირდება, ამიტომ მათი აქტიური ცენ-ტრი დეფორმირდება. მასში სუბსტრატი ველარ თავსდება და რეაქცია ველარ მიმდინარეობს.
d. 40°C -ზე ზემოთ ფერმენტები დენატურირდება და რეაქციების მიმდინარეობა ჩვენს ორგანიზმში ბრკოლდება.
3. ფერმენტის კონკურენტული ინჰიბიტორი შეიძლება იყოს მე-4 ფიგურა.
4. სწორი პასუხია დ.
5. არცერთი.
6. ილუსტრაცია ალწერს კონკურენტულ ინჰიბირების პროცესს.
7. a. მოცემული მრუდი შეიძლება ახასიათებდეს პეპსინს.
b. pH -ის ცვლილებამ შესაძლოა დაარღვიოს ელექტროსტატიკური ურთიერთობები რადიკალებს შორის, რასაც მთლიანად ფერმენტისა და მისი აქტიური ცენტრის დეფორმაცია მოჰყვება.
8. ფერმენტების აქტივობაზე გავლენას ახდენენ:
 1. წყალბადიონთა კონცენტრაცია;
 2. ტემპერატურა;
 3. კონკურენტული ინჰიბიტორი;
 4. არა-კონკურენტული ინჰიბიტორი;
 5. კოფაქტორი.



1. მძიმე მეტალები ფერმენტების შეუქცევადი ინპიბიტორები არიან.
2. ა. ქსოვილიდან ცილის ლაქის გაქრობა პროტეაზას შეუძლია.
- ბ. ცხიმის ლაქა ქსოვილიდან ლიპაზას ამოჰყავს.
- გ. 100°C -ზე ფერმენტები დენატურირდებიან.
3. ა. თმის დასველებისას წყალბადური ბმები წყდება. კერატინს რენატურაციის უნარი აქვს.
- ბ. მაღალ ტემპერატურაზე წყალბადური მბები ირღვევა.
4. ტერმინ-ჰემოგლობინში პირველი ნაწილი ჰემის შემცველობაზე მიუთითებს, ხოლო მეორე ნაწილი – ცილის გლობულარულ სტრუქტურაზე.
5. ტერმინ ტრსანსფერაზაში ასახულია ამ ცილის სატრანსპორტო (ტრანს) ფუნქცია, რომელიც რკინის (ფერუმ) გადატანას გულისხმობს.

1.4 ნახშირცყლები



ტექსტში ჩართული კითხვები:

1. ღვიძლის გლიკოგენის დაშლის შედეგად სისხლში გლუკოზა გადადის, რომელიც სხეულის ყველა უჯრედს ამარავებს ენერგიით.
2. ქიტინოვანი გარსი ამ ორგანიზმების ზრდას აფერხებს, ამიტომ ინტენსიური ზრდის პერიოდში ისინი ქიტინაზათი ქიტინოვან საფარველს შლიან.




1. დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ელემენტია ჟანგბადი, არაორგანული ნივთიერება წყალი, ორგანული ნივთიერება ცელულოზა.
2. ა. ამ ტერმიტს ცელულოზა აქვს.
- ბ. ის რედუცენტია.
3. ქიტინაზას საშუალებით ეს მცენარეები დაავადების გამომწვევ სოკოებს ებრძვიან – შლიან მათი უჯრედის კედელს.
4. ზრდასრული ადმიანის ღვიძლის მასა დაახლოებით 1.5 kg -ია.
5. სწორი პასუხია გ.
6. სწორი პასუხია ა.
7. ეს ნივთიერება ქიტინია.

8.

ა	ბ	გ	დ
X	X		

9.

1	2	3	4	5	6
X			X	X	



1.5 ლიაზიდები

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

- ისინი წყალპადით არ არიან გაჯერებული.
- განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ ფაქტს წყლის დეფიციტის პირობებში მცხოვრები ცხოველებისთვის აქვს.
- ესტროგენების მოქმედებით გოგონათა ორგანიზმში იზრდება სარძევე ჯირკვლები, იწყება ცხიმის დაგროვება თეძოების მიდამოში, ზომაში მატულობს მენჯის ძვლები, საკვერცხებში იწყება კვერცხუჯრედების მომწიფება. ანდროგენების ზემოქმედებით ჩონჩხი გაძლიერებულად იზრდება, ბიჭების სხეული მამაკაცისთვის დამახასიათებელ ფორმას იძენს – მენჯი ვიწროა, მხრები განიერი. იზრდება კუნთების მასა, სახეზე და სხეულზე მატულობს თმიანობა, ჩნდება ლტოლვა საპირისპირო სქესისადმი.
- ამ ჰორმონის სამიზნე ორგანო თირკმელია
- ცვილი იცავს შუა ყურსა და შიგნითა ყურს მასში წყლის, მტვრისა და ბაქტერიების მოხვედრისგან.




2. პინცეტით აიღე კაკლის ლებნის ნაწილი, მოუკიდე მას ცეცხლი. ლებნის წვის პერიოდში ლებნის თავზე დაიჭირე მინა. მინაზე წყლის წვეთები წარმოიქმნება.

3. თუ ამ მცენარეთა თესლებს ქაღალდზე გასრეს, მასზე ცხიმის ლაქა დარჩება.

5. ზეთიანი ჭიქა სინჯარით წარმოადგენს იმ ცივ წყლებში მცხოვრები ორგანიზმების მოდელს, რომლებსაც კანქვეშ ცხიმი უგროვდებათ.



1.



2. a. ილუსტრაციაზე ნაჯერი (A) და უჯერი (B) ცხიმის მოლეკულის სქემატური გამოსახულებებია.


ბ. ნაჯერ ცხიმებს ცხოველური ორგანიზმები შეიცავენ, უჯერს – მცენარეული ორგანიზმები.

3. ამ ფოსფოლიპიდში:

- 1 – ფოსფორმჟავა;
- 2 – გლიცერინი;
- 3 – ნაჯერი ცხიმოვანი მჟავა;
- 4 – უჯერი ცხიმოვანი მჟავა.



1.



2. სწორი პასუხია ბ.
3. ყველა დანარჩენს ლიპიდი აერთიანებს.
4. სწორი პასუხია ა.
5. ფერმერმა ვაშლებს დამცველობითი ცვილის ფენა მოხსნა და მათში ლპობის ბაქტერიები და სოკონები შეიჭრნენ.
6. ეს ნივთიერებაა ფოსფოლიპიდი.
7. ცხიმის მოლეკულას სამი გრძელი ჰიდროფიბური კუდი აქვს. მცენარეულ ცხიმებში უჯერი ცხიმოვანი მუავები შედის. ფოსფოლიპიდებში ერთი ცხიმოვანი მუავას ადგილს ფოსფორმუავა იკავებს. ფოსფოლიპიდს აქვს პატარა ჰიდროფილური თავი. სტეროიდებს აქვთ საერთო ჩონჩხი, რომელიც ოთხი რგოლისაგან შედგება. ცვილებს დამცველობით ფუნქცია აქვს.
8. მცდარი პასუხია გ.

9.	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
X	X			X		

10. ტერმინი ტრიგლიცერიდი ცხიმის მოლეკულაში სამი ცხიმოვანი მუავას შემცველობაზე მიუთითებს.

1.6 დეზოქსირიპონუკლეინის მჟავა. დნმ-ის აღმოჩენის ისტორია



წყლით სავსე სათლის სწრაფი ტრიალისას წყალი სათლიდან არ იღვრება. ბრუნვათა რიცხვის შემცირებასთან ერთად წყალი იწყებს სათლიდან გადმოღვრას. ბრუნვის სიჩქარესა და გრავიტაციულ ძალას შორის პირდაპიროპორციული დამოკიდებულებაა – რაც მეტია ბრუნვის სიჩქარე, მით მეტია ამ დროს წარმოქმნილი გრავიტაციული ძალა.



1. კითხვა ასე უნდა დასმულიყო: რა როლი შეიძლება ჰქონდეს ნუკლეინს მემკვიდრული ნიშნების ჩამოყალიბებაში, განაყოფიერების შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმი ხომ მშობლიურ ინდივიდებს ჰგავს?
2. ასეთი შედეგი სანჯლრეველას ეტაპის გამოტოვებას შეიძლება გამოეწვია, რადგან ამ შემთხვევაში ფაგები ბაქტერიებს ვერ ჩამოშორდებოდა.

1.7 დნმ-ის ორგაზი სპირალი




1. ა—ა—გ—ც—ც—გ—თ—ც—თ—თ
თ—თ—ც—გ—გ—ც—ა—გ—ა—ა


2. კიბის საყრდენ ვერტიკალურ ლერძებს ქმნის დეზოქსირიბოზას და ფოსფორმჟავას მოლეკულები მათ შორის წარმოქმნილი მყარი კოვალენტური ბმებით, ხოლო კიბის საფეხურებს – აზოტოვანი ფუები მათ შორის არსებული წყალბადური ბმებით.

3. დაზიანებულია „კიბის“ ქვემოდან მესამე საფეხური, რადგან არაკომპლემენტარული ციტოზინი და ადენინი ერთმანეთთან წყალბადურ ბმებს ვერ წარმოქნიან.

4.



A



B



1. წყალბადური ბმები დნმ-ის მოლეკულის ფორმასა და, აქედან გამომდინარე, მის ფიზიკურ თვისებებს განსაზღვრავს. ოთახის ტემპერატურაზე, სითბოში ბმები ადვილად შეიძლება გაწყდეს და დნმ ფიზიკური თვისებები შეიცვალოს. მიშერი ამ ფაქტს – ნუკლეიინის თვისებების ცვლილებას, მისი გამოყოფისას აკვირდებოდა. თუმცა მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა იყო ამის მიზეზი. ის, უბრალოდ, ცდილობდა თავიდან აეცილებინა ნუკლეიინის თვისებების ცვლილება და ამიტომ სიცივეში მუშაობდა.

2.

დნმ-ის მოლეკულა	ნუკლეოტიდი	აზოტოვანი ფუძე	პოლინუკლეოტიდური ჯაჭვი
4	2	1	3

3.

ა	ბ	გ	დ	ე
X			X	X

4. სწორი პასუხია გ.

5. სწორი პასუხია ა.

6. სწორი პასუხია ა.

შეაჯახა შენი ცოდნა და გამოცადე შენი უნარები – 1

1.

ა. ინსულინი 2 პოლიპეპტიდური ჯაჭვისგან შედგება.

ბ. ეს ცილა შეიცავს 49 პეპტიდურ ბმას.

გ. ჯაჭვები ერთმანეთს S-S დისულფიდური ხიდაკებით ბმებით უკავშირდებიან.

დ. ცილა შეიცავს 3 დისულფიდურ ბმას, ე.ო. 6 ამინომჟავა ცისტეინს.

2. კუჭქვეშა ჯირკვლისა და სანერნცვე ჯირკვლის ამილაზას სტრუქტურას გამოხატავს B და E ფიგურა, რადგან მათ მსგავსი აქტიური ცენტრი აქვთ.

3. წყალი, გლუკოზა, საქაროზა, ინსულინი, ჰემოგლობინი, დნმ

4. ა. ასეთი განლაგება არღვევს ჩარგაფის კანონის იმ პუნქტს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბ = 1 და გ = 3.

ბ. რ. ფრანკლინის მონაცემებით, დნმ-ის მოლეკულის სიგანე მთელ მის სიგრძეზე ერთნაირია და 2 ნმ-ის ტოლია. დნმ-ის მოლეკულაში ერთმანეთის პირისპირ მდგომი ადენინისა და გუანინის დიდი ზომის მოლეკულები დნმ-ის მოლეკულის ამ ადგილს გააფართოებდა, ხოლო ერთმანეთის პირისპირ მდგომი ციტოზინი და თიმინი ამ ადგილს შეავინროებდა.


გ.



5.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ
		X	X	X	

6.



7.

6	უ	პ	ლ	ვ	ო	ტ	ი	დ	ი
10	21	2	14	13	17	28	11	33	36

- მიკროელემენტი, რომელიც ჰქმოგლობინის სტრუქტურული კომპონენტია
- ინფექციური ცილა, რომელიც უჯრედებსა და ქსოვილებში ცილების მეორეული სტრუქტურის შეუქცევად ცვლილებებს იწვევს

რ	კ	ი	ნ	ა
1	2	3	4	5

- სტრუქტურული ნახშირწყალი, რომლის შემცველობა უჯრედებისა და ქსოვილების მრავალ-ფეროვნებას აყალიბებს
- უჯრედის სასიცოცხლო თვისება, რომლის ინტენსივობას მეტწილად უჯრედში გლუკოზის შემცველობა განსაზღვრავს
- ლიპიდები, რომლებიც ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესებისა და თვისებების მართვაში მონაწილეობენ

პ	რ	ი	ო	ნ	ი
6	7	8	9	10	11

ც	ე	ლ	უ	ლ	ო	ზ	ა
12	13	14	15	16	17	18	19

ს	უ	ნ	თ	ქ	ვ	ა
20	21	22	23	24	25	26

ს	ტ	ე	რ	ო	დ	ე	ბ	ი
27	28	29	30	31	32	33	34	35

- 8 ა უანგბადის ბუშტუკების გამოყოფა;
- ბ. კატალაზა ნეიტრალურ არეში მუშაობს, ამიტომ მეორე და მესამე სინჯარაში ბუშტუკები ნაკლებად გამოიყოფა;
- გ. პირველ სინჯარაში, რომელშიც ნეიტრალური არეა.

10.


- აგლუტინინები ცილოვანი შენების ანტისხეულებია.
- სისხლის ჯგუფები ერთდროულად ერთი სახის აგლუტინინებსა და აგლუტინოგენებს არ შეიცავს.
- სისხლის არასწორი გადასხმისას.
- ასეთ შემთხვევაში აგლუტინინები აგლუტინოგენებს შებოჭავენ და სისხლში გამოილექებიან.
- **AB** ჯგუფის სისხლი ვერ გადაესხმევა ვერცერთ სხვა ჯგუფის მქონე ადამიანს, რადგან ის შეიცავს **A** და **B** აგლუტინოგენს, რომლის შესაბამის აგლუტინინებს სისხლის ყველა სხვა ჯგუფი შეიცავს.
- **O** ჯგუფის სისხლს არ გააჩნია არცერთი აგლუტინოგენი.
- ახლად აღმოჩენილმა ფერმენტმა შესაძლოა ყველა სხვა ჯგუფის სისხლი გარდაქმნას **O** ჯგუფის სისხლად, ანუ უნივერსალურ დონორად. ამით თავიდან იქნება აცილებული **O** ჯგუფის სისხლის (რომელიც შედარებით იშვიათია) დამარაგება სისხლის გადასხმის სადგურებში.

11.

- pH გვიჩვენებს წყალბადიონების შემცველობას ხსნარში.
- უჯრედის მუავიანობის შეცვლით ცილები კონფორმაციულ ცვლილებებს განიცდიან, რაც მათ ფუნქციებზე აისახება.
- კანის დაბალი pH იცავს ჩვენს ორგანიზმს ბაქტერიებისაგან. მუავა არეში ისინი ვერ მრავლდებიან.
- პაციენტები, რომლებსაც აკნე ანუსებთ, უპირატესად თხევად საპონს უნდა იყენებდნენ.
- კანის pH პირველი სამი კვირის განმავლობაში იზრდებოდა.
- მყარ საპონს მაღალი pH უნდა ჰქონოდა.
- ბაქტერიების რაოდენობის მკვეთრად კლება 31-ე დღიდან იწყება.
- თხევად საპონს დაბალი pH უნდა ჰქონოდა.

13.

1.



- ლეციტინი ფოსფოლიპიდია. მას აქვს ჰიდროფილური თავი, რომელიც კარგად ურთიერთობს წყალთან და ჰიდროფილური კუდი, რომელიც გაურბის მას.
- ფოსფორმჟავას ჩართვა იწვევს პოლარული თავის გაჩენას, რომელიც უარყოფითადაა და-მუხტული.
- ფოსფოლიპიდის მოლეკულები ორ შრედ ლაგდებიან, რომელთა ჰიდროფილური კუდები ერთ-მანეთისკენ არიან ორინტირებულნი, ხოლო ჰიდროფილური თავები კი ციტოპლაზმისა და ქსო-ვილური სითხისკენ.
- ლეციტინი ფოსფოლიპიდია, რომელსაც როგორც სამშენებლო, ასევე ინერგეტიკული დანიშ-ნულება აქვს.

2 – უჯრედის კომპონენტები

2.1 უჯრედული თეორია




1.

- ორგანოიდებს უჯრედის ციტოპლაზმაში მოთავსებულ სპეციალურ ნაწილებს უწოდებენ, რომლებსაც განსაზღვრული ფუნქცია აქვთ. მოსწავლისთვის ცნობილი ორგანოიდებია: ციტოპლაზმა, ბირთვი, ქლოროპლასტი, ვაკუოლი. ეს ორგანოიდები მას სინათლის მიკროსკოპში აქვს ნანახი. ბ. ცხოველურ უჯრედში არ არის ცენტრალური ვაკუოლი, ქლოროპლასტი, უჯრედის კედელი.

2.

- ელექტრონული მიკროსკოპით შესაძლებელია დნმ-ის დანახვა.
- ელექტრონულ მიკროსკოპში ატომები არ ჩანს.
- ბაქტერიის აგებულების გამოკვლევა ელექტრონული მიკროსკოპით არის შესაძლებელი.
- ლეიშმანიოზით დაავადებული ადამიანის გამოსაკვლევად სინათლის მიკროსკოპი გამოდგება.

3.





1. სწორი პასუხია გ – სოკო.
2. სწორი პასუხია ა – მხოლოდ უჯრედის გაყოფის გზით.

2.2 პლაზმური მემპრანა

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

○ ნახშირწყლები ფოსფოლიპიდებს უკავშირდება. მათ გლიკოლიპიდები ეწოდება.

1. ეს ნივთიერებებია ცხიმები, სტეროიდები, ასევე ორგანული გამხსნელები – აცეტონი, სპირტი, ქლოროფორმი.

2. ინსულინი ბრძანების საპასუხოდ ტრანსპორტერით გლუკოზა სისხლიდან უჯრედში აღწევს. უჯრედში ძლიერდება უჯრედული სუნთქვა და გლიკოგენის სინთეზი, იბლოკება გლუკონეოგენეზი – პირუვატიდან გლუკოზის წარმოქმნა.




პირველი კუბი ჰიპერტონულ ხსნარშია მოთავსებული. წყალი უჯრედებიდან გარეთ გამოვა და კუბი ზომაში შემცირდება.

მეორე კუბი იზოტონურ ხსნარშია, ამიტომ ის იმავე ზომის დარჩება.

მესამე კუბი ჰიპოტონულ ხსნარშია მოთავსებული. მასში წყალი შევა ოსმოსის გზით და კუბი ზომაში მოიმატებს




1.




2.

- A – ცხელ კლიმატურ პირობებში მცხოვრები ორგანიზმები.
B – ზომიერ კლიმატურ პირობებში მცხოვრები ორგანიზმები.
C – ცივ კლიმატურ პირობებში მცხოვრები ორგანიზმები.



3.



4. პირველ შემთხვევაში ერითროციტი იზოტონურ ხსნარშია მოთავსებული, ამიტომ ის მისთვის დამახასიათებელ ფორმას ინარჩუნებს. მეორე შემთხვევაში ერითროციტი ჰიპოტონურ ხსნარშია, ამიტომ მასში გარემოდან წყალი შედის და ის გაიძერება. მესამე შემთხვევაში ერითროციტი ჰიპერტონულ ხსნარშია. ერითროციტიდან წყალი გამოდის და ის იჩუტება.

5. ილუსტრაცია ასახავს გლუკოზის ტრანსპორტს პლაზმური მემბანის გავლით. ტრანსპორტის ამ ფორმას გაადვილებული დიფუზია ეწოდება.

6.

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ა	X		X				X		
ბ		X							
გ				X	X			X	
დ						X			
ე									X


7. მოსწავლეს მოდელის შექმნისას ორი შეცდომა მოუვიდა.

ა. ნახშირწყლები, რომელიც მეზობელი უჯრედების ამოცნობაში მონაწილეობენ, ციტოპლაზმის მხარესაა.

ბ. მემბრანაში არ არის ჩართული ქოლესტერინის მოლეკულები, რომლებიც მემბრანის კონსისტენციის შენარჩუნებაში მონაწილეობენ.

ამ ნივთიერებების დანიშნულებიდან გამომდინარე, ასეთი მემბრანა ვერ შეძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას.

8. ცილა A ფოსფოლიპიდის უარყოფითად დამუხტულ თავებს ამინომ-ჟავების დადებითად დამუხტული რადიკალებით უკავშირდება. BB ცილის ზედა უბანი დადებითადაა დამუხტული და ფოსფოლიპიდებს უკავშირდება, ხოლო ქვედა ნაწილი ჰიდროფობურ ამინომუავებს შეიცავს, რომლებიც ფოსფოლიპიდების ჰიდროფობურ კუდებს უკავშირდება. C ცილის ზედა და ქვედა ნაწილები ამინომუავების დადებითად დამუხტული რადიკალებით ფოსფოლიპიდების უარყოფითად დამუხტულ თავებს უკავშირდება. მისი ცენტრალური ნაწილი კი ჰიდროფობური ამინომუავებით ფოსფოლიპიდების კუდებთან ამყარებს კავშირს. ამიტომ ის მემბრანაში მყარად ფიქსირდება.



9.

1 – ფოფსპოლიპიდები მემბრანის მთავარი სამშენებლო მასალაა. ისინი მონაწილეობენ დიფუზიის პროცესში.

2, 4, 8 – მემბრანული ცილებია, რომლებიც გაადვილებულ დიფუზიაში მონაწილეობენ, აქვთ სასიგნალო დანიშნულებაც.

3 – ქოლესტერინის მოლეკულა მემბრანის კონსისტენციას განსაზღვრავს.

5, 6, 7 – ფოსფოლიპიდებთან და ცილებთან დაკავშირებული ნახშირწლები აგებენ გლიკოპროტეინებსა და გლიკოლიპიდებს. ისინი მსგავსი უჯრედების ამოცნობაში და მათთან კონტაქტის დამყარებაში მონაწილეობენ.

?

1. ფოსფოლიპიდები მემბრანაში ერთ შრედ ვერ განლაგდება, რადგან თუ ისინი ისე დალაგ-და, რომ დამუხტული თავები უჯრედგარე ჰიდროფილური გარემოსკენ მიმართა, მაშინ მათი ჰიდროფობური კუდები ციტოპლაზმისკენ ალმოჩნდება მიქცეული. ციტოპლაზმაში კი ჰიდროფილური გარემოა. ამიტომ ფოსფოლიპიდები შემოტრიალდება და თავებს ახლა ციტოპლაზმისკენ მიაქცევს. მაგრამ ამჯერად „დისკომფორტი“ მათ ჰიდროფობურ კუდებს შეექმნება, რომლებიც ქსოვილური სითხისკენ იქნება მიქცეული. ასე განუწყვეტლად იტრიალებს მემბრანაში ერთ შრედ განლაგებული ფოსფოლიპიდების მოლეკულები.

2. ამინომუავები უჯრედში ტრანსპორტერების – გადამტანი ცილების საშუალებით აღწევს.

3. გლუკოზის ტრანსპორტერი ამინომუავას ვერ გადაიტანს, რადგან მათ მოლეკულებს განსხვავებული კომფორმაცია აქვთ.

4. გაადვილებული დიფუზია ჰიდროფილი ჰიდროფილი ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეა, რომლის დროს ნივთიერებები ტრანსპორტერის საშუალებით კონცენტრაციული გრადიენტის მიმართულებით გა-დაიტანება.

5. ოსმოსი წყლის დიფუზია პლაზმური მემბრანის გავლით.

6. აისბერგებს ის მემბრანული ცილები ჰიდროფილი ნაწილობრივ არიან ჩაფლულნი ფოსფოლიპიდების შრეში.

ა	ბ	გ	დ	თ	ჟ
X			X	X	X

8. სწორი პასუხია გ – ცილა.


2.3 პირთვი, რიბოსომა, ენდოპლაზმური პალე, გოლჯის კომპლექსი

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

1. ბირთვის გარსი ორი მემბრანისგან შედგება.
2. ბირთვის აგებულება ელექტრონული მიკროსკოპითაა გამოკვლეული.
3. ხორკლიან ენდოპლაზმურ ბადეს რიბოსომები უკავშირდება და მას დამახასიათებელ გარეგნობას ანიჭებს.
4. ეგზოტოქსინი ორგანიზმში გარედან შემოსულ ტოქსიკურ ნივთიერებებს ჰქვია.
5. ასეთ ნივთიერებებს ენდოტოქსინები ჰქვია.
6. გლუვი ენდოპლაზმური ბადის სტრუქტურაზე დასაკვირვებლად ღვიძლის უჯრედი სჯობს, რადგან დეტოქსიკაციური პროცესები ღვიძლის უჯრედში მიმდინარეობს.


○

1. ხორკლიანი ენდოპლაზმური ბადე;
2. რიბოსომა;
3. ცილა;
4. ვეზიკულა.




1.

- A. ხორკლიანი ენდოპლაზმური ბადე;
- B. რიბოსომა;
- C. ენდოპლაზმურ ბადეში წარმოქმნილი ვეზიკულა;
- D. გოლჯის კომპლექსი;
- E. გოლჯის კომპლექსში წარმოქმნილი ვეზიკულა.




2.

- a. პირველი ვეზიკულა ხორკლიანი ენდოპლაზმური ბადიდან მოემართება.
- b. მასში ცილის მოლეკულაა მოთავსებული.
- გ. მეორე ვეზიკულა გოლჯის კომპლექსში წარმოქმნა. ის საექსპორტოდ გამზადებულ ცილას შეიცავს და პლაზმური მემბრანისკენ მიემართება.
- დ. მსგავსი პროცესი სანერწყვე ჯირკვლების, პანკრეასის, კუჭის, ნაწლავის ეპითელის უჯრედებში მიმდინარეობს.
- ე. ამ პროცესს ეგზოციტოზი ჰქვია.




3.



4. ისრით მონიშნური სტრუქტურა Ca^{++} -ის იონური არხია.

5.



?

1. ბირთვის დიდი ფორებიდან რიბოსომების შემადგენელმა ნივთიერებებმა – მაკრომოლეკუ-ლურმა ცილებმა და ნუკლეინის მჟავებმა ციტოპლაზმაში უნდა გადაინაცვლოს.
2. ენდოპლაზმური ბადე უჯრედის შიგნით, ციტოპლაზმაში არსებულ ბადეს ნიშნავს.
3. ენდოპლაზმურ ბადეზე ცილებისა და ლიპიდების სინთეზი ხდება, რომელიც მის განახლების პროცესს ხმარდება.
4. ნერწყვი მდიდარია ცილებით. მისი დამზადება ხორკლიან ენდოპლაზმურ ბადეზე ხდება, ამიტომ სანერწყვე ჯირკვალში ხორკლიანი ენდოპლაზმური ბადე ძლიერად იქნება წარმოდგენილი. ღვიძლის უჯრედებში კი კარგად გამოჩნდება გლუვი ენდოპლაზმური ბადე, სადაც დე-ტოქსიკური ფერმენტები არის მოთავსებული.
5. უჯრედის სტრუქტურები რომლებითაც ნივთიერებები უჯრედის ერთი ნაწილიდან მეორეში მოგზაურობენ: პლაზმური მემბრანა, ენდოპლაზმური ბადე, გოლვის კომპლექსი, მიკრომილაკები.
6. ლიმფოციტებში ძლიერადა წარმოდგენილი ხორკლიანი ენდოპლაზმური ბადე, რომელშიც ცილების სინთეზი მიმდინარეობს.


2.4 მიტოქონდრია, პლასტიდები, ლიზოსომა, პაროქსისომა, ცენტრალური ვაკუოლი

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

1. მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანის დანაოჭება ზრდის მის ფართობს, მასზე უფრო მეტი ფერ-მენტი ეტევა. სუნთქვა ასეთ მიტოქონდრიებში ინტენსიურად მიმდინარეობს.
2. ლიზოსომა უჯრედს მოინელებს.
3. აუტოფაგია საკუთარი თავის შთანთქმას ნიშნავს. მიკროაუტოფაგია ნიშნავს, რომ უჯრედი საკუთარ თავს მთლიანად კი არ ინელებს, არამედ უჯრედის შემადგენელი ნივთიერებების მხოლოდ მცირე ნაწილს შლის, მაგალითად, ცილების ნაწილს.



1.



2.



4.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
1	X	X	X		X		
2	X	X		X			
3	X	X		X		X	X
4		X		X	X		
5			X	X	X		

5. კუნთოვანი ქსოვილი დიდი რაოდენობით შეიცავს მიტოქონდრიებს, რადგან მას შეკუმშვისთვის ენერგია სჭირდება, მიტოქონდრიებში კი ენერგიის გამოსამუშავებლად ინტენსიურად მიმდინარეობს ნახშირწყლების დაუანგვა.



1. ციტოზოლში ნეიტრალურ pH-ზე ლიზოსომის მჟავე ჰიდროლაზები ინაქტივირდებიან.
2. ანჰიდროზი ოფლის გამოყოფის შეწყვეტაა. მისი შედეგი შეიძლება იყოს ორგანიზმის გადახურება და სითბური დაკვრა. ამ მდგომარეობის ერთ-ერთი სიმპტომი შეიძლება იყოს გულისრევის შეგრძება, რადგან ნივთიერებათა ცვლის ტოქსიკური პროდუქტები ორგანიზმს ვერ ტოვებენ.
3. უჯრედების ზღვრებადასული გამრავლება სიმსივნეს ნარმოქმნის. უჯრედების დაკარგვით კინიდება ყველა ორგანოს ფუნქციები. კუნთოვანი უჯრედების დაღუპვა კახექსიას იწვევს, ნეირონების დაღუპვა – ნერვული სისტემის ფუნქციის მოშლას.
4. თუ კარტოფილის ტუბერს სინათლეზე მოათავსებ, ის გამწვანდება, მწვანე შეფერილობის მკვახე ხილი დამნიფებისას სხვადასხვა ფერს იღებს.
5. ლიზოსომა გოლჯის კომპლექსში ნარმოიქმნება, პეროქსისომა – ხორკლიან ენდოპლაზმურ ბადეზე. ლიზოსომა მჟავა ჰიდროლაზებს შეიცავს, რომლებიც ყველა ორგანულ ნივთიერებას შელიან. პეროქსისომა უანგბადის ყველაზე დიდი მომხმარებელია მიტოქონდრიის მსგავსად. ის დამუანგბა ფერმენტებს შეიცავს. პეროქსისომების კატალაზა უჯრედში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დამჟანგბა ნივთიერებას, წყალბადის ზეუანგს, აუვნებლებს.
6. დამჟანგბავი ფერმენტები გრანულარულ ენდოპლაზმურ ბადეებზე ნარმოიქმნებიან, სადაც პეროქსისომა ყალიბდება.
7. მიელინიზირებულ ბოჭკოებში აღგზნება სწრაფად ვრცელდება. მიელინის დეფიციტმა ნეირონების ფუნქციების მოშლა შეიძლება გამოიწვიოს.
8. კალციუმის მარილების დაგროვება შარდ-სასექსო სისტემის სხვადასხვა განცოფილებაში ამ მარილით გამოწვეულ შარდ-კენჭოვან დაავადებას იწვევს, რაც ხელს უშლის შარდის გამოყოფას, ძლიერ ტკივილებსა და ანთებით პროცესებს პროვოცირებს.
9. წყალბადის ზეუანგს ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს. კატალაზა ლინზებს წყალბადის ზეუანგს აშორებს.
10. წყალბადის ზეუანგი უჯრედში ფენოლებისა და ეთილის სპირტის დაჟანგვაში მონაწილეობს.
11. ფოსფოლიპიდი მემბრანის მთავარი სტრუქტურული კომპონენტია, რაც მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ შესაძლოა კოსმოსში სიცოცხლის უჯრედული ფორმები არსებობდეს.
12. ა. ნახშირწყლები მარაგდება ხორბალში, ქერში, პრინჯში.
- ბ. ლიპიდებით მდიდარია მზესუმზირის, კაკლის, ნაბლის თესლი.
- გ. ცილებს შეიცავს ბარდა და ლობიო.
13. სწორი პასუხია ბ – რიბოსომის.


2.5 ციტოჩონჩები, უჯრედის ცენტრი, უჯრედგარე მატრიქსი



- პროტისტებში შოლტები გადადგილების საშუალებაა.
- ქლამიდომონადა შოლტით აღჭურვილი მტკნარი წყლის წყალმცენარეა. დინოფლაგელატები ზღვის შოლტიანი წყალმცენარეები არიან. ეს ერთუჯრედიანი ორგანიზმები შოლტით მზით განათებული წყლის მიმართულებით გადადგილდებიან.
- წამნამებსა და შოლტებს მიკრომილაკოვანი სტრუქტირა აქვთ. სავარაუდოდ, პრობლემა მათ შემადგენელ ცილივან კომპონენტებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.
- ტერმინში პროტეო ცილას უკავშირდება, ხოლო გლიკანი მის ნახშირწყლოვან კომპონენტზე მიუთითებს.
- წყალი პროტეოგლიკანებამდე პლაზმური მემბრანის გავლით, ოსმოსით აღწევს.
- ციტოჩონჩების ცილებიდან უჯრედის ფორმის შეცვლაში უშუალოდ მიკროფილამენტები მონაწილეობენ. გლობულარული აქტინის ფიბრილარულ აქტინში გადასვლისას უჯრედის ფორმა იცვლება.
- ა. ფოსფორის ალმოჩენა შეუძლებელია ნახშირწყლებში, ცილებში, ცხიმებში.
- ბ. ფოსფორი ჩაერთო ფოსფოლიპიდებში და ა.გ. პლაზმურ მემბრანაში, ასევე ნუკლეიინის მჟავებში და ა.გ ნუკლეოტიდში.
- ეს სტრუქტურაა შუალედური ფილამენტი.
- სწორი პასუხია ე – არცერთ მათგანში.
- სწორი პასუხია დ – 2 და 3.

შეაჯახა შენი ცოდნა და გამოცადე შენი უნარები – 2

- სწორი პასუხია გ – ტომსიკიდან ჭიქაში გადმოინაცვლა ფერმენტის კოფერმენტმა.
- ის შლის მიკრობების პლაზმურ მემბრანას და მონაწილეობს დენატურაციაში.
- .



4. სწორი პასუხია დ – გლუკოზამ.

5.

A – 2, 3, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13.

B – 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 12, 13.

C – 1, 2, 3, 4, ,5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13.

D – 1, 2, 10, 13.

6.

1. ციტოჩინჩები;

2. ლიზოსომა;

3. მიტოქონდრია;


4. პლაზმური მემბრანა, ენდოპლაზმური ბადე, გოლჯის კომპლექსი, მიკრომილაკები;

5. გლუკოზი ენდოპლაზმური ბადე, პეროქსისომა, პლაზმური მემბრანა;

6. ბირთვი

7. სწორი პასუხი გ – ფერმენტი.

8.



9. როგორც ჩანს, ამ ადამიანს პლაზმურ მემბრანაზე არ მოეპოვება ქოლესტერინის რეცეპორების საკმარისი რაოდენობა რეცეპტორდამოკიდებული ენდოციტოზისთვის.

10. მარილიანი წყალი ფესვის უჯრედებისთვის ჰიპერტონული გარემოა, ამიტომ ფესვის უჯრედებიდან წყალი გარეთ იწყებს გამოსვლას და მცენარე ჭერება.

11. ონტოგენეზის თავკომბალას სტადიაზე ლიზოსომების განსაკუთრებული გააქტიურების გამო თავკომბალას კუდი უქრება.

12.

- ეს ორგანოთა სისტემებია: ნერვული, გულ-სისისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, გამო-მყოფი სისტემები, ძვლის ნითელი ტვინი.
- ეთილის სპირტი კუჭისა და წვრილი ნაწლავის ეპითელიური უჯრედების პლაზმური მემ-ბრანის ფოსფოლიპიდების შრის გავლით პასიური ტრანსპორტით – დიფუზით ადვილად გადაადგილდება უჯრედში.
- ეთილის სპირტის დეტოქსიკაციაში მონაწილეობს გლუკოზი ენდოპლაზმური ბადე და პეროქ-სისომები.

13. ღვიძლის გლუკი ენდოპლაზმური ბადე ზომაში ლიზოსომების ჰიდროლიზური ფერმენტების გააქტივების გამო მცირდება.

14. სხვადასხვა ორგანოიდის მემბრანებში ჩაშენებული ცილები ამ ორგანოიდების ფუნქციას განაპირობებს. მაგალითად, კუნთოვანი ქსოვილის ენდოპლაზმურ ბადეში ჩაშენებული Ca^{2+} -ატფ-ზები Ca^{2+} -ის იონებს გადატვირთავს და ენდოპლაზმურ ბადეში მათ საცავებს ქმნის. ღვიძლის უჯრედების ენდოპლაზმურ ბადეში დეტოქსიკური ფერმენტებია მოთავსებული. მიტოქონდრის მემბრანის ცილები უჯრედულ სუნთქვაში მონაწილეობს. ლიზოსომების მემბრანული ცილები მისი შიგთავსის მჟავა არეს უზრუნველყოფს და ა.შ.

15.

ტ	რ	ა	ნ	ს	ლ	ო	კ	ა	ზ	ა
10	13	34	44	16	39	50	35	42	51	42

- უჯრედის ორგანოიდი, რომლის შემცველობა უჯრედებსა და ქსოვილებში მათ მრავალფეროვნებას აყალიბებს

ქ	ლ	ო	რ	ო	პ	ლ	ა	ს	ტ	ი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

- სტრუქტურული ცილა, რომელიც მემბრანის სატრანსპორტო ფუნქციას უზრუნველყოფს

ტ	რ	ა	ნ	ს	ლ	ო	რ	ტ	ე	რ	ი
12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23

- ორგანოიდი, რომლის ფუნქციების მოშლა მიელინის გარსის დესტრუქციისა და ნერვული სისტემის დაავადებების მიზეზი ხდება

პ	ე	რ	ო	ქ	ს	ი	ს	ო	მ	ა
24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34

- ფერმენტი, რომელსაც პეროქსისომა ტოქსიკური ნივთიერებების გასაუვნებლებად იყენებს

ქ	ა	ტ	ა	ლ	ა	ზ	ა
35	36	37	38	39	40	41	42

- უჯრედის სასიცოცხლო პროცესი – აქტიური მებრანული ტრანსპორტის ერთ-ერთი ფორმა

ე	ნ	დ	ო	პ	ი	ტ	ო	ზ	ი
43	44	45	46	47	48	49	50	51	52

16. მეორე სიტუაციაში მცენარის უჯრედი ჰიპოტონურ ხსნარშია მოთავსებული. მასში ოსმოსით წყალი აღწევს და უჯრედის ვაკუოლი იბერება. მესამე სიტუაციაში უჯრედი ჰიპერტონულ ხსნარშია. ამ დროს წყალი ვაკუოლიდან და ციტოპლაზმიდან გარეთ გამოდის. ვაკუოლი და ციტოპლაზმა მოცულობაში მცირდება და ციტოპლაზმა სცილდება უჯრედის კედელს.

17. მეცნიერები აკვირდებიან ჟანგბადის ბუშტუკების გამოყოფას რადგან კატალაზა დადებითი ბაქტერიები შეიცავენ ფერმენტ კატალაზას, რომელიც წყალბადის ზეჟანგს წყლად და ჟანგბადად შესრულდება.

19.

- ამ უჯრედებს მორფოლოგიურად ერთმანეთისაგან განასხვავებს უჯრედის კედელი, ცენტრალური ვაკუოლი, პლასტიდები, ლიზოსომა.
- მთლიანად უჯრედისა და დიდი ზომის ორგანოიდების ალმოსაჩენად სინათლის მიკროსკოპი სჯობს, თუმცა რიბოსომებისა და უჯრედის ჩონჩხზე დასაკვირვებლად, ასევე ორგანოიდების უფრო დეტალურად შესწავლისათვის – ელექტრონული მიკროსკოპი.
- მცენარეული და ცხოველური უჯრედები ქიმიურად ძირითადად ნახშირწყლებით განსხვავდებიან.

- უჯრედის კედელი აქვს მცენარისა და სოკოს უჯრედს.
- ცენტრალური ვაკუოლის შემცველობით ერთმანეთს სოკოსა და მცენარის უჯრედები ჰგვანან.
- მცენარეული უჯრედის „მარკერები“ პლასტიდებია.
- მცენარეული უჯრედის კედელს ცელულოზა აშენებს.
- სოკოს უჯრედის კედელს ქიტინი აგებს.
- სოკოს უჯრედი გლიკოგენს იმარაგებს, მცენარის კი – სახამებელს.

20.

- კოლაგენი განსაზღვრავს კანის სიგლუვეს, სიმკვრივესა და ელასტიკურობას.
- ჰიალურონის მჟავას აქვს წყლის შეკავშირების უნარი, რომელიც ატენიანებს კანს.
- სპილენძი იცავს კანს ნაადრევი დაბერებისაგან. სილიციუმი მონაწილეობს კოლაგენის სინთეზში და ამით უზრუნველყოფს კანისა და სხვა შემაერთებელი ქსოვილების ნორმალურ განვითარებას.
- ეს კრემი განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანისთვისაა რეკომენდებული.
- ჰიალურონის მჟავა პოლისქარიდია, რომელიც ქსოვილების უჯრედგარე მატრიქსის შედგენილობაში შედის. ის აქ უერთდება ცილას და წარმოქმნის დოდი ზომის აგრეგატს.
- მიკროელემენტები ფერმენტების კოფაქტორები არიან, რომლებიც აჩქარებენ ქიმიურ რეაქციებს.
- ასაკთან ერთად კოლაგენის სინთეზი მცირდება და ცილა თანდათან დეგრადირებს.

3 – უჯრედული მეტაპოლიზმი

3.1 უჯრედული სუნთქვა

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

1. ცელულოზაში არსებული ენერგია სითბურ და სინათლის ენერგიად გარდაიქმნება.
2. ადენოზინტრიფოსფატის მოლეკულა აზოტოვან ფუძესთან – ადენინთან დაკავშირებულ 3 ფოსფატის ჯგუფს შეიცავს. ატფ-ში მაკროერგული ბმით 2 ფოსფატის ჯგუფია დაკავშირებული.
3. ადფ ადენოზინდიფოსფატს ნიშნავს, ამფ – ადენოზინმონოფოსფატს.
4. წყალბადის ონები მემბრანათაშორისი სივრციდან, სადაც მათი კონცენტრაცია მაღალია, მოძრაობენ მატრიქსისკენ, სადაც წყალბადის ონები ცოტაა. ასევე, წყალბადის ონები, რომლებიც დადებითადაა დამუხტული, მოძრაობენ უარყოფითად დამუხტული არისკენ, რომელსაც მემბრანის შიგნით უარყოფითად დამუხტული უანგბადის ონები ქმნიან. 5. მემბრანათაშორის სივრცეში წყალბადის ონები გროვდება, ისევე, როგორც ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავში. როდესაც წყალბადის კონცენტრაცია გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, მემბრანის არზი იხსნება, რომლის გავლით წყალბადის ონები სწრაფად მოძრაობენ. წყალსაცავში წყლის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ რაბებს ხსნიან და წყალი დიდი სიმაღლიდან ქვემოთ მაღალი სისწრაფით მოძრაობს. წყალბადის მოძრაობის კინეტიკური ენერგია ატფ-ის მოლეკულაში მაკროერგული ქიმიური ბმის ენერგიად გარდაიქმნება. წყლის კინეტიკური ენერგია ტურბინებს აბრუნებს, რომელთა მექანიკური ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება.
6. ბოტულიზმისა და ტეტანუსის გამომწვევი ბაქტერიები ანაერობებია. გლიკოლიზის დროს მხოლოდ 2 მოლეკულა ატფ წარმოქმნება, რაც 19-ჯერ ნაკლებია აერობული სუნთქვის დროს წარმოქმნილ ენერგიაზე.

7. რძემუავა ბაქტერიებს იყენებენ მაწვნის, იოგურტის, არაუნის წარმოებაში, ასევე დამნილებისა და დასილოსებისთვის.

8. სოკოები გამოიყენება ალკოჰოლური სასმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად, ასევე პურის ცხობაში.




სოკოს სუნთქვაზე მიგვანიშნებს:

- ცომი აფუვდა, რადგან სპირტული დუღილისას ნახშირორჟანგი წარმოიქმნა;
- ცომს ოდნავ სპირტის სუნი აქვს;
- ცომი ოდნავ თბილია.



1.



2.

a. საფუარა სოკოს სუნთქვის ინტენსივობაზე მოსწავლეები ამ დროს გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობის მიხედვით მსჯელობენ.

ბ. ყველაზე უკეთ სუნთქვა პირველ სინჯარაში მიმდინარეობს, შედარებით სუსტად მეორეში, ხოლო მესამე და მეოთხე სინჯარაში საფუარა არ სუთქავს.

3.

- კრებსის ციკლში CO_2 გამოიყოფა. სქემაზე ისრები CO_2 -ის ციკლში ჩართვაზე მიუთითებს.
- კრებსის ციკლში ძმარმუავა ერთვება და არა პირუვატი.

4. ობლიგატური ანაერობი B სინჯარაში იზრდება.




1. ცომს ასაფუებლად სითბო სჭირდება, რადგან ფერმენტული რეაქციების სიჩქარე ტემპერატურის ზრდასთან ერთად (გარკვეულ ნიშნულამდე) მატულობს. ძალიან მაღალი ტემპერატურა ისევე ცუდად მოქმედებს ცომის აფუებაზე, როგორც ძალიან დაბალი, ვინაიდან ძალიან მაღალ ტემპერატურაზე ფერმენტები დენატურირდება. საფუარა სოკოები ცომს როგორც უუანგბადო, ასევე უანგბადიან პირობებში აფუებს, რადგან ისინი ფაკულტატიური ანაერობებია.

2. საკვებში აკუმულირებულ ქიმიურ ენერგიას მაქსიმალურად აერობული ორგანიზმები იყენებენ. ისინი გლუკოზას ბოლომდე, ერთნახშირბადიან ნაერთამდე – CO_2 -მდე შლიან და 38 მოლეკულა ატფ-ს წარმოქმნიან. ხოლო სპირტული და რძემჟავური დუღილისას გლუკოზა ბოლომდე არ იშლება, წარმოიქმნება ორნახშირბადიანი სპირტი და სამნახშირბადიანი რძემჟავა და გაცილებით მცირე რაოდენობით ატფ.

3.

ეს ფერმენტები მემბრანებშია ლოკალიზებული და ატფ-ის ენერგიას იონებისა და ნივთიერებების გრადიენტის საწინააღმდეგოდ გადატანას ახმარენ. მაგალითად Ca^{++} -ატფ-აზა, H^+ -ატფ-აზა.

4.



5. ჟანგბადის ნაელებობა სუნთქვითი ჯაჭვის მუშაობას აფერხებს და ადამიანი ენერგეტიკულ დეფიციტს განიცდის.

6. ამ კანონზომიერებას მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანა არღვევს, სადაც დამჟანგავი ფერმენტები კონვეირივით არიან განლაგებულნი.

7. გლიკოლიზის პროცესში ჟანგბადი არ მონაწილეობს.

8. ენერგეტიკულად ყველაზე მომგებიანი უჯრედული სუნთქვის ბოლო ეტაპია. ამ დროს 34 მოლეკულა ატფ სინთეზირდება.

9. სწორი პასუხია გ – ელექტრონების ტრანსპორტში.

10. სწორი პასუხია ბ – პროტონს/წყალს.

11. სწორი პასუხია დ – ნახშირორჟანგი.

12. სწორი პასუხია ა – ზრდის ზედაპირს ატფ-ის სინთეზისთვის.

3.2 ფოტოსინეზი


○ ტექსტში ჩართული კითხვები:

3. მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანის მსგავსად, თილაკოიდის მემბრანაში მიმდინარეობს დადებითი და უარყოფითი მუსტების დაგროვება მემბრანის სხვადასხვა მხარეს.


4. პროტონები მემბრანის გარეთ უნდა გავიდეს ატფ-სინთეტაზას არხის გავლით. პროტონების ელექტრული და კონცენტრაციული გრადიენტის ენერგია ატფ-ის სინთეზს უნდა მოხმარდეს.




1.



2.




3. მაღალ ტემპერატურაზე ფოტოსინთეზის პროცესში მონაწილე ფერმენტები ინაქტივირდებიან.



1. "ფოტო" სინათლეს ნიშნავს, "ლიზისი" დაშლას.

2. ა. ფოტოსინთეზში მორეაგირე ორივე ნივთიერება – წყალი და ნახშირორჟანგი – უანგბადს შეიცავს. მეცნიერებს აინტერესებდათ რეაქციის პროდუქტების – მოლეკულური უანგბადისა და გლუკოზის უანგბადის წარმომავლობა.



ბ. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ თავისუფალი უანგბადი წყლის მოლეკულიდან წარმოიქმნება.

3. თუ ნახშირორჟანგში უანგბადს მონიშნავ და მონიშნული უანგბადი გლუკოზის მოლეკულაში აღმოჩნდება, ეს იმას დაადასტურებს, რომ ნახშირორჟანგი გლუკოზის მოლეკულის წარმოქმნაში მონაწილეობს.

4. მზის სინათლის სხივებიდან, ყველაზე ნაკლებეფექტური ფოტოსინთეზის პროცესისთვის მწვანე სხივებია.

5. სწორი ფრაზაა ა – მცენარე არ იყენებს გლუკოზას უჯრედული სუნთქვისთვის, რადგან ის ენერგიას ფოტოსინთეზის დროს მზისგან იღებს.

3.3 მცენარის სუნთქვა და ფოტოსინთეზი



1. A ფოთოლი პირველი ქოთნის ის ფოთოლია, რომელიც NaHCO_3 -იან კოლბაში იყო მოთავსებული. ჰაერი ამ კოლბაში CO_2 -ით იყო მდიდარი, ამიტომ ფოტოსინთეზი დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა და ფოთოლში სახამებელი დაგროვდა. B ფოთოლი პირველი ქოთნის მცენარის ის ფოთოლია, რომელიც KOH -იან კოლბაში იყო მოთავსებული. KOH CO_2 -ს შთანთქავს, ამიტომ ფოთლებში ფოტოსინთეზი ვერ წარიმართა. C ფოთოლი მეორე ქოთნის მცენარეს ეკუთვნოდა. მან სახამებელი მხოლოდ შუა, მწვანე ნაწილში დააგროვა.

2.

ა. ამ ექსპერიმენტში დამოუკიდებლად ცვლადი სიდიდე სინათლის ინტენსივობაა.

ბ. ფოტოსინთეზის სიჩქარე, ანუ დროის ერთეულში გამოყოფილი ბუშტუკების რაოდენობა, დამოუკიდებულად ცვლადია.

გ. სინათლის ინტენსივობის ზრდასთან ერთად, იზრდება ფოტოსინთეზის ინტენსივობა.

დ. წყლის ტემპერატურის გარდა, ყველა პარამეტრი უცვლელია.

ე. წყლის ტემპერატურა მატულობდა, მას ნათურა ათბობდა.

ვ. ფოტოსინთეზის სიჩქარე ტემპერატურაზეცაა დამოუკიდებული, ვინაიდან მას ფერმენტები წარმართავს. ტემპერატურის გაზრდით იზრდება ფოტოსინთეზის ინტენსივობა.

ზ. ექსპერიმენტში მიმდინარეობისას ტემპერატურის ცვლილება თავიდან შეიძლება აიცილო, თუ ჭურჭელს წყლიან აბაზანაში მოათავსებ.

თ. ეს მეთოდი ფოტოსინთეზის სიჩქარის სინათლის ინტენსივობაზე დამოუკიდებულების განსაზღვრის ზუსტ მეთოდად ვერ გამოდგება.



ფოტოსინთეზი	სუნთვა
1. წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები;	1. იშლება ორგანული ნივთიერებები
2. მზის ენერგია გლუკოზაში ინახება;	2. გლუკოზაში დაგროვილი ენერგია თავისუფლდება
3. შთაინთქმება ნახშირორჟანგი;	3. გამოყოფა ნახშირორჟანგი
4. გამოყოფა ჟანგბადი;	4. შთაინთქმება ჟანგბადი
5. მიმდინარეობს მხოლოდ სინათლეზე;	5. მიმდინარეობს სინათლეზეც და სიბნელეშიც
6. მიმდინარეობს მხოლოდ ქლოროფილის მონაწილეობით.	6. მიმდინარეობს მიტოქონდრიაში



1. ქლოროპლასტები ფოტოლის უკეთ განათებული ადგილისკენ გადაინაცვლებს, რათა მაქსიმალურად შთანთქას მზის სხივები.

2. ატფ ენერგიის უნივერსალური წყაროა. ის მხოლოდ მექანიკურ ენერგიად არ გარდაიქმნება. მცენარეები ატფ-ის ენერგიას ქიმიური ბმების ენერგიად გარდაქმნიან, როდესაც ორგანულ ნივთიერებებს ასინთეზირებენ. გარდა ამისა, ისინი დიდ ენერგიას ხარჯავენ მემბრანის გავლით სხვა-დასხვა ნივთიერების აქტიური ტრანსპორტირებისთვის.


3.4 დნმ-ის გაორმაგება – რეპლიკაცია




1. a. ბაქტერიების დნმ-ის გაორმაგება ^{14}N -იან გარემოში.

ბ. სინჯარის ფსკერიდან დნმ-ის მოლეკულის ფრაქციის დაცილების მანძილს მისი მოლეკულის სიმკვრივე (სიმძიმე) განსაზღვრავს.

გ. ბაქტერიების დნმ-ის შემსუბუქების მიზეზი ისაა, რომ ^{14}N -იან არეში A ბაქტერიების გამრავლებისას მისი დნმ-ის მძიმე ჯაჭვებზე მსუბუქი შვილეული ჯაჭვები დაშენდა.



2. a. B ბაქტერიების დნმ-ის რეპლიკაცია C ბაქტერიების ნარმოქმნისას:




ბ. A ბაქტერიების დნმ შეიცავს ორ მძიმე ჯაჭვს; B ბაქტერიების დნმ შეიცავს ერთ მძიმე და ერთ მსუბუქ ჯაჭვს; C ბაქტერიების დნმ-თა ერთი ნანილი შეიცავს ორივე მსუბუქ ჯაჭვს, ხოლო მეორე ნანილი – ერთ მძიმე და ერთ მსუბუქ ჯაჭვს.

გ. ამ მონაცემების მიხედვით, ცენტრიფუგის სინჯარაში ორი ფრაქციის გაჩენა მოსალოდნელი იყო: C ბაქტერიების ორი მსუბუქი ჯაჭვის მქონე დნმ-მა სინჯარაში ცალკე ფრაქცია (ზედა) ნარმოქმნა, ხოლო დნმ-მა, რომელიც ერთ მსუბუქ და ერთ მძიმე ჯაჭვს შეიცავდა – ცალკე ფრაქცია (ქვედა).


დ. უოტსონისა და კრიკის ჰიბრიდური მეთოდის შემთხვევაში „გაუძლო“.

3.



X ბაქტერია ^{14}N -ის შემცველ საკვებ არეში მრავლდებოდა, ვინაიდან ცენტრიფუგირებისას ის დნმ-ის ერთ ფრაქციას იძლევა, რომელიც მდებარეობით C ბაქტერიის დნმ-ის ზედა, მსუბუქ ფრაქციას შეესაბამება.

4.



3.5 ჰიპოთეზა „ერთი განი - ერთი ცილა“

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

ნამდინისებური ანემიით დაავადებული ადამიანის ჰემოგლობინის ძვრადობა დადებითად დამუხტული ელექტროდისკენ შესუსტდა იმის გამო, რომ ის აღარ შეიცავს უარყოფითად დამუხტულ გლუტამინის მჟავას. მის ნაცვლად ცილაში ჰიდროფობური ვალინია ჩართული.



1.



2. ელექტროფორეზამდე რომელიმე ფიზიკური ფაქტორის, მაგალითად, მაღალი ტემპერატურის გავლენით ცილა შესაძლოა დენატურირებულიყო, რაც მისი მოლეკულის ზომასა და ფორმას შეცვლიდა, ეს კი ცილის მოლეკულის ძვრადობაზე მოახდენდა გავლენას.

3.

ა. ცილის დამშლელ ფერმენტებს პროტეაზები ეწოდება;

ბ. ერთი პროტეაზა (2) ცილის მოლეკულის ერთ უბანზე მოქმედებს და ამ ნაწილში წყვეტს მას. ამას ელექტროფორაგრამაზე წარმოქმნილი ორი ფრაქცია ადასტურებს. მეორე პროტეაზა (3) ცილის ორ უბანზე მოქმედებს, რის გამოც პოლიპეტიდის სამი ფრაგმენტი წარმოიქმნება;

გ. ეს ფერმენტები, სავარაუდოდ, კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში მოქმედებს, რადგან წვრილ ნაწლავში ცილის მოლეკულა საბოლოოდ ამინომჟავებამდე იშლება.

3.6 გენეტიკური კოდი. ტრანსპრიცია. ტრანსლაცია

○ ტექსტში ჩართული კითხვები:

1. ტრანსკრიპციისას დნმ-ის ადენინს ურაცილი უკავშირდება.

2. ბირთვის გარსს დიდი ფორები აქვს, რის გამოც ი-რნმ-ის მოლეკულა ადვილად ძვრება მასში.

3. ილუსტრაციის A პოზიციაში რიბოსომას უკვე თერთმეტი ტრიპლეტი აქვს გავლილი, რაზეც რიბოსომაზე სინთეზირებული თერთმეტამინომჟავინი პოლიპეტიდი მეტყველებს.

4. პოლიპეტიდური ბმის წარმოქმნის პროცესს ილუსტრაციის B პოზიცია ასახავს.



1.

ა. სინჯარაში უნდა იყოს პოლიურაცილი, ყველა ამინომჟავა, ყველა ტ-რნმ, რიბოსომები და პროცესში მონაწილე ყველა ფერმენტი.

ბ. ამინომჟავათა უმრავლესობას რამდენიმე ტრიპლეტი შეესაბამება.

მაგალითად, ალანინს – 4, ლეიცინს და არგინინს – 6. გარდა ამისა, ზოგიერთი ტრიპლეტი ცილის სინთეზის დაწყებისა და დამთავრების მანიშნებელია.

2. ი-რნმ-ის კოდონებია:

გუუ – ცუუ – გაა – უგც – ააუ

ტ-რნმ-ის ანტიკოდონებია:

ცგა – გგა – ცუუ – აცგ – უუა

3. სწორი პასუხია ა – პლასტიკური ცვლის ერთ-ერთ რეაქციას.



1. ი-რნმ-თვის მატრიცა არის დნმ-ის ერთი ჯაჭვის გარკვეული პატარა უბანი – გენი.

2. ტრანსლაციისას უჯრედს მიტოქონდროები ამარავებს ენერგით, რომელიც ნივთიერებათა დაშლის პროცესში წარმოიქმნება;

3. ამ შემთხვევაში ის შეცდომით ჩართავს ამინომჟავას ცილის მოლეკულაში. ეს ცილას სტრუქტურას შეუცვლის, რაც მის ფუნქციაზე აისახება.

4. თუ რიბოსომას ნაბიჯი ტრანსლაციის ბოლოს „აერია“, ეს ცილის მოლეკულაში მხოლოდ ერთ ან ორ ამინომჟავას ჩართავს შეცდომით. ასეთი „ნაპორძიკება“ ტრანსლაციის დასაწყისში აპსოლუტურად სხვა სახის ცილის სინთეზს გამოიწვევს.

5. ი-რნმ-ის ნუკლეოტიდური შედგენილობაა:

ააა-გგა-უცა-უუ-ცცც-ცუც-ცაუ

6. ა. ცილა ამინომჟავური შედგენილობაა:

თილოზინი – ჰისტიდინი – ფრეონინი – ალანინი – ვისტინი – ლიზინი – სერინი

ბ. **უგა** სტოპ კოდონია და ამიტომ ცილის სინთეზი შეწყდება.

ა	ბ	გ	დ
X	X		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ
			X		X

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ
			X	X				X		X	

შეაჯახა შენი ცოდნა და გამოცადა შენი უნარები - 3

1. ამ დროს ატფ-ის ნარმოქმნა წყდება. ატფ-ის ენერგია კი ორგანიზმში მიმდინარე პრაქტიკულად ყველა პროცესს ხმარდება. ადამიანი ენერგიის დეფიციტის გამო იღუპება.

2. ამ დროს წყალბადი იუანგება და ადვ ფოსფორილირდება.

3. პლასტიკური ცვლა განსაკუთრებით ინტენსიურად ბავშვობის ასაკში მიმდინარეობს, რადგან ამ დროს ნარმოქმნილი ორგანული ნივთიერებები ბავშვის ზრდას ხმარდება. ხანდაზმულ ასაკში ორგანიზმი აღარ იზრდება და პლასტიკური ცვლაც შენელებულია. ამ დროს ნარმოქმნილი ორგანული ნივთიერებები მხოლოდ „სარემონტო სამუშაოებს“ ხმარდება, ანუ ისინი „დაბერებული“ ორგანოების ახალი ორგანოებით ჩანაცვლებისთვის გამოიყენება.

4.

ა. სინათლის ფაზაში მზის ენერგიის გავლენით წყლის ფოტოლიზი მიმდინარეობს და არა ნახშირორჟანგის დაშლა, როგორც ამას ტიმირიაზევი აღწერს.

სახამებელი ნარმოიქმნება ატმოსფერული ნახშირორჟანგისა და წყალბადის შეერთებით და არა ნახშირორჟანგისა და წყლის დაკავშირებით.

ბ. ფოტოსინთეზის მექანიზმის გაშიფრას იოქიმის განვითარებამ შეუწყო ხელი.

5. სწორი პასუხია ბ – დიფუზია პლაზმური მემბრანის გავლით.

6. სწორი პასუხია დ – 1 და 4.

7. სწორი პასუხია დ – აქტიური ტრანსპორტით – იონური არხით.

ა	ბ	გ	დ	ე
X	X	X		

9. ტრანსლაციის პროცესში მატრიცა ი-რნმ-ის მოლეკულაა.

10.

ე	ნ	დ	ო	ც	ი	ტ	ო	ზ	ი
9	14	19	4	32	6	25	41	46	24

- სასიცოცხლო პროცესი მცენარეულ უჯრედში, რომელიც მის სასიცოცხლო თვისებას – კვებას უდევს საფუძვლად

ფ	ო	ტ	ო	ს	ი	ნ	თ	ე	ზ	ი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

- უჯრედის სასიცოცხლო თვისება, რომელსაც მი-ტოქონდრია უზრუნველტოფს

ს	უ	ნ	თ	ე	ვ	ი
12	13	14	15	16	17	18

- უჯრედული სუნთქვა ანაერობულ ორგანიზმებში

დ	უ	ლ	ი	ლ	ი
19	20	21	22	23	24

- რიბოსომაში მიმდინარე მატრიცული რეაქცია

ტ	რ	ა	ნ	ს	ლ	ა	ვ	ი	ა
25	26	27	28	29	30	31	32	33	34

- განსხვავებული ზომისა და ელექტრული მუხტის მქონე ნივთიერებების დაცილების მეთოდი

ე	ლ	ე	ქ	ტ	რ	ო	ფ	ო	რ	ე	ზ	ი
35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47

11. ა. ი-რნმ-ის უბანი, რომელსაც ეს ტ-რნმ უკავშირდება, არის **აუგ** და მას **სტარტ** კოდონი ქვია.

ბ. ეს ტ-რნმ ამინომჟავა მეთიონინითაა დატვირთული.

გ. პოლიპეტილი შეიცავს 8 ამინომჟავას და შესაბამისად 7 პოლიპეტილურ ბმას.

დ. ტერმინაციის გამომწვევი კოდონებია: **უაგ, უგა, უგა**.

12. ისრით მონიშნულ ტრიპლეტს **სტოპ** კოდონი ეწოდება.

13.

- მეცნიერს აინტერესებდა ფოტოსინთეზის შედეგად წარმოქმნილი აირის რაობა.
- ვ. ენგელმანმა ცდის პირველი სერიით დაასკვნა, რომ სპიროგირა ფოტოსინთეზის პროცესში უანგბადს გამოყოფს.
- ვ. ენგელმანს ცდების მერე სერიაში სურდა გაერკვია, სინათლის სპექტრის რომელ უბანს იყენებს სპიროგირა ფოტოსინთეზისთვის.
- ამ ექსპერიმენტით დადგინდა, რომ სპიროგირა ფოტოსინთეზისთვის იყენებს ლურჯ და წითელ სხივებს.
- სპიროგირას დიდი ზომის ქრომატოფორები აქვს.
- ქრომატოფორები წყალმცენარეების სხვადასხვა ფორმის დიდი ორგანოდებია, რომლებიც ქლოროფილს შეიცავენ.
- ვ. ენგელმანი ვარაუდობდა, რომ ფოტოსინთეზის შედეგად მცენარე უანგბადს გამოყოფს.
- სიტუაციას სიბნელეში ასახავს A ილუსტრაცია, ბოლო სინათლეში - B.

დამატებითი რესურსები მასშივრული განვითარების

მატრიცა 1 – სიცოცხლის მოღეკულები

- | | |
|---|---|
| https://bit.ly/36cTy4o | https://bit.ly/365ca70 |
| https://bit.ly/3jXTGYC | https://bit.ly/3im0lf6 |
| https://bit.ly/3lcY28M | https://bit.ly/3Jrp8tU |
| https://bit.ly/3KD0t97 | https://bit.ly/3i25r00 |
| https://bit.ly/3pUIZdt | https://bit.ly/3w2ykkU |
| https://bit.ly/3wfbczN | https://bit.ly/3CLeThu |
| https://bit.ly/34F4lnO | https://bit.ly/3tSHP3m |
| https://bit.ly/3tSHP3m | |

მატრიცა 2 – უჯრედის კომპონენტები

- | | |
|---|---|
| https://bit.ly/3i044in | https://bit.ly/3609TJZ |
| https://bit.ly/35QerCM | https://bit.ly/3i6lmco |
| https://bit.ly/3N4d7gk | https://bit.ly/3tbkKK2 |
| https://bit.ly/3w2l3sw | padlet.com |
| https://bit.ly/3t7pqkg | https://bit.ly/3sDOVt9 |
| https://bit.ly/3w1EktR | |

მატრიცა 3 – უჯრედული მეტაპოლიზმი

- | | |
|---|---|
| https://bit.ly/36cRklE | https://bit.ly/36bRPwk |
| https://bit.ly/3JaUsxc | https://bit.ly/3KJiiAx |
| https://bit.ly/3lcjQRz | https://bit.ly/3vYP4JJ |
| https://bit.ly/3CE2xb8 | https://bit.ly/3KAbS6w |
| https://bit.ly/3w2RDuf | https://bit.ly/34B7Viz |
| https://bit.ly/3KHNhgm | https://bit.ly/3l5rfT0 |
| https://bit.ly/3MHaml7 | https://bit.ly/34B7Zij |
| https://bit.ly/3ikYEi9 | https://bit.ly/3i0KCSS |
| https://bit.ly/3CHjnpl | https://bit.ly/3ijCYCH |
| https://bit.ly/367Kyh3 | |

გამოყენებული ლიტერატურა

1. Differentiated Instruction Lesson Plans (created by ESA3 teachers) 2004 წელი <https://bit.ly/2PajfYh>
2. განვითარებისა და სწავლების თეორიები – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – 2009 წ.
3. სწავლება და შეფასება – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – 2009 წ.
4. სასწავლო და პროფესიული გარემო – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – 2009 წ.
5. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტური სტრატეგიები – 2009 წელი.

<https://bit.ly/2SHhyne>

6. ეფექტური სწავლება, თეორია და პრაქტიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010წ
7. როლური თამაში – თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ფორმა – ავთანდილ შურლაია, უურნალი მასწავლებელი, 2012 წელი.

<https://bit.ly/2v0fzBn>

8. თანამშრომლობითი სწავლა, ნეფარიძე თეო – უურნალი მასწავლებელი 2013 წელი. <https://bit.ly/39L8Qd6>
9. როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტ-გაკვეთილი? – სოფიკო ლობჟანიძე – 2014 წელი

<https://bit.ly/32bpvnB>

10. ბლუმის ტაქსონომია – პრაქტიკული მითითებები, ნანა ლომიძე, 2015 წელი

<https://bit.ly/2uf3esJ>

11. ჯგუფური მუშაობა და კომუნიკაციის განვითარების სავარჯიშოები სწავლების პირველ საფეხურზე – მაია ფირჩხაძე, 2015 წელი.

<https://bit.ly/38McmnB>

12. Interactive teaching methods: challenges and perspectives - 2017

<https://bit.ly/2SGD7Eq>

13. აქტიური სწავლება ბიოლოგიაში – წინასატრენინგო მასალა „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამა“ – 2017 წელი

<https://bit.ly/2SYzx7z>

14. შეფასების რუბრიკის შექმნის ძირითადი პრინციპები – ნატალია ედიშერაშვილი - 2017 წელი

<https://bit.ly/39OAshz>

15. ვებინარის საპრეზენტაციო მასალა – მარიანა ხუნდაყიშვილი – 2018 წელი.

<https://bit.ly/2HRK53n>

16. განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება – მარიანა ხუნდაყიშვილი, სარა ბივერი – 2018 წელი

<https://bit.ly/2wpBxhp>


17. Project-Based Learning: APBL Lesson Plan for the Classroom - Leader in Me, October 26, 2018

<https://bit.ly/2T3vdE7>


18. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები 2018 წელი

<https://bit.ly/2v0luGz>






მოსწავლის სახელმძღვანელო
ნაწილი 1



მოსწავლის სახელმძღვანელო
ნაწილი 2



მასწავლებლის
სახელმძღვანელო